255
1926

ალმანახი

ალგეთისა

№1

ი ბ ი ს ი
1926

შრომის მდროშა

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველთვიური ორგანო.

ლიტერატურა—ხელოვნება—კრიტიკა—საზოგადოებრივოება.

№ 1

ტფილისი—ივ. მაჩაბელის ქ. № 13 || ივნისი 1926 || ტელეფონები: 24-51. 6-43. 23-99.

I-255
1926

I-668

შ ი ნ ა ა რ ს ი:

წ ე რ ი ლ ე ბ ი:

ნიკოლოზ მიწიშვილი—მწერლობა და საზოგადოებრივობა; **ვახტანგ კოტეტიშვილი**—ქართული მწერლობა; **პავლე ინგოროყვა**—მწერალთა კავშირის ამოცანები; **ნ. საქარელი**—ხელოვნება და ეროვნული საზოგადოებრივობა; **ნიკოლოზ მიწიშვილი**—ქართული კულტურის ახალი გზები; **მემედ აბაშიძე**—ქართული ენის გაწმენდისათვის.

კ რ ი ტ ი კ ა:

გერონტი ქიქოძე—ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი; **Maurice Raynal**—ლადო გუდიაშვილი.

ლ ე ქ ს ე ბ ი:

(ალფაბეტით) **ს. აბაშელი**—ტფილისი; **ვალერიან გაფრინდაშვილი**—სოფლისაკენ; **რაჟდენ გვეტაძე**—გული; **ნ. ზომლეთელი**—სოფლის გოგო; **ნინო თარიშვილი**—ჩემს ტოლებს; **სოლომონ თავაძე**—შიო არაგვისპირელი; **პაოლო იაშვილი**—პოეზია; **საფო მგელაძე**—თუში; **კოლაუ ნადირაძე**—თეთრი ტყემლები; **ტიციან ტაბიძე**—სერგეი ესენინს; **სანდრო შანშიაშვილი**—მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში; **ნ. შენგელაია**—გზა სვანური სოფლისაკენ; **ნ. ჩაჩავა**—ჯაფარა; **ს. ჩიქოვანი**—ნაწყვეტები.

პ რ ო ზ ა:

ნიკო ლორთქიფანიძე—თავსაფრიანი დედაკაცი; **ლეო ქიაჩელი**—უცნაური მოთხრობები; **სერგო კლდიაშვილი**—პროვინციის მთვარე; **დემნა შენგელაია**—ლაფშა.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა:

ტიციან ტაბიძე—სანდრო შანშიაშვილი; **პაოლო იაშვილი**—ნიკო ფიროსმანიშვილი; **ვან-დეიკ**—ლადო გუდიაშვილის სურათების გამოფენა.

სადისკუსიო კითხვები:

სიმონ ჩიქოვანი—თანამედროვეობა და ქართული პოეზია.

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი:

მწერალთა კავშირის ყრილობა. რეზოლიუციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერლობა და საზოგადოებრივობა

დღეს ქართული მწერლობა გაერთიანებული გამოდის საზოგადოების წინაშე. და ამ უკანასკნელს უფლება აქვს იკითხოს— რამ გააერთიანა მწერლობა საქართველოში, რისთვის გაერთიანდა იგი და რა გზისაკენ მოუწოდებს ხალხს ქართული მწერლობა.

ჩვენც ვალდებული ვართ პასუხი გავსცეთ ამ კითხვას ნათლად და პირდაპირ.

ჯერ საკუთარ, სპეციფიურ საკითხის შესახებ.

„იმპერატორები ვერ უკვდავყოფენ პოეტებს, ხოლო პოეტებს შეუძლია უკვდავყონ იმპერატორები“. ეს ძველი თქმულებაა და მას მიემატებოდა ბევრი ძველი და ახალი თქმა, დამამტკიცებელი მისა, რომ პოეტობა, მწერლობა, ხელოვნად ყოფნა არის ნიჭის და არა მდგომარეობის საქმე. და რამდენადაც ეს ასეა, შეუძლებელია ვინმე გახდეს მწერლად უმაღლესი განკარგულების ძალით, ან ამავე განკარგულებით ვინმეს ჩამოერთვას ტალანტი მწერლისა და ხელოვანის.

მონარქია სდევნიდა ტოლსტოის და მის ნაწერებს, მან დააბრმავა კატორღაში დოსტოევსკი, მანვე დასაჯა პუშკინი; რესპუბლიკა სდევნის რომენ როლანს და იგივე ნათლავს მოღალატედ ანრი ბარბიუსს საფრანგეთში, მაგრამ ეს ოდნავ არ ამცირებს მათ ნიჭს და მათ მნიშვნელობას საკაცობრიო ლიტერატურაში.

რევოლიუციამ თავი მოკვეთა ანდრეი შენიეს, მანვე დაუდგა გილიოტინა ლაუაზიეს, მაგრამ პირველს არ წაერთვა პოეტის სახელი, მეორე დარჩა მეცნიერათ დღემდე.

დაპირისპირება ტალანტების და მათი შებრძოლება საინტერესოა, პროგრესია. ძალადობა და ნიჭი გაურბიან ერთმანეთს. მათი დაპირისპირება არანორმალური ამბავია. რეგრესია კულტურისთვის.

თუ ასე დავაყენებთ მწერალის და საზოგადოდ ხელოვანის შემოქმედებითი მუშაობის კითხვას, მაშინ უნდა მივიღოთ მწერალის მიმართ საჭიროება შემოქმედების თავისუფალი თვითგამორკვევის, მივიღოთ ზედმეტობა შემზღუდველი ფაქტორებისა.

რამდენადაც ამ სფეროში ადგილი ქონდა, თუ აქვს, არანორმალურ დამოკიდებულებას, (დიდ გადატეხებს ეგ სჩვევია) ეს არანორმალური მდგომარეობა საჭიროა დაძლეულ იქნას. ეგ დღეს შესაძლებელია. უპირატესობა ნიჭს და არა ორგანიზაციულათ შეკავშირებულ უნიჭობას. პირობები ამ ნიჭის გამოჩენისა და განვითარებისათვის.

ამიტომაა საჭირო შემოქმედებათა ჭიდილი. და ამ ხაზით არა გაერთიანებაა საჭირო, არამედ შეჯიბრება, არა ერთფეროვანება, არამედ მრავალნაირობა და სხვაობა. ამ მიმართულებით ძნელიცაა მწერლობის გაერთიანება.

საჭიროა ვეძიოთ სხვა, არა ინდივიდუალური ასპარეზი დაახლოებისა და გაერთიანებისათვის. ჩვენთვის, ქართველი მწერლებისთვის, ეს ასპარეზი ნახულია, მხოლოდ დღეს ამ ადგილს უნდა გამოჩინება, გაწმენდა, გაფართოება, რომ ადვილი დასანახი გახდეს იგი ამ ბურუსიან დროში როგორც თვით მწერლობისათვის, ისე ქვეყნის თვალში.

ამ ასპარეზს ჰქვიან—სამშობლო და კაცობრიობა.

ამ ასპარეზზე ეტეოდა დღემდე მსოფლიო ხელოვნება და სხვა, ახალი მოედანი ნიჭის გამოჩენისა და მსხვერპლის ჯერ შემოქმედისთვის არ აღმოჩენილა.

შეიძლება ითქვას, რომ მწერალი, ხელოვანი, არაა ვალდებული ორგანიზაციულად ჩაებას ისეთ საქმიანობაში, რომელსაც ის პიროვნულადაც ასრულებს და ანხორციელებს თავის შემოქმედებით, მაგრამ აქ ისმება საკითხი მეორენარი ვალდებულების:

როდესაც ჩვენ მოვითხოვთ, რომ საზოგადოება, ძალაუფლება, ეპოქა, ანგარიშს უწევდეს ნიჭიერებას, ტალანტს, შემოქმედს და აყენებდეს მას თავისუფლად განვითარების პირობებში; როდესაც ჩვენ მოვითხოვთ, რომ ასცდეს გილიოტინა როგორც შენიეს და გუმილიოვს, ისე პუშკინს,--ხომ უნდა გვქონდეს სათანადო პასუხი, როცა ამავე დროს მოგვაბრუნებენ იმ ფაქტებისაკენ, რომელნიც ამოძრავებენ იმავე ეპოქას და რომელნიც ქმნიან ამ ეპოქის შინაარსს. ჩვენ სამართლიანათ მიგვითითებენ ამ ფაქტების დიქტატურაზე და კიდევაც რომ ეს ასე არ მოხდეს, ჩვენ არა გვაქვს ზნეობრივი უფლება გავექცეთ მათ და ამ ფაქტებს არ გაუწიოთ ანგარიში. და რამდენადაც ეს ფაქტებია სოციალური, საზოგადოებრივი, მოქალაქეობრივი ხასიათის, იმდენად მწერლობაც ვალდებულია გამოეხმაუროს მათ საზოგადოებრივად, მოქალაქეობრივად, კოლექტიურად. სხვა დროს შეიძლება ლოღიკა ასეთგვარი მუშაობის არ იყო მობჯენილი მწერლობაზე ასეთი სიმწვავით. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ასეთ მოვალეობის აღსრულებაში თვისი დროის წინაშე მაინც შთაინთქა დიდი პოეტური ნიჭი ილია ჭავჭავაძის და საზოგადოებრივმა ბრძოლამ გაანახევრა ჩვენი დიდი პოეტებისა და მწერლების შემოქმედებითი პოტენცია, ვინაიდან შეუძლებელია, დანაშაულია, მწერალმა ზურგი შეაქციოს ქვეყნის ტკივილებს. ეს ტკივილები მრავალნაირი და მრავალფეროვანი იყო საქართველოში და არის დღესაც. ცხადია, მწერლობას არ შეუძლია იყოს ნეიტრალური, ინერტიული ეპოქისა და ხალხის წინაშე. მას არ შეუძლია უსტვინოს მარტო „ტკბილ ხმაზე“, როცა საუკუნე ბღავის ბრძოლის საყვირებით.

და ქართული მწერლობა სცდილობს მოიხადოს ეს მძიმე მოვალეობა მოქალაქის, განსაკუთრებით მძიმე მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვექეცით დიდი რევოლიუციის გავლენის სფეროში,

რაც საქართველოში მოკვდა ძველი საზოგადოებრივობა, რაც დაეცა და წახდა მწერლობის წონა და მნიშვნელობა საქართველოში, რაც გაიზნიქა და გატყდა ჩვენი ეროვნული აზროვნების ტრადიციული ღერძი.

ამიტომ იყო, რომ 22 თებერვალს მწერლობა მივიდა გაერთიანებულ ყრილობაზე, სადაც იგი შეეცადა გამოერკვია თავისი დამოკიდებულება რევოლიუციისადმი და საერთოდ აეწონა თავისი თავი.

აქ საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქართული ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის მოქალაქეობრივი, სახელმწიფოებრივი მიდგომა ამ საკითხისადმი. აქ განცხადებულ იქნა, რომ მას, ქართულ მწერლობას, არც იმდენი სადაო აქვს რევოლიუციასთან, როგორც ამას ფიქრობდა ბევრი, ყრილობაზე ითქვა სრულის პასუხისმგებლობით, რომ ოქტომბრის რევოლიუცია ქართულ მწერლობას მიაჩნია პროგრესიულ მოვლენად, რომ ქართული მწერლობა შეეცდება ამ მოვლენის გაღრმავებასა და განმტკიცებას, რათა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ შექმნილი ურთიერთობა წარმართულ იქნას აგრეთვე საქართველოს სოციალურ, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ განვითარებისაკენაც. მწერლობამ გამოსთქვა სურვილი ამ მიმართულებით ორგანიული მუშაობისა და აღიარა, რომ ამ მუშაობას ის მოათავსებს კულტურულ, საზოგადოებრივ საქმიანობის გამოცოცხლების ფარგლებში, ვინაიდან პოლიტიკურად, საკავშირო კონსტიტუციის სფეროში, ხელისუფლებასთან არავითარი სადაო მწერლობას არა აქვს. მწერლობამ პირველად აღძრა საკითხი ასეთი მუშაობის ფაქტად ქცევისა, თავს იდო ეს საქმე და ამით, შეიძლება ვსთქვათ, პირველად ჩაუყარა საფუძველი ახალ ქართულ საზოგადოებრივობას.

და დღეს ქართული მწერლობა იწყებს მის რეალიზაციას, რაც ლიტერატურის და პოლიტიკის მხრივ გამოთქმული იყო თებერვლის ყრილობაზე. იწყებს, როგორც მოაზროვნე მოქალაქე, იმ სურვილით, რომ შემოქმედებაშიაც არ გაექცეს აღებულ ხაზს, რამდენადაც შესაძლებელი იქნება ჩვენი თაობის ქართველ მწერლისათვის შეათანხმოს გრძნობა და აზროვნება, პოლიტიკა და შემოქმედება.

ამ ცდის გამომსახველი იქნება „ქართული მწერლობა“.

ნიკოლოზ მიწიშვილი.

ქართული მწერლობა

ქართველ მწერალთა გაერთიანებული ყრილობა გათავდა. ბევრი რამ ითქვა საგულისხმო, როგორც მწერალთა ფრაქციების, ისე მთავრობის წარმომადგენელთა მხრივ. ხოლო უმთავრესი, რაც მთელი ყრილობის სურვილს წარმოადგენდა, იყო ჩვენი სალიტერატურო ცხოვრების გამოცოცხლება, განდგომის მოსპობა და მჭიდრო თანამშრომლობა. ყველაფერი ეს ითქვა, რეზოლიუციების სახითაც აღინუსხა, მაგრამ ეს იმდენათ საინტერესო არ არის, რამდენათაც ის საქმიანობა, რომელიც დიდი ხანია უნდა დაწყებულიყო და გვიან იწყება.

არ არის დასამალი ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია სალიტერატურო ძალებით, მაგრამ სალიტერატურო ცხოვრება ჩვენ არ გვაქვს. რაღაც დაქსაქსულნი, სხვადასხვა გვარი „იზმებით“ შემოზღუდულნი, ყველა თითქოს რაღაცას აკეთებს, მაგრამ ვერც აკეთებს, რადგან არ არის ის დიდი პირობა, რასაც სალიტერატურო ცხოვრება ეწოდება. მაგალითისთვის რუსეთი ავიღოთ, მოსკოვი. იქ არა ვართ, მაგრამ აქედანვე ვგრძნობთ, რომ იქ დიდი მოძრაობაა მწერლობის ქვეყანაში, ფოსტის საშუალებით ვადევნებთ თვალყურს, მაგრამ მაინც გვესმის იქაურ „მწერალთა სახლის“ აწეული პულსაცია. მართალია, არსებული ლიტერატურით არც იქ არიან კმაყოფილები, რადგან ახალ ლიტერატურას „ძველს“ უწოდებენ, და ახალ მწერლებს კი—გუსევ-ორენბურგსკის, პოტაპენკოსი, სერაფიმოვიჩისა, ვერბიცკაიასი და სხვათა „სულიერ შვილებს“, მართალია ისიც, რომ იქაც აცხადებენ—ლიტერატურა არა გვაქვსო, მაგრამ აქ გარკვევა არის საჭიროა. იქ ამბობენ:—„ერთი და იგივე ძველი რუსული ლიტერატურა არის აქაც და საზღვარ-გარეთაც. პოლიტიკურათ ერთმანეთი სძულთ, მაგრამ ჩვეულება და ხერხი ერთი აქვთო“. ე. ი. იქ ლაპარაკი არის მომავლის შესახებ, რომელსაც უნდა უსწორდებოდეს თანამედროვეობა. ჩვენში კი საკითხი უფრო სხვა-გვარად სდგას. იქ, მოსკოვში, მართალია ძველი ჩვეულებით და ხერხით, მაგრამ ხომ მაინც არსებობს ეს ლიტერატურა, ხომ არსებობენ მხატვრული ხასიათის ჟურნალ-გაზეთები, ხომ რუსეთის სახელგამი თამამი ხელით ისვრის ახალ-ახალ წიგნებს, რომელნიც მოსკოვიდან ჩვენამდე ისეთ მასიურ ზომით აღწევენ, რომ ტფილისში უბრალო ფილიალებსაც ვერ ვედარებით. შეიძლება თანამედროვე ლიტერატურის ხასიათი არ აკმაყოფილებს მოსკოვს, მაგრამ, რომ ეს ლიტერატურა იქ არ იყვეს, როგორც ამას სწერდა „Новая Россия“,—არ არის მართალი, მაგრამ ჩვენში კი, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ სალიტერატურო ცხოვრება არა გვაქვს. რა მიზეზით? მაგრამ მიზეზების რკვევა რა საჭიროა, როდესაც ყოველი ჩვენთაგანი თავისდათავად ღრმად არის დარწმუნებული, რომ ვერავითარი მიზეზი ვერ იქნება ისე ძლიერი, როგორც ის შინაგანი მღელვარება თუ „შემოქმედებითი ტკივილები“, რომელიც ლიტერატურის ქვეყნის მოქალაქეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს. მაგრამ სამწუხარო ფაქტად უნდა აღინიშნოს, რომ ეს შინაგანი დაუდგრომლობა ჩვენს მწერალს მეტ წილად არა აქვს. მას თითქო საამისო სტიმული აკლია. ჩვენი მწერლობის სასახლე გაყინულ აკლდამასა ჰგავს, ჩვენი თითო-ოროლა ჟურნალი—შემთხვევითი კრებულს, ჩვენი გამომცემლობაც—ბევრი საქმის ქვეშ წყვეტებით მომუშავე აპარატს. მთელი წლები მიდის და ჩვენ არ მოგვისმენია არც ერთი მოხსენება სალიტერატურო ამოცანების შესახებ, არ ყოფილა საჯაროთ გამოსული აზროვნება ამა თუ იმ საკითხზე. უამისოდ კი, თვით გეტესი და შილლერის დიდი ჭკუა და გზნებაც კი ჩანელდებოდა.

რა არის ამის მიზეზი? იქნებ ქართველი მწერალი საბოტაჟს აწარმოებს. ამის თქმა ყოვლად გაუმართლებელი ბრალის დადება იქნებოდა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე, არამც თუ საბოტაჟს არა ჰქონია ადგილი, პირიქით, მუშაობის სურვილი იყო ძალიან დიდი, მაგრამ რაღაც მოჯადოებული წრე შეიქმნა ისეთი, რომელიც საქმიანობას ხელს უშლიდა.

ან იქნებ ქართველი მწერალი დიდ მოთხოვნილებას ადგენდა, რის დაკმაყოფილებაც არ იყო შესაძლებელი? არც ეს არის მართალი. ქართველი მწერალი არასოდეს ყოფილა განებრივებული, რომ დაჩვეულიყო დიდ სურვილებს. მიზეზებს დიდი ძებნა არ სჭირდება, რადგან ორი ძირითადი მიზეზი ისე აშკარად არის წინ წამოწეული, რომ ყველა ხედავს. ერთია თვით მწერალთა შორის, და მეორე—მწერალთა გარეთ. პირველი გამოიხატება იმ პსიქოლოგიურ გაყრაში, რომელიც რაღაც გაუმართლებელ ფრაქციულობით ხელს უშლიდა საერთო მაჯისცემის გამოწვევას მწერალთა შორის, მეორე კი ის ნაკლები ყურადღება, რომელსაც იჩენდა ხელისუფლება მწერლობის მიმართ, რასაც თვით მთავრობის წარმომადგენლები აცხადებდენ ყრილობაზე და რასაც გასამართლებელი მიზეზები ჰქონდა დღევანდლამდე. მაგრამ დღეს შეიძლება ამ მდგომარეობის დატოვება? არა. ეს იგრძნო ყველამ, და გაერთიანებული ყრილობაც ამისთვის იყო მოწვეული. აქ ბევრი რამ ითქვა, ერთგვარი პსიქოლოგიური დაახლოვებაც მოჰხდა, რაც უნდა მაქსიმალურად იქმნეს გამოყენებული.

ეს კი მოხდება საქმიანობის პროცესში... უნდა გამოიძებნოს ყოველგვარი საშუალება, რომ მიღე-

ბული რეზოლიუციები საარქივო დოკუმენტებათ კი არ დარჩეს, არამედ განხოროციელდნენ ასი პროცენტით, რადგან გამოთქმული საჭიროებანი მინიმალურად იყო თქმული და მწერლობის აღდგენა კი მაქსიმალურ ყურადღებას მოითხოვს.

და თუ ამ საქმიანობის პროცესში მწერლობა ვერ გამოიჩენს იმ სიახლეს, რაც ყველასათვის სასურველია, თუ აქ არ იქნება ის „გარდაქმნა", რასაც ჩვენი ეპოქა მოითხოვს, ეს არ არის საშიში. ხელოვნების ქვეყანაში მოულოდნელობა იშვიათია. იქ ათასგვარი შინაგანი პროცესები სწარმოებს, იქ ძალიან სათუთი მოპყრობა არის საჭირო. დეკრეტებით შემოქმედება შეუძლებელია. საჭიროა იმ პსიქოლოგიურ ატმოსფერის შექმნა, რომელიც აამოძრავებს ჩვენი მწერლობის და საერთოდ ხელოვნების მსუქან შავ მიწას. და ეს მიწა მოგვცემს იმ ნაყოფს, რომელსაც ასე ჭირვეულად ვეძებთ.

ვ. გ. ტანი „Нов. Россия"-ს მეორე ნომერში, ასე მიმართავს მწერლებს:—„საჭიროა არა ამოცანათა ჩვენების თხოვნა, არც მოფერებითი წერა (подлаживаться), არც თემების მიღება ეპოქისაგან, კლასისაგან ან უბრალოდ უფროსებისაგან. პირიქით, საჭიროა თემების მოცემა. ადრე იღებდით. ეხლა უნდა მოგვცეთ ეგ თემებიო. ეს მართალია, და სწორეთ ასე უნდა დაისვას საკითხი ჩვენშიც. მხოლოდ ამ ნიადაგზე არის შესაძლებელი მოშავალი ხელოვნების მოლოდინი. ამ ნიადაგის შესაქმნელათ კი—უნდა გაწყდეს ის მოჯადოებული წრე, რომელიც რაღაც უნდობლობით იყო შეკრული, უნდა მოხდეს იმ პარტიკულიარიზმის ლიკვიდაცია, რომელიც მწერლობის საერთო ინტერესებს ხელს უშლიდა, მწერლობა უნდა მიჩნეულ იქნას სახელმწიფო საქმედ. ჩვენ გვჯერა რომ ეს ასე მოხდება, რადგან საამისო დაპირებები უკვე გვაქვს და ისიც გვჯერა, რომ ჩვენი ლიტერატურა შესძლებს იმ დიდი შინაარსის გადმოცემას, რომლითაც ჩვენი ეპოქა არის სავსე.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

მწერალთა კავშირის ამოცანები

(მწერალთა ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა)

მე აქ გამოვდივარ, როგორც წარმომადგენელი იმ ორგანიზაციისა, რომელიც დღემდე ატარებდა „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი"-ს სახელს, და რომელიც დღეიდან შედის გაერთიანებულ მწერალთა ორგანიზაციაში, როგორც მისი ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი.

მე არ ვფიქრობდი აქ აღძრულ საკითხებზე გამოსვლას, მაგრამ ძველი მწერალთა კავშირის საწინაალმდეგოთ აქ ბევრი რამ ითქვა, რის გამო, მე იძულებული ვხდები გამოვიდე აქ, როგორც ერთი პასუხისმგებელთაგანი ძველი მწერალთა კავშირის მუშაობისა.

ხელისუფლების წარმომადგენელი მოგვიწოდებს ჩვენ გულწრფელობისაკენ. აქ ითქვა, რომ ჩვენ გამოსვლებში დიპლომატიას ვეწევით. მაგრამ ეს არ არის მართალი, დიპლომატია აქ არაფერ შუაშია. შეიძლება გულახდილობა არ არის პირველი სათნოება პოლიტიკაში, მაგრამ ჩვენ აქ არ ვაკეთებთ პოლიტიკას; და თუნდაც ეს ასე არ ყოფილიყოს, რა აზრი ექნებოდა აქ დიპლომატიას, როცა ჩვენ საკმაოდ ახლო ვიცნობთ ერთი მეორეს.

ამიტომ, მოქალაქენო, მე შევეცდები ვიყო აქ ბოლომდე გულახდილი და მოგახსენოთ ჩვენი მწერლობის მთავარი ფრთის შესახებ.

რას წარმოდგენდა ძველი მწერალთა კავშირი? მწერალთა კავშირი, რასაკვირველია, არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია. იგი წარმოადგენს წმინდა ლიტერატურულ-კულტურულ დაჯგუფებას, მაგრამ თქმა იმისი, თითქო მწერალთა ფართე წრეები არ იყოს დაინტერესებული პოლიტიკური ვითარებით, ეს რასაკვირველია არ იქნებოდა მართალი.

ძველ მწერალთა კავშირში მასსიურად წარმოდგენილია უპარტიო შემოქმედი ინტელიგენცია. მაგრამ არ დავფარავთ, რომ აქ არის ერთგვარი ნაციონალისტური „უკლონი", ამ მწერლობას ახასიათებს ნაციონალისტური აზრთა განწყობილება.

მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს არ არის ისეთი მომაკვდინებელი ცოდვა. ნაციონალისტური სულისკვეთების განმტკიცებას ქართველ შემოქმედ ინტელიგენციის წრეებში აქვს თავისი ახსნა და თავისი ისტორია. დაჩაგრული პატარა ერის ნაციონალიზმი—ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვის—ეს არის თავდაცვის იარაღი. ეს ნაციონალიზმი არ არის რეტროგრადული მოვლენა, იგი თავისი ბუნებით რევოლიუციურია და რადიკალური. რად გავიწყდებათ, თუნდ ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთის პოლიტიკა საბჭოებისა, პატარა ერების ნაციონალიზმს ემყარება. და თუ თქვენ არა თუ აღმოსავლეთში, არამედ თვით რუსეთში შესაძლებლათ მიგაჩნიათ თანამშრომლობა უსტრიალოვისა, რა გახდა აქ ჩვენში, რად არ შეიძლება ასეთი დამოკიდებულების დამყარება ქართულ ნაციონალისტურ ინტელიგენციასთან.

ჩვენ გვაბრალებენ საბოტაჟს. მაგრამ ეს არ არის მართალი. ჩვენ თავიდანვე ვმუშაობდით და ვმუშაობთ ქართული კულტურის ასპარეზზე, სადაც არის ჩვენი პირდაპირი მოწოდება. ეს აო არის ლიტონი სიტყვა, ამას ადასტურებს ფაქტები. მართლაც მოიგონეთ რა გააკეთა ჩვენმა კავშირმა.

მან დააარსა მთელი რიგი კულტურულ დაწესებულებათა.

ჯერ ერთი: მან დააარსა ხელოვნების სასახლე, რომელიც გახდა კერა კულტურული საქმიანობისა. მანვე დააარსა აგრეთვე სალიტერატურო სექცია (ლიტო), რომლისაგან შემდეგ ჩამოყალიბდა სახელმწიფო გამომცემლობა. შემდეგ, მწერლების თაოსნობით და მონაწილეობით შესდგა აგრეთვე ხელოვნების მთავარი საბჭო, რომელიც უძღვება ხელოვნების დარგს—რესპუბლიკის მასშტაბით.

ამას გარდა, ქართველი მწერლები აწარმოებდენ ინტენსიურ ლიტერატურულ მუშაობას. გარდა ცალკე გამოცემებისა ქართველი მწერლების ინიციატივით და საქმიანობით გამოდიოდა მთელი რიგი პერიოდული ორგანოებისა: ჟურნალი და გაზეთი „ლომისი“, ჟურნალი „ხომალდი“, ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“, ჟურნალი „ილიონი“, გაზეთები: „ქართული სიტყვა“, „ბახტრიონი“, „ლაშარი“, „რუბიკონი“. დასასრულ ამავე კავშირმა დაარსა ევროპიული ტიპის ჟურნალი „კავკასიონი“ და „ახალი კავკასიონი“. აი, ჩვენი მუშაობა. (ხმა ადგილიდან: მოხსენებები?) დიახ, გარდა ამისა ჩვენი ხელოვნების სასახლეში იკითხებოდა მთელი რიგი მოხსენებათა ლიტერატურის, ხელოვნების და კულტურის საკითხებზე.

ასეთი იყო ჩვენი მუშაობა. და ჩვენ გვინდა მოძვალში კიდევ მეტის ინტენსივობით ვაწარმოოთ ეს მუშაობა ქართული კულტურის აღორძინებისათვის, გვინდა შევქმნათ ნიადაგი, რომ შესაძლებელი იყოს ამ მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება. ამ მხრივ, ამ გაერთიანებულ ყრილობას მწერლებისას, რომლის ორგანიზაციაში ჩვენს კავშირსაც მიუძღვის წილი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენ გვინდა ამოიწუროს ძველი გაუგებრობა, რომ შესაძლებელი გახდეს ჩვენი კულტურული საქმიანობის გაღრმავება. პოლიტიკანობა არ არის მწერლობის საქმე. პოლიტიკური კონტროლისათვის არსებობს სათანადო ორგანოები. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ იმ სფეროში, რომლისთვისაც პირდაპირ მოწოდებულნი ვართ, ქართულ მწერლობისა და ქართული კულტურის წინსვლის საქმეზე. დეკლარაციების ხანამ უკვე განვლო, და ეს დღეს არავისთვის არ უნდა იყოს არც საჭირო და არც საინტერესო.

ჩვენი ყრილობის წინაშე სდგას მთელი წყება წმინდა საქმიანი ამოცანებისა და აი ამას უნდა მიექცეს ყურადღება, ყრილობა ამ საქმიანი ხაზით უნდა წავიდეს.. რა გვაქვს ჩვენ გასაკეთებელი? შეიძლება ის საკითხები, რომელთაც მე ჩამოვთვლი ცალ-ცალკე პატარა საკითხებია, მაგრამ ისინი, ერთად აღებული ქმნიან იმ დიდ ჯამს, რომელსაც ქართული კულტურა ეწოდება.

რა გვესაჭიროება ჩვენ?

ჯერ ერთი, პირველ რიგში საჭიროა ქართული საგამომცემლო საქმის მოგვარება. საჭიროა მკვიდრ ნიადაგზე დაყენება სახელმწიფო გამომცემლობისა. ქართული წიგნის მსვლელობის რადიუსი ძალიან მცირეა და აქ მიუცილებელია ერთგვარი პროტექციონიზმი სახელმწიფოს მიერ.

მორიგი ამოცანაა აგრეთვე მწერალთა კავშირთან დაარსება ქართული სიტყვის ინსტიტუტისა, რომელსაც ექნება სამეცნიერო გამოკვლევითი ხასიათი. ქართულ მხატვრულ სიტყვასთან დაკავშირებული პრობლემები სრულებით შეუსწავლელია; ასეთი ინსტიტუტის დაარსების საჭიროება უკვე სავსებით მომწიფებულად უნდა ჩაითვალოს და საქმის გასაძღოლად სათანადო ძალებიც მოეპოება მწერალთა კავშირს.

მორიგ საკითხს წარმოადგენს აგრეთვე ქართული ენის აკადემიური ლექსიკონის გამოცემა. პირდაპირ ნაციონალურ სირცხვილად უნდა ჩაითვალოს, რომ ასეთი ლექსიკონი დღემდე არ მოგვეპოვება. საჭიროა შესდგეს სათანადო კოლეგია, როგორც მწერალთა კავშირის, ისე სამეცნიერო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობით. რომელიც შეასრულებს ამ მორიგ მუშაობას.

მწერალთა კავშირმა და კერძოდ ქართული სიტყვის ინსტიტუტმა, რომელიც მწერალთა კავშირთან უნდა დაარსდეს, უნდა იზრუნოს ქართული ენის გაწმენდისათვის. ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმები არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული. ყველა გამოცემებში და განსაკუთრებით ყოველდღიურ პრესაში ადგილი აქვს ქართული ენის სისტემატიურ დამახინჯებას. ამ გარემოებას ქართულმა მწერლობამ უნდა გაუწიოს ანგარიში და იზრუნოს ქართული ენის სიწმინდისათვის.

ამას გარდა არის მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ მოგვარებას. ასეთია მაგალითად: ქართული ზეპირი სიტყვიერების შეგროვება. ახალი ყოფის განმტკიცებასთან ერთად ზეპირი სიტყვიერების ნაშთები დავიწყებას ეძლევა. არაა აქ საჭირო სიტყვის გაგრძელება იმის შესახებ, რომ ქართული ზეპირ სიტყვიერების გამოქვეყნება განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს არა მარტო მეცნიერებისათვის, არამედ პირველ რიგში მხატვრული მწერლობისათვის. ამ მხრივ მწერალთა კავშირს უნდა მიეცეს საშუალება იმ დიდი საქმის შესასრულებლად.

ასეთია ის პრაქტიკული საქმიანი ამოცანები, რომლებიც პირველ რიგში სდგას ქართული მწერლობის წინაშე. ჩვენი ყრილობის მუშაობა—აი ამ საქმიან ხაზით უნდა წავიდეს, დეკლარაციები აქ ზედმეტია. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩვენი კავშირი თავიდანვე იდგა თანამშრომლობისა და საქმიანი მუშაობის გზაზე და ჩვენ გვინდა გავაგრძელოთ ეს საქმიანობა ქართული კულტურის აღორძინებისათვის.

ჩვენ დაგვრჩენია გამოვსთქვათ იმედი, რომ ის გარკვეული ეროვნული ელფერი, რომელიც გადაჰ

კრავს ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის უმრავლესობას, არ დაუშლის ამას ხელს. ჩვენ ერთხელ კიდევ ხაზს ვუსვამთ, რომ ხელმძღვანელი პარტია პატარა ერების ნაციონალურ საკითხზე ამყარებს მთელ თავის პოლიტიკას აღმოსავლეთში. ვფიქრობთ, რომ ეროვნული მიდრეკილება, რომელიც ემჩნევა ქართველ შემოქმედ ინტელიგენციას, არ იქნება ხელის შემშლელი იმისა, რომ დამყარდეს კონტაქტი ქართულ ლიტერატურის და ხელისუფლების შორის კულტურულ საქმიანობაში. ინტენსიური მუშაობა საქმით და არა დეკლარაციებით, აი აქ არის პირდაპირი დანიშნულება ქართული მწერლობისა და მწერლობა ამ ვალს ღირსეულად შეასრულებს.

პავლე ინგოროყვა.

■

ხელოვნება და ეროვნული საზოგადოებრივება

კაი ხანია საზოგადოთ რუსეთში და ჩვენს საზოგადოებაში მეტათ საგულისხმიერო კამათია გამართული, მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ხმაურობაა ამტყდარი ხელოვნების საკითხების შესახებ. ყველა, ვისაც კი რაიმე გაეგების ან არ გაეგება,—დიდიდან პატარამდე,—ამ საკანს ჩაჩქნის და უტრიალებს და თავისებურათ უძებნის თავსა და ბოლოს. სიმართლე უნდა ითქვას, საერთოდ ამ კამათში ბევრი უთავბოლობა და უგზოუკვლობაა, ბევრი სიმკვახე, მოუმწიფებლობა და გადამლაშებაა. ამ საყოველთაო ხმაურობაში ძალიან ხშირათ ყალბი და ხრინწიანი ხმები ისმის, რაც ბოლოს და ბოლოს ყველაფერს ჰრევს და აუგემურებს.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ეს მოვლენა ყოველ შემთხვევაში კარგის მომასწავებელია. და ეს არა იმიტომ, რომ იგი ვითომ თავის თავად, დღევანდელი „ლიტერატურული ომების“ პროცესში წარმოშობს რალაც სრულიად ახალს, სრულიად დამოუკიდებელს, სრულიად თვითმყოფსა და თავისთავადს ხელოვნებასა და ლიტერატურას,—ეს უბრალოდ თავის მოტყუილებაა,—არამედ იმიტომ, რომ ამ საკითხების შესახებ ადრე თუ გვიან უფრო სწორი შეხედულება დამკვიდრდება ხალხის მოაზროვნე ნაწილში და ძლეულ იქნება ის ძირითადათ ყალბი აზრები, რომელიც მაჯლაჯუნასავით აწევს დღეს მრავალთა გონებას. ძველი ამბავია: „აზრი რომ აზრსა ხვდებაო, სიმართლე გამოჩნდებაო“. და ეს სიმართლე შემდეგ ავად თუ კარგათ თვითონვე გაიკაფავს და გაიგნებს გზას ცხოვრებაში.

ხელოვნების და მისი მნიშვნელობის გამორკვევა პროლეტარიატის და საერთოდ ხალხის სოციალურ ცხოვრებაში იმ გვარ საკითხთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა გადაწყვეტა ნაუცბათევი კალმის მოსმით და მზა-მზარეული რეცეპტების საშუალებით ყოვლად შეუძლებელია. სახელდახელოთ, მოდაში შემოსული, ხელოვნების გამარტივებული „ფილოსოფია“, რომლის მიხედვით ყოველი ხელოვნების ნაწარმოები ან „ჩვენი“ უნდა იყოს ან „სხვისი“, ან ამ კლასს უნდა ეკუთვნოდეს, ან იმ კლასს,—მდგომარეობას სავსებით ვერ გაგვიშუქებს, მოჯადოებულ წრეს ვერ გაგვირღვევს. აქ მეტად რთული პრობლემაა, რომელიც მთელ კულტურულ-ისტორიულ მსვლელობასთან არის დაკავშირებული და მოითხოვს ღრმა განხილვას მთელი თავისი სისავსით და სიღრმით. ნამდვილად სწორეთ ეს **ორგანიული ისტორიულ-ევოლიუციური თვალსაზრისი** არაა მომარჯვებული ხშირათ თანამედროვე მსჯელობაში საზოგადოთ კულტურის და საკუთრივ ხელოვნების საკითხის შესახებ. ამ სფეროში დიდი ეხათ-აღრევაა. ეს ემჩნევა არა მარტო სხვადასხვა პოლიტიკურ-სოციალოგიურ მიმართულებებს, არამედ ერთი და იმავე მიმართულების სხვადასხვა ჯგუფებს და წარმომადგენლებსაც.

ძოსალოდნელი იყო თავიდანვე ამ მნიშვნელოვანი საგნის შესახებ **არსებითად** აზრის ერთნაირობა დამყარდებოდა თუნდაც საზოგადოთ მარქსისტებს შორის. მაგრამ ეს ასე არ არის.

ეს თვალნათლივი იქნება ყველასათვის, ვინც კი მოიგონებს „პროლეტარული კულტურის“ გარშემო ატეხილ პრინციპიალურ პოლემიკას რუსეთში ერთი მხრით პლეხანოვსა და პლეხანოველთა და მეორე მხრით ბოგდანოვ-ლუნაჩარსკის მომხრეთა შორის. მაშინდელი ბოლშევიკები ლენინის მეთაურობით ამ საკითხში პირველთა პოზიციას იცავდენ და სასტიკათ ილაშქრებდენ ძალათ „გამარცხნებული“ „ვპერიოდის“ ჯგუფის წინააღმდეგ.—ამასვე ამტკიცებს რუსეთის დღევანდელი ლიტერატურულ ჯგუფთა ბრძოლა და ჩვენებური ლიტერატურული გამოსვლები და დისპუტები.

საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ ხელოვნების საკითხში, ცოტაოდენის ცვლილებით, მეორდება იგივე, რაც მოხდა ეროვნული საკითხის ევოლიუციაში. თავდაპირველად ეროვნული საკითხის გაბიაბრუება, ერის უფლების უარყოფა, ნაციონალური ნიღილიზმი ბოლოს ეროვნული საკითხის აღიარებად და ერის უფლების აღდგენის ფაქტორთაგანად გადაიქცა. და ყოველივე ეს ხდებოდა რევოლიუციური მარქსიზმის და პროლეტარიატის კლასიური ინტერესების სახელით.

დღეს ზოგერთები იმავე მარქსიზმის და პროლეტარულ-კლასიური მოთხოვნილების სახელით მზად არიან სრულიად უარყონ წარსულის სულიერი კულტურა, მისი პოეზია და ლიტერატურა, როგორც რეაქციონური ნაშთი და „ბურჟუაზიული იდეო-

ლოგია“. ეს, მეტი რომ არა ვთქვათ, ყოველ შემთხვევაში უდიდესი გაუგებრობაა. ვინაიდან ეს გადმონაცემი კულტურა **ერთად-ერთი კულტურაა,** რომელთანაც საქმე აქვს მომავლის გამომჭედს—ახალ საზოგადოებრივ ძალას. მხოლოთ ამ გადმონაცემი „ბურჟუაზიული“ კულტურის ახალ პირობებში განვითარებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი განთავისუფლებული საზოგადოების კულტურა. ასეთია გზანი ისტორიისანი, როგორც საერთოდ კულტურის, ისე კერძოთ ხელოვნების და ლიტერატურის განვითარების სფეროში.

მხოლოდ ამგვარი გაგებით ეძლევა აზრი და მნიშვნელობა ეგრეთ-წოდებულ **„კულტურული მემკვიდრეობის“** მიღების საკითხს. თუ ამ დარგში ყველაფერი დაანგრიეთ და უარყავით,—მაშინ სამემკვიდრეო და თავსატეხი აღარა დარჩება რა. ხოლო თუ „მემკვიდრეობას“ მიიღებთ, ცხადია იმიტომ, რომ მისი წიაღიდან და მის ნიადაგზე აღმოაცენოთ ახალი კულტურა, ახალი სულიერი ცხოვრება, ახალი ხელოვნება. აქ დაცულია ისტორიული თანმიმდევრობა, კულტურის განვითარების მთლიანობა და ბუნებრივობა. ისტორიულად ყოველ გამარჯვებულ კლასს რომ უარი ეთქვა წარსულის კულტურის და ხელოვნების მიღებაზე და თავიდან დაეწყო ყოველივე, დღეს ერი და კაცობრიობა ველურ მდგომარეობაში იქნებოდა. მას არ ექნებოდა არავითარი კულტურა.

ტროცკი ერთ თავის საყურადღებო სიტყვაში *) ამბობს: პროლეტარიატი, რა თქმა უნდა, მიიღებს ბურჟუაზიული საზოგადოების მეცნიერულ და კულტურულ მემკვიდრეობას, მაგრამ ამ მიღების დროს იგი იხელმძღვანელებს ძველი რომის „საინვენტარო“ მემკვიდრეობის უფლებით, ე. ი. აირჩევს:—უსარგებლოს, გამოუსადეგარს უკუაგდებს და მხოლოდ თავის სასარგებლოს და გამოსადეგს მიიღებს გადმოცემულ მემკვიდრეობიდანო.

საბართლიანი შენიშვნაა, მაგრამ იგი შეეხება ყოველ კლასს, ყოველ ერთი მეორეს მომდევნო საზოგადოებრივ ჯგუფს, ყოველ შემდგომ თაობას. ვინ იქნება სულელი გადმოცემული მემკვიდრეობიდან უსარგებლო და მავნებელი აირჩიოს. ეს თავის თავად ცხადია და, ვფიქრობ, რაიმე ახალს არ უნდა შეიცავდეს საკუთრივ პროლეტარიატის მიმართ. ეს არავითარ შემთხვევაში არ სწყვეტს **ისტორიული კულტურის მემკვიდრეობითი კავშირს,** არ არღვევს იმ ორგანიულ ურთიერთობას, რომელიც ახალსა და ძველს კულტურას შორის არსებობს.

საქმე ის კი არ არის, გამოსადეგია თუ არა ძველი კულტურის განძები,—საქმე ისაა, საჭიროა თუ არა ახალი დროის, ახალი ქვეყნის კულტურაო,—ამბობენ ზოგიერთები.

რაღა თქმა უნდა, საჭიროა ახალი დროის, ახალი ურთიერთობის და ახალი ქვეყნის კულტურა: ყოველ ქვეყანას და ყოველ ეპოქას თავისი კულტურა ახასიათებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს „ახალი კულტურა“ Volens nolens ძველს კულტურაზე იქნება დამყნილი, იგი ძველი კულტურის საშოდან უნდა წარმოიშვას და განვითარდეს, ძველი კულტურის საძირკველზე უნდა ამოშენდეს,—ვინაიდან „თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია“.

ახალი კულტურა,—რაც გინდათ დაარქვით მას: პროლეტარული თუ ზოგადკაცობრიული,—აუცილებლათ „კანონზომიერი განვითარება“ უნდა იყოს იმ კულტურის, რომელიც კაცობრიობას შეუმუშავებია დღევანდლამდე. პროლეტარიატი მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის ისტორიულ მისიას და დააგვირგვინებს თავის გამანთავისუფლებელ საქმეს, როცა იგი გაკულტუროსნდება ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით და ამაღლდება, როცა იგი სავსებით შეითვისებს წინათ არსებულ კულტურას და დაეუფლება მას. უამისოდ არაა წინსვლა და განვითარება. რაც კულტურაზე ითქმის საერთოდ, იგივე უფრო მეტის სიმტკიცით და დაბეჯითებით შეიძლება განმეორდეს ხელოვნების შესახებაც.

ჩვენ კარგათ გვესმის, თუ როგორ კულტურულ-საზოგადოებრივ პირობებში ვითარდებოდა ხელოვნება ისტორიულად. ისიც კარგათ ვიცით, თუ როგორ იყენებდა ამა თუ იმ ეპოქაში ესა თუ ის გაბატონებული კლასი საერთოდ მთელს კულტურას და სახელდობრ—ხელოვნებას, როგორ სარგებლობდა ამით საზოგადოების უფლებამოსილი პრივილეგიური უმცირესობა. მაგრამ აქედან ის დასკვნა არ გამოიყვანება, ვითომ გაბატონებული კლასების დაცემას თან უნდა მოყვეს ხელოვნების დაცემაც. ეს დიდი უაზრობა იქნებოდა. მერინგის მოსწრებულ შენიშვნით, გაბატონებული კლასების დაცემასთან ერთად ხელოვნება დაეცემა, **მაგრამ დაეცემა არა როგორც ხელოვნება, არამედ, როგორც პრივილეგია.** მაშინ გადაიქცევა იგი იმად, რადაც უნდა იყოს და რაც არის ნამდვილათ თავისი შინაგანი ხასიათით,—საზოგადოებრივ კუთვნილებად, მთელი ხალხის ხელოვნებად.

ხელოვნება არა ჰგავს დრომოჭმულ პოლიტიკურ ინსტიტუტს, გადასავარდნ პოლიტიკურ წყობილებას, რომლის მოსპობის შემდეგ მხოლოდ არა სასიამოვნო მოგონება-ღა რჩება შთამომავლობაში. ყოველი ახალი გამანთავისუფლებელი მოძრაობა საბოლოო ანგარიშით გზას უხსნის ხელოვნურ შემოქმედებას და აფართოებს მისი გავლენის საზოგადოებრივ კალაპოტს. სოციალური რევოლიუცია კი არ სპობს ხელოვნებას,—ამ ერის მრავალ საუკუნოვან სულიერ საუნჯეს,—არამედ ანთავისუფლებს და აზოგადებს მას. სწორედ ამ აზრით ესმოდა ერთს დროს დიდებულ რ. ვანგერს ხელოვნების და სოციალური რევოლიუციის ურთიერთული კავშირის აუ-

*) მენდელეევის სახელობის ქიმიკოსთა უკანასკნელ ყრილობაზე მოსკოვში.

ცილებლობა (მისი „Die Kunst und die Revolution“). ამ გვარადვე ესმოდათ და ესმით ამ ურთიერთობის საკითხი კაცობრიობის უდიდეს რეფორმატორებს.

ხელოვნება დღეს ხელმისაწდომია საზოგადოების სულ უმცირესი ნაწილისათვის. საჭიროა, რომ ის ხელმისაწდომი გახდეს მთელი საზოგადოებისათვის. ხელოვნება უნდა ეკუთვნოდეს ხალხს და არ უნდა იყოს გადაქცეული მხოლოდ მოსახლეობის ერთი ნაწილის, ერთი სოციალური კლასის პრივილეგიად. ეს ძალიან ძველი მოთხოვნაა. იგი ბრ. ვილეს თქმით, ისმოდა ჯერ კიდევ ძველს საბერძნეთში. იგი ისმოდა აგრეთვე გვერდერის, ლესინგის, გოეთეს და შილერის დროს. ძველ ბერძენთათვის ეს ნაციონალური მოთხოვნილება იყო. გერმანელ კლასიკოსების დროს იგი ემყარებოდა იმ მოსაზრებას, რომ არტისტიული კულტურა ანვითარებს ზნეობრივ კულტურას. თანამედროვე განმათავისუფლებელი ხანა სხვა თვალთახედვის ისრით ხელახლა აყენებს ამ საისტორიო მნიშვნელოვან მოთხოვნილებას.

ხელოვნება უნდა ბატონობდეს არა მარტო მუზეუმებში და ხელოვანთა სახელოსნოებში, არამედ ქუჩაზედაც, ბუნების წიაღში, სამარადღეო ცხოვრების სულ უმნიშვნელო საგნებშიაც, მას შეუძლია ყველაფერი გააბრწყინოს თავის სინათლით, ყოველივე გადაახალისოს, ყველაფერს დაასვას თავის გამაკეთილშობილებელი დაღი. ხალხთა ცხოვრებაში ყველაზე უფრო ბედნიერი იყო ის ეპოქები, როცა ჩვეულებრივი სამკაულის უბრალო ნაწილებიც კი განირჩეოდენ თავის სილამაზით და მოხდენილობით. თუ ახლანდელ საუკუნეში ხელოვნება მოწყვეტილია ჩვეულებრივ სამარადღეო ცხოვრებას, ამის მიზეზია კაპიტალისტური წესწყობილება, რომელმაც ხალხში ესთეტიური მიდრეკილება ჩაჰკლა და მისი ცხოვრება ერთიანათ მახინჯ, ულამაზო პირობებში ჩააყენა (დესტრე).

აქედან აშკარაა, თუ რა ევალება ახალ დროს და ახალ გარემოებას ცხოვრების და ხელოვნების დაღვეული კავშირის აღსადგენათ, რა მისია უნდა შეასრულოს გამათავისუფლებელმა მოძრაობამ ხელოვნების და ხალხის დასაახლოვებლათ.—როგორი ევოლიუცია უნდა მოხდეს, რომ ხელოვნების მადლი და შუქმფინარობა საყოველთაოთ მოევლინოს ერის გამთელებულ სულსა და გულს.

ნ. საჭარელი.

ქართული კულტურის ახალი გზები

საქართველოს ისტორია უკანასკნელი თექვსმეტი საუკუნის არის მისწრაფება დასავლეთისაკენ. ჩვენი ცხოვრება ორი ათასი წლის განმავლობაში იყო ბრძოლა ჩინური კედლის შენგრევისათვის—ევროპაში. აღმოსავლეთიდან მოქნეული—ვახეთქებდით ამ კედელზე თავს. და ეს კედელი ვერ შევანგრიეთ.

კავკასიის კორიდორი. ქარი გამჭვალავი. ხმა-ჩაწყვეტილი. გამოხარშვა საკუთარსავე სისხლში... ამ უნიადაგო ცოდვილში გადავიტარეთ ზურგზე ოცი საუკუნე.

ამ ხანში—ქრისტიანული კულტურა დასავლეთის დაცვდა. რომანულ-გერმანულ რასათა გენეალოგიის ხეს მოალპა ფესვი. ევროპა, როგორც იდეა—გათავდა.

ესაა ფაქტი, რომელასც არ მალავს თვით დასავლეთი.

მაგრამ ლიღიკურად ამ გათავების ფაქტს უნდა მოყვეს ფაქტი მეორე: დაწყება სხვა, ახალი კულტურის, ან გადახალისება არსებულის. ერთიც და მეორეც შეიძლება შეთანხმებულ იქნას ისტორიულ მსვლელობაში. ეს შესაძლებელია. მაგრამ სად, რომელ ადგილზე მოხდება ეს? ამ საკითხს სწყვეტს კულტურათა ისტორია და ეს ისტორია ცხადყოფს, რომ ახალი კულტურის ტერიტორია, ამ კულტურის ცენტრი იქნება არა იქ, საცა დღესაა, არამედ სხვაგან, სხვა მიწაზე. სად და რა სახით?

კანონები კულტურის მიგრაციის გვიპასუხებს: უთუოდ ჩრდილოეთისაკენ—აღმოსავლეთით.

ესაა დიაგნოზი მიმდინარე საუკუნის, დღევანდელი დღის. იცვლება ამინდი ზღვაზე. ქარი დაჰბერავს სხვა გზით და სხვა მხარეთი. და აღავსებს ახალ ადამიანს: ახალი სულით. კულტურით. იდეით. ახალი ორი ათასი წლით

დგება დრო ჩვენი გზების გადასინჯვისა. არჩევანის დრო.

ერთხელ ჩამოვრჩით დიდ, საკაცობრიო გზებს. ჩამოვრჩით, გამოვრჩით, თუ ვერ ჩავეტიეთ, მაგრამ ფაქტია, რომ წამება ოცი საუკუნის ვერ გავასაღეთ. ამაში ჩვენ დასავლეთიდან არაფერი შემოგვაძლიეს. ჩვენ წავაგეთ—რაინდობა, ჯვარი, ქრისტე, სისხლი: დასავლეთმა არ გაანაღდა არც ერთი ეს მსხვერპლი, თუმცა მოთხოვნილება ამ საგანზე თითქოს დიდი არსებობდა უკანასკნელ დრომდე.

ორბელიანი დაბრუნდა ევროპიდან გულგატეხილი, მაგრამ უკვე მოწამლული ევროპის ცინიზმით: ევროპის შემოთრევა კათოლიკურ საქართველოს დღეით, ეს იყო უკანასკნელი ცდა და ამავე დროს დეკადანსი ქართული პოლიტიკური რომანტიზმის. ცდა რეალური პოლიტიკის შექმნის. მაგრამ ამ პალიატივმა არ გასჭრა და საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტა ჩრდილოეთმა.

ყველაფერი, რაც დღეს ხდება ევროპის საქარ-

თველოში შემოთრევისათვის—არის უნიჭო და უპათოსო განმეორება ძველის. ამას გადავატანეთ წარსული ოცი საუკუნე.

უფრთხილდეთ მეორე ორი ათას წელს. გვეშინოდეს მომავლის. თუ ქართული ტვინი არ გათბა ამ ახალ საუკენეთა სიცხეში, თუ ჩვენი თესლი არ ჩაითესა ახალი ეპოქის გაზაფხულზე, თუნდაც სისხლად,—საქართველო გათავდება უკანასკნელი სიკვდილით.

საქართველოს ბედი და მისი გზები თავსდებოდა ყოველთვის ერთ ფორმულაში: „წახვალ ინანებ, არ წახვალ ინანებ“. ესაა მეტაფიზიკა ჩვენი წარსულის.

დღეს ნერვიულად ამოძრავდა მსოფლიო ბედისწერის სეისმოგრაფი. საჭიროა გრძნობა მასზე უმეტესი, რომ წავიდეთ იმ გზით, სადაც „არ ვინანებთ“.

ვინ იზამს ამას? სადაა ცეცხლის სვეტი, რომელსაც გაჰყვება ერის ვარსკვლავი და ქართული მიწა—ქარის ცემით გაკაჟებული.

ესაა თემა. ეს თემა ეძებს განაღდებას მოქმედებაში.

*

დაგვრჩა რამე კიდევ ევროპაში, თუ დროა ვიფიქროთ განშორებაზე, გაყრაზე, მაშასადამე, იდეურ დაპრისპირებაზე ევროპასათან? საქართველოსთვის ეს საკითხი პირველად ყოვლისა არის საგანი აქტიური პილიტიკის. მაგრამ ამ ნიადაგზე არსებული აზრთა ბრძოლა საქართველოში მიმდინარეობს შეურაცყოფილი ფსიხოლოგიის ფარგლებში და სცდება ისტორიულ პრესპექტივის ობიექტურად გაგების გზებს.

ამ დიდ კითხვას ხელოვნურად შეხურებული ქართული ტვინი მხოლოდ მაშინ დასძლევს, თუ ის გადალახავს იმ ავადმყოფ გრძნობას, რომელიც დასწოლია დღეს საქართველოში ყველაფერს. და როცა ამ ძველ პერანგს საქართველო შემოიხევს,—მაშინ უკვე შესაძლებელი იქნება დაისვას პრობლემა საკუთარი კულტურის ფეხზე დაყენებისა და, ამნაირათ, ჩვენი ეროვნული გზების ახალი მიმართულებით გამართვის შესახებ.

არაა საჭირო დიდი ხნით შეჩერება საკითხის ასეთ პოლიტიკურ მხარეზე, რამდენათაც პოლიტიკა გუშინდელი ბელადების ხასიათდებოდა ბატონის მაძიებელ ყმის ფსიხოლოგიით. ასე იყო ძველათ. ეს მეორდება დღესაც. ჩვენს დროში კი საკითხი ევროპასთან პოლიტიკური ერთობისა იმ ხაზით, რომელზედაც ოცნებობდა ძველი საქართველო უკანასკნელ დრომდე,—უნდა მოიხსნას ერთხელ და სამუდამოთ. არა იმიტომ, რომ ეს შეუძლებელია, არამედ უმთავრესათ იმისათვის, რომ დღეს ამას აღარა აქვს ისტორიული გამართლება და კიდევ იმიტომ, რომ ეს გზა საზარალო გამოდგა ჩვენთვის.

ძველათ სწამდათ, რომ ხსნა იყო ევროპაში. ჩვენს დროში-კი ეს უკვე **ალარავის ალარ სწამს,** მაგრამ პოლიტიკა ამ ნიადაგზე მაინც იქმნება.

დღეს ევროპაში საქართველო აღარავის აინტერესებს, როგორც საგანი რომანტიული მზრუნველობისა და მეგობრობის. და ვინც ფიქრობს დღევანდელი მდგომარეობიდან „თავის გამოძვრენას“, უნდა დაფიქრდეს იმაზედაც, თუ სად შეჰყოფს თავს ამ გამოძვრენის შემდეგ.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში ეროვნულის თვალსაზრისით უნდა აღიარებული იქნას სრულიად მისაღებ პოლიტიკურ ბაზად. ეს უნდა იქნეს ფსიხოლოგიურათ შეთვისებული, სავსებით დაძლეული. ამ საკითხს დღევანდელის სიმწვავით ქართული ეროვნული აზროვნება არ უნდა დაუბრუნდეს მომავალში.—ქართველმა ხალხმა თავის ენერგია უნდა წარმართოს სხვა, უფრო რეალური, უფრო კონკრეტიული მიზნებისაკენ და გამოსჭედოს ახალი, ნამდვილი ეროვნული სახე.

რაც არ მოხდა ისტორიულად—ეს უკვე ვიცით. რაც მოხდა—ეს უნდა შევაფასოთ.

*

ძველი რუსეთი მოისპო და თუ სადმე უნდა გათბეს გაციებული გული ლენინის,—ეს უნდა მოხდეს დაჩაგრულ ერთა მზის ქვეშ.

ბევრია ურწმუნო და ბევრი ფიქრობს საბჭოების გარდაცვალებაზე. ბევრი უარყოფს ბევრ რამეს, მაგრამ ყოველგვარ უარყოფის შემდეგ ერთი რამ მაინც რჩება საბოლოო:—გაღვიძება და ამოძრავება ერებისა. იმპერია დაიღუპა. დაირაზმა ერები. უნდა ვეცადოთ ამ რაზმებში ვიქნეთ პირველი.

ეს უნდა იყოს დღეს ეროვნული პოლიტიკის მთავარი ხაზი საქართველოში. ამას უნდა მოხმარდეს ამოძრავებული ეროვნული ენერგია და თუ დღეს იგი ამოძრავებული არაა,—ამის გულისათვის იგი უნდა ამოძრავდეს. ესაა უპირველესი მოვალეობა ყოველი კულტურული ქართველისა დღევანდელ დროში. და თუ საქმე მიდგება ანგარიშზე (რომანტიკას ჩვენ, რასაკვირველია, უარვყოფთ), აქაც ვიანგარიშოთ.

*

თუ მართალია ის, რომ ევროპის იდეური შინაარსი გამოშრა, თუ მართალია კრიზისი თანამედროვე ცივილიზაციის,—მაშინ უნდა ვიფიქროთ მომავალი კულტურის ახალ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე და შესახებ იმისა, თუ რა მონაწილეობას მიიღბეს საქართველო ამ ახალი ეპოქის შექმნისა და განმტკიცების საქმეში.

მე განგებ ვახსენებ სიტყვას „კულტურის გეოგრაფიული ტერიტორია“, რადგანაც ფაქტი კულტურათა მოძრაობის ყოველთვის დაკავშირებული იყო ამ კულტურათა გეოგრაფიული ცენტრების გადაწევ-გადმოწევაზე. ხოლო ეს მოძრაობა დამოკიდებულია ამა თუ იმ ცენტრის გეოგრაფიულ მდებარეობაზე. ამ საკითხის შესახებ არსებული თეორია შესაძლებლად ხდის აღვადგინოთ ყოფილ კულტურათა მოძრაობის ხაზი და გავითვალისწინოთ ამ კულტურის მიმდინარეობის მომავალი გზები.

წარსულ კულტურათა მსვლელობის ხაზი: ნინევია; (მოსსული) ბაღდადი; ეგვიპტე; (კოსსეირი); კრისტოსის კულტურა, ტროია; ათინა; რომი; ჰალლია--პარიზი--ბრიუსელი; ბრიტანეთის კუნძულები: ირლანდია; ლონდონი; ჰულლი; ედინბურგი; ბერგენი; ქრისტიანია; პარალელურათ გზის გადაზნექა გერმანეთისკენ...

ესე იგი:—ათასი წლის წინეთ ქრისტეს დაბადებამდე კულტურის საბინადრო იყო გეოგრაფიული ტერტორია საშუალო წლიური სითბოთი +20° და ზევით; ქრისტეს დაბადების ეპოქაში კი: +15° და ზევით; ქრისტეს დაბადებიდან მეათასე წლამდე +10° და მეტი; მეათასე წლიდან ჩვენ დრომდე— +5° და ზევით.

ასე იყო დღემდე. ეს გზა ახასიათებდა კულტურათა მიმდინარეობას დღევანდლამდე. და რამოდენადაც ეს წესი მეფობდა ამ საუკუნეთა განმავლობაში, ძნელია ამთავითვე მტკიცება იმისა. რომ ძალები, რომელნიც ამოძრავებდენ კულტურათა გზებს წარსულში, მომავალშიაც არ წარმართავენ მას იმავე წესით. და თუ ეს შესაძლებელია მომავალშიაც, მაშინ ხომ **კულტურა მესამე ათასი წლისა ქრისტეს შემდეგ დაჰფარავს გეოგრაფიულ მიდამოს საშუალო წლიური სითბოთი 0 ახლო. ესე იგი მთელი ალმოსავლეთი ევროპა, ციმბირი, ჩრდილოეთი ამერიკა...**

შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთის თანამედროვე კულტურა არის ყველა აქამდე არსებულ კულტურაზე უნივერსალური, რომ დღევანდელმა ტეხნიკამ ეს კულტურა გააბატონა არა მარტო განსაზღვრულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, არამედ მთელს მსოფლიოზე. ამ კულტურამ შესვა და შეითვისა ყველა აქამდე არსებულ კულტურათა ხასიათი; დაჰფარა მთელი პლანეტა თვისი გავლენის ძლიერებით და, ამრიგათ, თანამედროვე კულტურის მატერიალურმა ენერგიამ თითქოს დაანგრია ყოველგვარი კანონი კულტურათა მოძრაობისა, თითქოს შეუძლებლად გახადა შესაძლებლობა ახალი გზების აღმოჩენის და გამართვისა. ამ მოსაზრებით, ევროპა თითქოს კიდევ გაუძლებს იმ ახალ ისტორიულ ძალებს, რომელნიც ამოძრავდებიან მომავალში და რომელნიც წარსულში ამოძრავებდენ კულტურათა გზებს. მაგრამ მიმდინარე ეპოქა გვეუბნება ხომ სულ სხვა რამეს. ჩრდილოეთი ამერიკა ხდება მსოფლიოს გეგემონათ. შეიძლება ვალიაროთ ამერიკისა და ევროპის კულტურული ერთფეროვნება, ტრადიციულობა, მაგრამ შეუძლებელია უარყოფა იმისა, რომ ამერიკანული კულტურა მიდის განსაკუთრებულის „რევოლიუციონური“ ნახტომებით და ამ ინტენსიურ განვითარებაში ერთი უდიდესი ფაქტორთაგანია ჩრდილოეთ-ამერიკის მკაცრი ბუნებაც (+0°); ეს ბუნება ქმნის რკინის ადამიანს სულ სხვა, ახალის ტრადიციით და ინიციატივით.

მეორეს მხრივ შეუძლებელია გვერდი აუხვიოთ დღევანდელი ჩრდილო-აღმოსავლეთი ევროპის მნიშვნელობას მსოფლიოს დღევანდელ ცხოვრებაში. დღეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპას უკავია ცენტრალური მდგომარეობა, დღეს იგი იპყრობს მთელი მსოფლიოს ყურადღებას.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ, და აქედან მძლავრად ამოქმედებულმა კომუნისტურმა მოძრაობამ დღეს დაჰფარა თავის მნიშვნელობით ყოველგვარი **იდეოლოგიური** მოძრაობა მსოფლიოში. ჩვენ მოწამე ვართ უცნაური მოვლენისა, როცა ჩვენ თვალწინ მატერიალისტური რაციონალიზმი გადადის თითქმის რელიგიურ პათოსში. და დღეს გარეშე მდგომ ადამიანსაც კი სჯერა, რომ აქამდე წყეული ხე „ცნობადისა, კეთილისა და ბოროტისა“ მართლაც აყვავდება ცხოვრების ხედ, რადგან ახალი სული, ახალი რწმენის პათოსი დღეს ურტყამს მიუღწეველ და დღევანდელი გარკინებული კაცობრიობისათვის წარმოუდგენელ საზღვრებამდე.

ეს ხდება არა დასავლეთში, არამედ ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპაში და ის, რაც დღეს ხდება რუსეთის რევოლიუციის ტერიტორიაზე, სწორედ იმ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, რომელიც ჩვენის ფიქრით უნდა გადაიქცეს მომავალი კულტურის ფუძეთ,—დიამეტრალურად ეწინააღმდეგება დასავლეთი კულტურის დღევანდელ ობიექტურ შინაარსს.

აქაა დასაწყისი დღევანდელი კულტურის გადმოხვრისა და გადმოთესლებისა ჩვენსკენ, აქედან იშლება ბრწყინვალე პერსპექტივა ჩვენი მომავალის და სრული უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ „ისტორია ურახუნებს ჩვენს კარებზე“. ნუ ვიუკადრისებთ, თუ ის მოგვევლინა მათხოვარის სახით.

*

დღეს ჩვენთვის, ქართველებისათვის, საჭიროა, რომ ჩვენში დამკვიდრდეს ეს **გრძნობა** ახალის მოლოდინისა და შეგნება, რომ ამ ახალის **ქმნაში** ისტორიამ საქართველოსაც დააკისრა საპატიო როლი. დღეს ამ გრძნობის შექმნა მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია ჩვენში. ამის შემდეგ კი თავისთავად ამუშავდება აზროვნება, რაც გამოიწვევს საქმეს და **საქციელს** და რაც ლოღიკურად მიგვიყვანს იდეათა ფაქტიურ რეალიზაციამდე.

*

თუ მომავალი კულტურის ცენტრად გადიქცევა აღმოსავლეთ-ევროპის ტერიტორია—ე. ი. რუსეთის დიდი რევოლიუციის საბინადრო—მაშინ ჩვენ უნდა აღვიაროთ რომ ამ მომავალი კულტურის ნიადაგი არაა ერთნაირი. ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე ბინადრობს მრავალი ერი, რომელთა კულტურული გზები სულ სხვადასხვა ნაირია: აქაა შეჯგუფებული ერთის მხრივ მაქსიმუმი ენერგიისა, რომელიც ერთ დროს აღწევდა თავის განვითარების მწვერვალებს, მეორეს მხრივ სულ ახალი, აუმოძრავებელი ძალები. რუსეთი, საქართველო, სომხეთი, უკრაინა, ციმბირი, თურქესტანი, აზერბეიჯანი... ეს გეოგრაფიულად

და რასსიულად სხვადასხვა ელემენტები, ერთის იდეითა და ახალი ისტორიული ინერციით შეერთებული,—პერსპექტივაში გვიხატავს წარმოუდგენელ შემოქმედებითი შესაძლებლობას და ახალი ეპოქის მიღწევანი შეიქმნება ამ ხალხთა თანასწორი მონაწილეობით. ეს იქნება არა რუსული კულტურა, არა კულტურა რომელიმე სხვა ერის, არამედ საერთო მიღწევა ყველა ხალხების, ჩამდგარის ერთ მთლიან საკაცობრიო გზაზე, მაგრამ ამავე დროს ეროვნულად გამაგრებულის, ეროვნულად აღფრთოვანებულის. ცხადია, დღევანდელი დასავლეთის კულტურა იქნება ამ მომავალის მასალა.

—:—

ჩვენ, კავკასიის ერებს, კერძოთ ქართველებს ამ ნიადაგზე გვეშლება განუსაზღვრელი ასპარეზი მოქმედებისა. ეს ასპარეზი გვეშლება არა მარტო დღევანდელ საკავშირო ფედერაციის ფარგლებში, სადაც ჩვენ ბევრი საბუთი გვაქვს მისა, რომ ვიდგეთ პირველ რიგებში, არამედ აზიის მიმართულებითაც. და ჩვენი კულტურული მისია წითელ აზიისაკენ აქედანვე უნდა აფიქრებდეს ყოველ შეგნებულ ქართველს.

დღეს ჩვენ დაბრმავებული ვართ მეშჩანური ქადაგებით. რევოლიუციამდე რევოლიუციონერები—ჩვენ რევოლიუციის შემდეგ რაღაც ფილისტერული ფსიხოლოგიით გავიჟღენთეთ. ჩვენ გვინდა შევხედოთ საქართველო ჩინურის კედლით და ყოველი უცხოური ჩვენს ქვეყანაში მიგვაჩნია შეურაცხმყოფელად. ეს მეშჩანური ფსიხოლოგია, რომელიც გამოწვეულია **სივრცის და ფართო ასპარეზის შიშით**—უნდა მოისპოს. უნდა ავმოძრავდეთ, გავბედოთ, გადავეშვათ ახალი ეპოქის ქარიშხლიან ზღვაში და შევქნათ გონებისა და ენერგიის დუღილი ჩვენს მიწა-წყალზე.

გვახსოვდეს, რომ ცოცხალთათვის არაფერი არაა სავალდებულო ერთის გარდა—ის, რაც დღემდე თქმულა და გაკეთებულა კაცობრიობის წინსვლისათვის, დღეს არ კმარა. ყოველმა თაობამ უნდა მიუმატოს ამ საქმეს და ამ სიტყვას თავისი წილი აქტიურობისა. დღეს-კი, მოქმედებისა და ფაქტების საუკუნეში, ცოცხალი საქართველო მოითხოვს ჩვენგან დიდ მსხვერპლს.

ეს მსხვერპლი ჩვენ უნდა გავიღოთ. ამას მოითხოვს რეალურად გაგებული ინტერესები საქართველოისა და ლოღიკა მიმდინარე საუკუნის.

ბეთლემის ლურჯი ვარსკვლავი ქრება და კარგავს სიმხურვალეს. ამოდის სხვა ცეცხლოვანი ვარსკვლავი მსოფლიოზე, რომელიც ანათებს ჩვენთვის დიდ შესაძლებლობათა გზებს.

„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი...—ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს".

გავყვეთ მას.

ნიკოლოზ მიწიშვილი.

■

ქართული ენის გაწმენდისათვის

სრულიად საქართველოს გაერთიანებულმა მწერალთა კავშირის ყრილობამ სამი გრძელი დღის თათბირის შემდეგ გამოიტანა მრავალი საგულისხმიერო დადგენილებანი. ამ დადგენილებათა შორის, უმნიშვნელესი იყო ქართული ენის გაწმენდის შესახებ დადგენილების გამოტანა. სხვა დადგენილებათა შესახებ და დაქსაქსული მწერლობის ძალთა შეერთების საისტორიო მნიშვნელობაზე რომ არა ვსთქვათ-რა, ქართული ენის გაწმენდის შესახებ საკითხის დაყენება და ყრილობის მიერ ამ საკითხში გამოჩენილი ერთსულოვნება აღიარებს ჩვენი მეტყველობისადმი პატივისცემასა და სიყვარულს, რომელიც მაჩვენებელია და უზრუნველმყოფელი ჩვენი მწერლობის და მწიგნობრობის ბრწყინვალე მომავლისა.

უცხოთაგან შემოღებული სიტყვების დახმარებით არა თუ ჩვენი მშობლიური ენა მდიდრდება და ვითარდება, არამედ იგი ღარიბდება და სუსტდება. მე არ დავიჩემებ, ნუ იქნება უცხო სიტყვები შემოღებული ჩვენს მეტყველებაში-მეთქი. ის სიტყვები, რომლებიც ჩვენს კილოს ეგუება და ქართულ ბუნებას ეთვისება, შეიძლება მათი მიღება, მაგრამ ისე, როგორც ეს დღეს ხდება,—ყოვლად მიუღებელია.

ჩვენი მშობლიური ენის სიმდიდრე და განვითარება ისევ ჩვენი სიტყვიერების სიღრმეში მალული ძალების კვლევა ძიებაზე და მათ განვითარებაზე არის დამოკიდებული. ერთი სიტყვით, ჩვენი სიტყვები ისევ მშობლიურ მეტყველების სალაროში უნდა ვეძიოთ, გამოვიტანოთ და გამოვიყენოთ. ნურავინ იფიქრებს, რომ მე ამ დიდი საკითხის გარკვევას ვეწეოდე, სრულიადაც არა: ამ საკითხის გარკვევა და მოგვარება ქართული ენათმეტყველების საქმეა და არა ჩემი, ეს ჩემს ცოდნასა და შეძლებას აღემატება. მე მხოლოდ მინდა ამ საკითხების გარშემო აღვძრა ბაასი.

ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ერის მთლიანობის გამომხატველი ქართული ენა განიცდის სხვადასხვა უაზრო და უცხო სიტყვათა შემოსევის ხიფათს, და სწორედ ამიტომ არის, რომ მეც ამ საკითხში, ჩემს თანამოდარდეებთან ერთად, ნაღვლიანად ვამბობ, თუ ამის საწინააღმდეგო რაიმე ზომები არ იქმნა მიღებული, ჩვენი ენა თანდათანობით გარდაიქცევა ალჟირელების მსგავს ენათ, რომელიც შესდგება დღეს ლათინურის, იტალიურის, ფრანგულის, ესპანურის და თავიანთი მშობლიური ენების ნარევიდან.

ალჟირელების ენა შთაინთქა უცხო ენათა შო-

რის, იგი დღეს არც ლათინურია, არც იტალიური, არც ფრანგული, არც ესპანური და არცა თვით ალჟირული, რაღაც ესპერანტოს მსგავსი ენაა სწორედ. დავიდოთ გულზე ხელი და ისე ვილაპარაკოთ:— როდესაც ესა თუ ის ერი დაჰკარგავს მშობლიურ ენას, შემდეგ დაურჩება განა მას რაიმე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სახე? რასაკვირველია, არა!

თუ ჩვენც ალჟირელებივით გულგრილნი ვიქნებით და ჩვენი სიტყვიერების საზღვრების ღიათ დატოვებით საშუალებას მივცემთ განუხილავად შემოიპაროს და შემოიჭრას უცხო სიტყვები ჩვენს სიტყვიერებაში, დიახ, ასე თუ იქნა, ალჟირელების ბედის საზღვარზე შევაგდებთ ჩვენს ოდესღაც მდიდარს და შინაარსიან მეტყველებას.

მე მსურს ჩემს თანამოდარდეებს განუზიარო, თუ სხვები როგორ იქცევიან ასეთ შემთხვევაში: ავიღოთ არაბები. ვინც გაცნობია მათ მწერლობას, კარგათ ეცოდინება, თუ როგორ სიყვარულით უფრთხილდებოდენ არაბნი თავიანთ ენას. უცხო სიტყვების დამკვიდრების შიშით—მიუხედავათ მათი სტუმართ-მოყვარეობისა,—არაბნი მეტად ერიდებოდნენ უცხოელებს. მეტადრე იმ ქალაქებში, სადაც მათ უმაღლესი და ენათმეტყველების სასწავლებლები ჰქონდათ დაარსებული, მაგალითად: „ნეჯდ“-ში, „სუუკ-ი-უქაზმ“-ში და სხვა ადგილებში. სიტყვები არ შემოგვაპარანო და ენა არ შეგვირყიონო, უცხოელებს სამ დღეზე მეტს არ გააჩერებდენ ხოლმე. თქმა არ უნდა, მაშინდელ პირობებსა და დღევანდელს შორის საუკუნეების მანძილია, მაგრამ ჩვენი მტკივნეული საკითხისთვის საუცხოვო მაგალითია.

და მართლაც როგორ მოხდა, რომ ენის მნიშვნელობა ასე კარგათ შეიგნეს ველად კარვებში მცხოვრებმა ბედუინებმა? (ბედენი). არაბულ ენაშიაც მოიპოვება უცხო სიტყვები, განსაკუთრებით მათი მონათესავე სიმიანთა (სამიანთა) ტომების, მაგრამ მითვისებულ სიტყვებს ისინი ზოგს თავში მიუმატებდენ, ან გამოაკლებდენ და ანუ ბოლოში მიაკრავდენ რომელიმე ასოს და შესთხზავდენ არაბულ სიტყვებს, რომელთაც თვით დამფუძნებელნიც კი ვეღარ გამოიცნობდენ, ისე საფუძვლიანად იყო სიტყვები გააარაბებული. ასეთი წესით შეუმჩნევლათ ვითარდებოდა არაბული ენა. ამასთან ერთად არაბნი თავიანთი ენიდან იშორებდენ და დევნიდენ ისეთ სიტყვებს, რომლებიც ტლანქი, ყურისათვის საჩოთირებელი, გამოსათქმელად მძიმე და სასმენათ არა-საამური იქნებოდა, და ნაცვლად იმისა შემოჰქონდათ კეთილხმოვანი, მარტივი და ფართო აზრი ანუ სიტყვები. არც ისე ადვილად ყალიბდებოდა სიტყვების შემუშავება, არაბულ ენიდან გასანდევნსა და შემოღებისათვის შესამუშავებელ სიტყვებს—მთელი თვეები კამათი უნდებოდა; ირჩეოდა მოთხრობების და ლექსების კილოს სისწორე და სიწმინდენი; მუშავდებოდა აგრეთვე ისეთი სიტყვებიც, რომელიც ორი-სამი სიტყვის შინაარს გამოხატავდა. ასეთი სიბეჯითით ეპყრობოდნენ არაბნი მშობლიურ ენას, რის მეოხებითაც შეჰქმნეს ისეთი მწიგნობრობა, რომელსაც, ასე ვსთქვათ, დღესაც მსოფლიოში არსებული მწერლობა ვერ შეედრება სიმდიდრით. საგანი არის, რომელსაც ასიდან ხუთასამდე სახელწოდება აქვს.

ენის წესების და კანონების შემუშავებამ და განვითარებისათვის საუკუნეების განმავლობაში გაწეულმა შრომამ და ზრუნვამ ისეთი დიდი მწერალ-პოეტები მოავლინა არაბეთში, რომ მათ ნაწარმოებში აღწერილი ბუნება ისე საუცხოვოთ არის დახატული, რომ ამ უკანასკნელ საუკუნეების გამოჩენილი მხატვართა ნიჭიერი კალამი თუ შეედრება მათ. არაბებს ურთიერთ შორის წმინდა კილოთი ლაპარაკი კანონათ ჰქონდათ მიღებული და სწორეთ ამ გარემოებას უნდა მიეწეროს, რომ უმრავლესობა ქალი და ვაჟი პოეტურად მეტყველებდა; სადაც და ვისგანაც არ უნდა ყოფილიყო გამოთქმული რაიმე სიტყვა, არაბი მას გულისყურით მოისმენდა და გამოთქმულ სიტყვაში თუ რაიმე უკანონობას შეამჩნევდა სიტყვიერების წესკანონებიდან მოყვანილი მაგალითებითა და საბუთებით უარჰყოფდა.

დაუღალავი შრომით და თავგამოდებული სიყვარულით შექმნილი არაბული მწიგნობრობის და მწერლობის სასწაულებრივმა გავლენამ შთანთქა მოსაზღვრე ერების ენა, ხოლო ეს მოსაზღვრე ტომები გათქვიფა და გარდაჰქმნა სულითა და ბუნებით ჭეშმარიტ არაბებათ. და ოდესმე სხვა ენაზე მეტყველი ერები დღეს მეტყველობენ არაბულად და ამაყობენ არაბთა მემკვიდრეობით.

სწორეთ ასეთი ბუნების თვისებისა და შემოქმედების მჭონე არის ქართული ენაც. ქართული ენა თავის მეტყველობის სიღრმეში არსებული, ხოლო ჯერ კიდევ გაუვრცელებელი სიტყვების ძლიერობით არის მდიდარი. სიტყვა ქართული წარმტაცია, საამური, სურათებიანი და შინაარსიანი. მაგრამ დღეს უცხო და თანაც გაუგებარი, უაზრო, მრუდე და წარამარა სიტყვების შემოჭრით დაზიანებული და დამახინჯებული. მას მოვლა-პატრონობა, განახლება და განვითარება სჭირდება.

საქართველოს მწერალთა გაერთიანებულმა ყრილობამ მოისმინა უბრალო მუშის, შაქრო ნავთლუღელის გულიდან ამონახეთქი მწუხარე სიტყვები: „შვილოსა, უნდა შეჰქმნათ იმისთანა მწიგნობრობა, რომ მისწვდეს ხალხის გულსაო“, განა ეს მართალი არაა? განა ჩვენ უმრავლესობას გვესმის სავსებით არსებული მწიგნობრობის, მწერლობის კილო და შინაარსი? არ გვესმის.

დეე დააღწიოს ქართველმა კაცმა თავი მაჯლაჯუნასავით ტვინის ნივთიერებაში ჩაწოლილ და ლოდივით გულზე მოქცეულ გაუგებარ კილოს და უცხო სიტყვებს და მიეცეს მის გრძნობა-გონებას თავისუფალი გასაქანი.

დღევანდელი მწიგნობრობა და მწერლობა, ზე-

მოხსენებული მიზეზების გამო, ვერ გაუხსნის ადამიანს გრძნობა-გონებას და ვერ განუვითარებს მეტყველებას. პირიქით, როგორც პირველს, ისე უკანასკნელსაც დაუხშობს და მერე რაღა აზრი აქვს ასეთ მწერლობას, ვეღარ გამიგია. წიგნები და წერილები თუ ხალხის უმრავლესობისთვის იწერება, მაშინ გასაგებ ენაზე უნდა იქნეს დაწერილი და თუ შემეცნებულთათვის არის, რაღა საჭიროა მერე ამად ამდენი შრომის გაწევა. ეს ხომ უწყებული მცნების კვლავ მაუწყებლობას ნიშნავს. შედარებისათვის ნურას უკაცრავად, მაგრამ ეს მაგონებს მე იმ ადამიანის მიერ გაწეულ ამაგს, რომელიც წვიმიან დღეში ხელში დაჭერილ წყალით სავსე ჯამით ქათმებისათვის წყალის მიწოდებას ეწევა; შრომა ნაყოფზე და ნაყოფი შრომაზე უნდა იყოს დამოკიდებული.

როცა შევეკითხებოდი ჩემს მეგობრებს: რისთვის ხმარობენ ქართულ მწერლობაში ამდენ უცხო სიტყვებს-მეთქი, ისინი მეტყოდენ—ეს ხომ რუსული სისტყვა არააო. გაოცებულს ამ პასუხით დღესაც მიკვირს, თუ რატომ შორეული დასავლეთის სიტყვები არ ითვლება უცხოთ, ხოლო მეზობელი ერიდან ნასესხი სიტყვები კი უცხოდ უნდა ჩაითვალოს? როგორ სჩანს, ესეც ახალი რამ გამოცანა უნდა იყოს, რომლის შინაარსსაც ჯერ-ჯეროზით ვერ მივწდომივართ. ყოველ შემთხვევაში, უცხო სიტყვების ჩვენს მეტყველებაში მოკალათებას ჩვენ ვერ შეურიგდებით, და თუ ეს აუცილებელი არის, იმ შემთხვევაში მე მეზობელ ერის სიტყვებს უფრო მივიღებ, ვინემ შორეულისას, რადგან მათ ადვილად შევიგნებთ. მაგრამ ეს მაინც და მაინც არაა ჩვენთვის აუცილებელი, ჩვენ, ჩვენი მშობლიური მეტყველების დაუშრეტელი სალაროს სიღრმეში მოგვეპოება სანაცვლო სიტყვები, მხოლოდ მათ შესწავლა უნდა, გამოტანა და წარმოება.

თუმცა მეც მომყავს ამ წერილში ზოგიერთი უცხო სიტყვები, მაგრამ ეს მომდის იძულებით, სიტყვიერების მასალის უქონლობით.

დღეს კი იმედი მეძლევა, რომ გაერთიანებული მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის, მშართველი პარტიის წარმომადგენელის და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასკომის თავმჯდომარის, ცნობილი მწერალის და მოღვაწის ფილიპე მახარაძის დახმარებით ზემოხსენებული დადგენილება იქნება გატარებული ცხოვრებაში და ჩვენც მოგვეცემა საშუალება დავალწიოთ თავი უცხო სიტყვების გადამდებ სენს.

ხოლო განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ამ საქმეში მამია ორახელაშვილის მონაწილეობას, ვითარცა სახელმწიფო გამომცემლობის თავმჯდომარისა და ქართული მწერლობის დღევანდელ მესვეურისას.

დეე, გამახსენებელი იყოს ჩემი წერილი დიადი საქმისა, რომელსაც საქართველოს მშართველი პარტია, ქართული ხელოვნებისა და ენათმეტყველების დახმარებით, გაუძღვება ჩვენი მშობლიური ენის აღსადგენად და გასავითარებლად, ვინაიდან იგი წარმოადგენს ჩვენი შემეცნების, შეგნების, ხელოვნებისა და შემოქმედების წმინდა საუნჯეს.

მემემდ აბაშიძე.

ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი

(რეფორმიზმი და რომანტიკა).

ჩვენმა თაობამ ჯერ რევოლიუცია განიცადა, შემდეგ კონტრრევოლიუცია, შემდეგ ხელახლა რევოლიუცია, ბოლოს რაღაც გეოლოგიური კატაკლიზმის მაგვარი სოციალური გარდატეხა. ნაადრევათ გავჭალარავდით, ჩვენი სული თითქოს მძინარას ტოტივით მოიხარა ამ სუსხიან დღეებში, მაგრამ ბავშობისა და სიჭაბუკის ხანში მიღებულ მხატვრულ შთაბეჭდილებებს დღემდე არ დაუკარგავთ პირვანდელი სიცხოველე. ჩვენ, ვინც ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის ნაწერებზე აღვიზარდეთ, დღესაც მზად ვართ ეს პირველი სიყვარულის საგნები ყველა სხვა გატაცებას ვამჯობინოთ. და დიდათ ნიშანდობლივი მოვლენაა, რომ წრეულს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ პირველ რიგში აკაკი წერეთლის რჩეული ნაწერების გამოცემა დაიწყო, ხოლო „ქართული წიგნის“ გამომცემლობამ ილია ჭავჭავაძის სრული კრებულისა.

რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის დაფასება არ შეიძლება მარტო ესტეთიური საზომით. როგორც მოთხრობისა და ეპოსის ოსტატები, ისინი ვერ შეედრებიან რუსის რეალისტურ რომანის ოსტატებს. მათ არ აქვთ არც გოგოლის დაკვირვების ნიჭი, არც დოსტოევსკის ფსიხოლოგიური სიღრმე, არც ტოლსტოის უნივერსალობა. მათი ლირიკა სუსტია და, ხშირათ, დიდაქტიურ ან მორალურ მიზნებს ემსახურება. მხოლოდ ორიოდე ლექსი თუ შეინარჩუნებს მომავალში ესტეთიურ მნიშვნელობას. ეს პოეტური სენტენციები დღეს უკვე ხშირად მშრალი დარიგების შთაბეჭდილებას ახდენს.

რით აიხსნება ეს არაჩვეულებრივი პოპულიარობა, ეს არაჩვეულებრივი სიყვარული, რომლის მსგავსი მსოფლიოში იშვიათად ღირსებია უფრო დიდ მწერლებსაც. ილია ჭავჭავაძე ქართული აზროვნების დიქტატორი იყო თითქმის ნახევარ საუკუნის მანძილზე, აკაკი წერეთელი გარდაიცვალა როგორც ნამდვილი უგვირგვინო მეფე. უდიდესმა რევოლიუციურმა ქარიშხალმა არ შებღალა მათი სახე და არაფერი დააკლო მათს პატივისცემას.

პირიქით, რევოლიუციამ ილია ჭავჭავაძესაც და აკაკი წერეთელსაც სრულიად ახალი და მოულოდნელი განათება მისცა.

ჩვენ დღეს სხვანაირად ვუდგებით ხელოვნების ნაწარმოებს. ჩვენ დღეს ესტეთიურ კულტურას ვაფასებთ არა განყენებულად, არამედ როგორც ნაწილს ყოველმხრივად ჰარმონიული და მომქმედი ადამიანობისა. და ჩვენთვის დღეს განსაკუთრებით გასაგებია ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც თავის „მგზავრის წერილებში“ მყინვარივით მიუწვდომელ და ცივ ოლიმპიელს, გოეტეს, თერგივით მშფოთავი და მთრთოლვარე ბაირონი ამჯობინა.

ორივენი მებრძოლი ტემპერამენტით იყვნენ აღჭურვილნი. მაგრამ ილია ჭავჭავაძე სოციალური რეფორმატორი იყო ამ სიტყვის ულრმესი მნიშვნელობით. ეს შეურიგებელი რეფორმისტული სული მან ყველა დარგში გამოიჩინა, მისი ხელი მხატვრულ ლიტერატურასაც შეეხო, თეატრსაც, სწავლა-განათლების საქმესაც, პრესასაც, ფინანსებსაც, ყოფა-ცხოვრებასაც. როცა მან საზოგადოების ასპარეზი დასცალა, საქართველო აღარ ჰგავდა ივანე კერესელიძის, პლატონ იოსელიანის და ბარბარე ჯორჯაძის დროის საქართველოს. და ამ ცვლილებაში უდიდესი წილი სწორეთ მას მიუძღვოდა.

ეს შეიძლება დღეს უდიდეს პარადოქსათ გვეჩვენოს, რომ მისმა უახლოესმა სულიერმა მემკვიდრეებმა; მესამე დასელებმა, ის თითქმის რეაქციონერად გამოაცხადეს და უცხოეთიდან დაბრუნებულმა ახალგაზრდა ნოე ჟორდანიამ ყველაზე მძაფრი იერიშები მის წინააღმდეგ მიიტანა. მას დაამტკიცეს სამოქალაქო გამბედაობის უქონლობა, სიტყვისა და პრაქტიკული საქმიანობის შეუთანხმებლობა, ნაციონალისტური სივწროვე. მას იგივე ბედი ეწვია, რომელიც ბევრ სხვა რეფორმატორსაც სწვევია. რადგან მან უფრო დიდ ხანს იცოცხლა, ვიდრე ჩვეულებრივ საზოგადოებრივი რეფორმის იდეები ცხოვრობენ, სიცოცხლის სამხარზე მოესწრო სხვა ადამიანების გამოსვლას, რომელთაც მის მიერვე გაკაფული გზით უფრო შორს უნდოდათ წასვლა და უფრო ახალგაზრდა მუხლები და კუნთები ჰქონდათ. ამიტომ ეს მოხუცი განმარტოვდა და გაიწირა, და რევოლიუციის უქმის-ძალი მისთვის დიდ მწუხრათ გადაიქცა.

ნამდვილათ კი მისი ულმობელი გასამართლების დროს, მხოლოდ ერთ ბრალდებას ჰქონდა სამართლიანობის ელფერი. ის მართლაც გაორებული ადამიანი იყო, როგორც გარდამავალი ეპოქის შვილი. ის მართლაც არისტოკრატი იყო წარმოშობით,

აღზრდით, ინსტიქტებით, მთელი ცხოვრების სტილით. მისი კეთილშობილი გაბო, კაკო, გიორგი უფრო მხატვრული ტენდენციის ნაყოფი იყვნენ, ვიდრე სინამდვილის დაკვირვებისა. ყოველ შემთხვევაში, მაშინდელ ყვარელსა და საგურამოში ადვილი არ იყო მათი პროტოტიპების აღმოჩენა. გარსევან და ალექსანდრე ჭავჭავაძის მეგვარეს მხოლოდ ერთს სფეროში შეეძლო რევოლიუციის წინადროინდელ გლეხებთან ინტიმური ურთიერთობა და თანასწორობის დამოკიდებულება ჰქონოდა. ეს იყო მხატვრული შემოქმედების სფერო.

სწორეთ ამიტომ განსაკუთრებით დაფასებულია მისი მოქალაქეობრივი გამბედაობა. ლიტერატურის ისტორიაში იშვიათია მეორე მაგალითი, რომ მწერალს იდეოლოგიის შემწეობით ასე რადიკალურად გაეწყვიტოს კავშირი არა თუ სოციალური წრის ტრადიციებთან, არამედ საკუთარ ინსტიქტებთანაც, როგორც ეს ილია ჭავჭავაძემ მოახერხა. როგორც სჩანს მისი მსოფლმხედველობა ახალგაზრდობაში ჩამოყალიბდა, რუსეთში ყოფნის დროს. მისი საუკეთესო მხატვრული ნაწერები, „განდეგილისა“, „კომუნის დღესა“, „ბაზალეთის ტბასა“ და „ოთარაანთ ქვრივს“ გარდა, სტუდენტობის დროსა და საქართველოში დაბრუნების ხანას ეკუთვნიან. ამ მსოფლმხედველობას ეტყობა რუსის მესამოცე წლების მოღვაწეების დიდი გავლენა: ის პოპულიარული რაციონალიზმით და სოციალური რადიკალიზმით არის გამსჭვალული. არსებითად ილია ჭავჭავაძეს არ ულალატნია ამ მსოფმხედველობისათვის, მხოლოდ სიმწიფისა და მოხუცებულობის ხანაში მისი რადიკალიზმი ცოტათი განელდა, მისმა ნაციონალიზმმა უფრო შეურიგებელი ხასიათი მიიღო. როგორც, „ოთარაანთ-ქვრივიდან“ სჩანს, ტერორისტულად განწყობილი კაკო და ზაქრო მას ალარ მიაჩნდა იდეალათ, ის წოდებათა შორის ჰარმონიის დამყარებას ოცნებობდა. მაგრამ მეორე მხრით „კომუნის დღე“ და „აჩრდილის“ საბოლოო ვარიანტი ამტკიცებს, რომ მას ბოლომდე შერჩა „ძველი ქვეყნის რღვევისა და შრომის სამეფოს წარმოშობის“ რწმენა.

დღეს, როცა დიდი ომისა და რევოლიუციის შემდეგ გამოაშკარავდა, რომ ჩაგრულ ერების განთავისუფლებისათვის ბრძოლა ცხოვრების განახლების ფაქტორია, ჩვენ უკვე სხვანაირად ვაფასებთ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ნაციონალიზმს. ჩვენ განსაკუთრებული მადლობით ვიგონებთ ამ ორ მებრძოლს, რომელნიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთგული ღამის გუშაგებივით უვლიდნენ საქართველოს ციხე-გალავანს, ალაგ-ალაგ მტრისგან შენგრეულს, ალაგ-ალაგ ხავს-მოკიდებულს. მაგრამ აქაც მათ როლები განწილებული ჰქონდათ ტემპერამენტისა და მსოფლმხედველობის მიხედვით.

ილია ჭავჭავაძე პოლემიკაშიც რაციონალისტი იყო, ის თანამედროვე მეცნიერების იარაღით ებრძოდა რუსულ და სომხურ აგრესიულ შოვინიზმს. ისტორიული საქართველოს გრძნობა მას ნაკლებათ ჰქონდა განვითარებული, მისი „დიმიტრი თავდადებული“ სუსტი, უკოლორიტო ნაწარმოებია. ამის ახსნას მისივე წერილი იძლევა, რომელიც მას 1872 წელს მიუწერია დავით ერისთავისთვის: „ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომების და მეფეების ისტორიაა, ერი არსად სჩანს. მე კი იმეთი აგებულობის ადამიანი ვარ, რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია, და ხალხი კი ჩვენს ისტორიებში არა სჩანს. ვწუხვარ და ვდრტვინავ და განკითხვა არსად არის“. ცხადია, თვით ფეოდალურ საქართველოს ისტორიას ილია ჭავჭავაძე თანამედროვე დემოკრატიის თვალსაზრისით უყურებდა.

აკაკი წერეთელი, პირიქით, არც დემოკრატი იყო და არც კონსერვატორი, ის თანამედროვე აზროვნების გარეშე იდგა. ჩერნიშევსკისა, დაბროლიუბოვს და პისარევს, როგორც სჩანს, არავითარი გავლენა არ მოუხდენიათ მისი აზროვნების ჩამოყალიბებაზე. მისი პირველი მოთხრობა „ეშმაკები“ ამტკიცებს, რომ ის ახალგაზრდობაშიც ერთგვარი გაურკვეველი მისტიციზმით ყოფილა გამსჭვალული. შემდეგ ის რომანტიკოსად და ლიტერატურის კეთილშობილ ბოჰემათ დარჩა სიკვდილამდე. თანამედროვე ცხოვრებისა ბკვრი არაფერი გაეგებოდა და არასოდეს არ უფიქრია საზოგადოების გარდაქმნა მოეხდინა. მას უფრო პიროვნების რეფორმა უნდოდა და სწორეთ პიროვნებას მიმართავდა თავის დიდაქტიურ და სატირულ ლექსებში. მის მხატვრულ ნაწარმოებთ შორის ყველაზე უფრო დამთავრებული ნაწარმოები თვით მისი საკუთარი პიროვნება იყო.

ეს საუცხოვო ლომის თავიანი Homo sapiens ორი საუკუნით გვიან დაიბადა. მეჩვიდმეტე საუკუნეში რომ დაბადებულიყო, ალბათ, ქედმაღალი კარისკაცი იქნებოდა და პოლიტიკური ან რომანტიული ინტრიგის ქსელს გააბამდა. მისი უშუალო წინაპრები ხელისუფლებისა ან მშვენიერი ქალის გულისთვის თავს კვეთდენ, ასაჭურისებდნენ ან თვალებს სთხრიდენ თავიანთ მეტოქეებს. ისტორიული საქართველოს შეგნება მას ბევრად უფრო მძაფრად ჰქონდა განვითარებული, ვიდრე ილია ჭავჭავაძეს, მისი საუკეთესო ნაწერები „ბაში აჩუკი“, „პატარა კახი“ და, განსაკუთრებით, „თორნიკე ერისთავი“ და „თამარ ცბიერია“.

განსაკუთრებული სიყვარულით მეჩვიდმეტე საუკუნეს უბრუნდებოდა, როგორც სჩანს რაღაც შეუცნობელ სულიერ ნათესაობას გრძნობდა თეიმურაზ მეფის, გიორგი სააკაძის, ლევან დადიანის და თამარ დედოფლის დროის საზოგადოებასთან. მაგრამ ეს აბსოლიუტურად ამორალური საზოგადოება, ეს მშვენიერი ცხოველები, „რომელნიც ჯოგად ცხოვრობენ, დადიან, ორფეხნი არიან, ერთმანეთში არ ირევიან და რქებსაც მოკლებულნი არიან

და ფრთებსაც“, პლატონის „პოლიტიკოსის“ განმარტებით რომ ვსთქვათ, თვინიერი ხდებიან მისი კალმის წყალობით. აკაკი წერეთელი ახდენს მათ იდეალიზაციას, როგორც ილია ჭავჭავაძე გლეხების იდეალიზაციას ახდენდა. ტყვეების გამყიდველი და მოსისხლე გიორგი გურიელი „თამარ ცბიერში“ საქართველოს გაერთიანების მებრძოლად გვევლინება. გენათელს, რომელმაც შარდენის სიტყვით, ახალციხის ფაშას თხუთმეტი ათასი დუკატი მისცა, რათა თავისი საყვარელი, თამარ დედოფალი, გამოეხსნა, მოკრძალების ფარდა აფარია და სცენაზე სულ არ სჩანს, თვით თამარი სინიდისის ქეჯნის ტრაგედიას განიცდის, რომელიც ისტორიულ თამარს ნამდვილად არ განუცდია და აŕც შეეძლო განეცადა.

ყველაზე უფრო დამახასიათებელი აკაკი წერეთლის პიროვნებისთვის ის იყო, რომ მას თავის ნამდვილ პროფესიათ „ადამიანობა“ მიაჩნდა, ლიტერატორობასა და პოეტობას „სასხვათაშორისო“ საქმეთ სთვლიდა. ამ მხრივაც ის ღვიძლი შვილი იყო იმ ფეოდალურ არისტოკრატიისა, რომლის „ჯენტლმენური“ აღზრდის იდეალი ყველაზე სრულად არჩილ მეფემ დაგვიხატა. ამ იდეალის მიხედვით ძოშაიროობა დაახლოვებით იმავე სიმაღლეზე სდგას, როგორც ჭადრაკის ან ნარდის თამაში, ბურთაობა, ხადირობა, ხმლის ცემა ან შუბის ბრუნება. „ადრევაც მოვიხსენიე და ახლაც ვიმეორებ, რომ საზოგადოთ მე მწერლობას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდიო,—ამბობს ერთ ადგილას აკაკი წერეთელი:—თუ რამე ხელოვნური გამომსვლია ხელიდან, ეს ძალაუნებურად და შემთხვევით მომხდარა, თვარა ის ჩემს დღეში არ მჭონია ფიქრად, რომ მომავლისთვის ვწერ მეთქი“.

ერთად ერთი თხზულება, რომელიც აკაკი წერეთელს განსაკუთრებით ჰყვარებია და „გასაოხრებლად შეჰნანებია“, მისი ავტობიოგრაფია ყოფილა. და მართლაც „ჩემი თავგადასავალი“ შეიძლება შედევრათ ჩაითვალოს მის პროზაში. მომაკვდავი ბატონყმური საზოგადოების სურნელება ამ ნაწარმოების პირველ ნაწილში დიდი გულწრფელობით და ოსტატობით არის ნაგრძნობი და გადმოცემული, არ შეიძლება მკითხველი ამ გულწრფელობამ და ოსტატობამ არ მოხიბლოს, რომელ პოლიტიკურ იდეოლოგიასაც არ უნდა ემხრობოდეს ის. აქ მხატვრულად არის გამოთქმული ის, რაც აკაკი წერეთელს თავის პუბლიცისტურ შენიშვნებში არა ერთხელ გამოუთქვამს, რომ ბატონი იგივე პატრონი, მზრუნველი, მფარველი იყო, ხოლო ყმა იგივე ყმაწვილი, ახალგაზრდა, რომ „ბატონყმობა ნიშნავდა თანასწორ, ძმურ, უფროს-უმცროსულ დამოკიდებულებას, განაწილებას და არა ნაძალადევ ბრძანებლობას“.

ეს დღეს შეიძლება გაუგებრად გვეჩვენოს, რომ იმავე მესამე დასელებმა, რომელთაც „გლახის ნაამბობის“ და „აჩრდილის“ ავტორი თავიანთ უდიდეს მტრათ გამოაცხადეს, ფეოდალიზმის რომანტიკოსი, აკაკი წერეთელი, თავიანთ სიაში შეიტანეს სათათბიროს არჩევნების დროს. ეს არ იყო პოლიტიკური მანევრი. სოციალიზმს, როგორც ავტორიტარულ აზროვნებას, შეიძლება მეტი ჰქონდეს საერთო არისტოკრატიის იდეოლოგიასთან, ვიდრე ლიბერალიზმსა და ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან. ყოველ შემთხვევაში, ცხოვრების განვითარების დიალექტიკა დღეს აცოცხლებს ისეთ კულტურულ ელემენტებს, რომელნიც სამუდამოთ მკვდარი გვეგონა ფეოდალურ საზოგადოებასთან ერთად.

გერონტი ქიქოძე.

ლადო გუდიაშვილი

MAURICE RAYNAL.

ჩვენი პაწია ჭეშმარიტებანი დროებითი ხასიათის არიან, მათ ასაშენებლად მარტო გონებას როდი ვიყენებთ, არამედ გულსაც. ამიტომ დიდი გამბედაობა იქნებოდა იმის თქმა, რომ ინტელექტური ჭეშმარიტება იერარქიულად უფრო მაღლა სდგას, ვიდრე სენსუალური. ეს ასე გვეგონა შეურიგებელი ახალგაზრდობის ხანაში, მაგრამ სიმწიფის ჰასაკში თანდათან უფრო სამართლიანი ვხდებით სუსტი სანტიმენტების მიმართ, რომელნიც სწორედ მაშინ გვიპირებენ დატოვებას, როცა მათი პლასტიური ექსპლოატაცია გვინდა დავიწყოთ. ყოველ შემთხვევაში ბეჩავი ადამიანებისთვის, რომელნიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ცოდვილ დედამიწას თავის ფაქტებითა და ჟესტებით ავსებენ, ამაო იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ლოგიკური გონებით გამსჭვალული ხელოვნების ნაწარმოები მაღლა სდგას პირადი გრძნობების ნიადაგზე აღმოცენებულ ნაწარმოებზე. ჩვენი მგრძნობიარე ლადო ამას ბრწყინვალედ დაგვიმტკიცებს, ამასთანავე მოწიწებას გამოიწვევს ჩვენი ემოციური პიროვნებისადმი.

მართალია ლოგიკა, ან უკეთ ვსთქვათ, ის, რასაც ჩვენ ლოგიკას ვუწოდებთ, გვიმტკიცებს, რომ ხელოვნება, რომელიც თავის წყაროებს საკუთარ ნიადაგზე ეძებს, უფრო დამოკიდებულია მოგონებასა და ფანტაზიაზე, ვიდრე ის ხელოვნება, რომელიც ყოველდღიურ სანტიმენტალურ ფაქტებზეა დაყრდნობილი. მართლაც, ასეთი ხელოვნება ჩვენ გვანათესავებს არა იმ ბუნებასთან, რომელიც თავის

თავს აწარმოებს ან ასე თუ ისე გამოჰხატავს, არამედ იმ ბუნებასთან, რომელიც ჰქმნის; მაშასადამე უეჭველია, რომ ის ჩვენ გვამაღლებს. მაგრამ ნება მომეცით ვალიარო, რომ ყოველთვის უსიამოვნო არ არის ძირს დაშვება. ჩვენი სისუსტე და ჩვენი სიგიჟე მომხიბლავია, ჩვენ გვიყვარს ქარიშხლის ცქერა ნაპირიდან. და მეშვიდე დღის დასვენება იმდენად გვესიამოვნება, რომ კმაყოფილი ვიქნებით თუ ის დაუსრულებელი გახდება ზაფხულის დღესავით, რათა შემოქმედმა მხატვარმა თავისუფლად ამოისუნთქოს და თავი დაანებოს ფანტაზიის ძალადობას.

სჯობია ჯარისკაცებივით ნუ დავამწკრივებთ ჩვენ შეხედულებებს, ნურც მუნდირებს ჩავაცმევთ. ვალიაროთ, რომ არსებობს ასეთი რამაც და ისეთი რამაც. და რადგან მიზეზსა და შედეგს შორის აუცილებელი დამოკიდებულება არ არსებობს, რადგან ფაქტები ერთმანეთს უბრალოდ მისდევენ, ვსცნოთ, რომ არსებობს ხელოვნების სხვადასხვა გვარი კონცეპციები, რომელნიც ერთიმეორეს სცვლიან, მაგრამ ერთმანეთს არა ჰგვანან. ვიგემოთ ხელოვნების ყველა ფორმები, განვივითაროთ ჩვენი გემოვნება და გავიმახვილოთ ჩვენი მგრძნობიარობა, და თავი დავიცვათ დაღლილობისაგან, რომელსაც ვერ ავიცილებთ, თუ ერთფეროვანი კონცეპცია მივიღეთ. ხელოვნების ერთი რომელიმე ფორმის სიყვარული სისუსტეა, როგორც ყოველივე სიყვარული, რა რიგ წმინდა არ უნდა იყოს ის. დიდათ სასარგებლო იქნება თუ ასეთი გატაცებისაგან თავს დავიცავთ და ემოციურ ავტონომიას შევინარჩუნებთ...

მაგრამ მივუბრუნდეთ ჩვენი ხელოვნების უცნაურ და მთრთოლვარე ნაწარმოებს, რომელიც ორ დიდათ საინტერესო პრობლემას გვიყენებს თვალწინ. უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ლადო გუდიაშვილმა მთელი თავისი ხელოვნების ცოდნა თავის მგრძნობიარობას დაუქვემდებარა. მაშასადამე, ჩვენ შევისწავლით ამ ტემპერამენტის ფორმას, რომელიც მხატვრის თვისებების წყალობით მასში არ ახშობს ორიგინალობას. მაგრამ მგრძნობიარობის პრობლემის გარდა, რომელსაც ორიოდე სიტყვით შევეხეთ, გუდიაშვილის შემოქმედება აყენებს ეთიურ პრობლემას, რასაც დღეს აქტუალური მნიშვნელობა აქვს. ისე რომ როცა ჩვენ ხელოვანის მხატვრობას და გრაფიკას ვეცნობით, ძალაუნებურად ვექვემდებარებით მისი ქართული სურათების მომხიბვლელობას, და მხატვრული ტრადიციების მიუხედავათ ჩვენ ვიწყებთ საქართველოს სიყვარულს. ჩვენ შეგვიყვარდება მისი სული, თუმცა მას არ ვიცნობთ; უდიდესი სიყვარული კი უცნობი საგნების სიყვარულია; ეს მოხდება გუდიაშვილის დამაჯერებელი და მომხიბლველი ხელოვნების წყალობით.

სენტ-ბევი ამბობდა, რომ მოგზაურობა კარგია, მიტომ რომ ის იდეებს აფართოებს, ხოლო თავმოყვარეობას ამცირებს. თუ მე თქვენ მოგიწოდებთ ჩემთან ერთად იმოგზაუროთ ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის შემოქმედების სფეროში, ეს იმიტომ ხდება, რომ მე დარწმუნებული ვარ ეს დაატკბობს ჩვენს პლასტიურ გემოვნებას და შეამცირებს ჩვენს ლათინურ თავმოყვარეობას, ხოლო თქვენს გრძნობიაროაბას ახალი შთაგონების წყაროებს მისცემს. თქვენ დაიანხავთ, რომ ურიგო არ არის, კარგ მეგობართან ერთად, ჩვენი ეროვნული ხელოვნების საზღვრებს იქით ხეტიალი; თქვენ დაინახავთ, რომ სასიამოვნოა უცნობ და თავბრუდამხვევ გრძნობების განცდა; ბოლოს თქვენ დაინახავთ, რომ თქვენი მგრძნობიაროაბა და თქვენი გემოვნება არაფერს დაჰკარგავს, თუ იმ ქვეყნის სანტიმენტალური ხელოვნებით დავითვრებით, რომელიც ევროპის დასასრულს და აზიის დასაწყისს წარმოადგენს.

რა ვიცი მე სქართველოს შესახებ? ეს მისტიური ქვეყანა თითქო შორს არის ყოველი ადგილიდან. როგორც ჩემი ბავშვობის დროის გეოგრაფიულ მოგზაურობებიდან მახსოვს, საქართველო მოთავსებული იყო შავს ზღვასა და კასპიის ზღვას შუა. ალბათ ახლაც იქ არის. იქ არის „ვარდებიანი“ თბილისი, ნავთიანი ბაქო, შავიზღვს ნავთსადგური ბათომი და ბოლოს სპარსეთის საზღვარი. მაგონდება აგრეთვე ერთი კუპლეტი „კორნევილის ზარებიდან“, პირველი პიესიდან, რომელიც ბავშობაში ვნახე. ერთი კაცი მღერის:

„დედამიწა სამჯერ შემოვიარე..
„ბევრი მინახავს შავგვრემანი,
„ბევრი მინახავს ქერა ქალი...
„ქართველი ქალი, ჩერქეზის ქალი...

ამას გარდა ალბომში რამდენიმე ფერადი სურათი მაქვს შენახული, რომელნიც ქართველ ქალებს წარმოადგენენ ბრწყინვალე ტანსაცმელში. შემდეგ მე გავიგე, რომ ეს ქალები ულამაზესნი იყვნენ დედამიწის ზურგზე; უნდა გამოვტყდე, რომ ჩემი ცოდნა განისაზღვრება ამ სათეატრო, კარტოგრაფიული და სანტიმენტალური ცნობებით. შემდეგ გაზეთების კითხვის მიუხედავათ არაფერი შემიძენია საქართველოს შესახებ. მაგრამ ამ შორეული ქვეყნის შესახებ საკმაოდ მისტიური შთაბეჭდილება დამრჩა, სადაც შეერთებულია მოგონება აჭრელებული რუკების, მაღალი მთებისა, სხივოსანი და უცხო სახელებიანი ქალაქებისა, ბრწყინვალე მოცეკვავეებისა და ბოლოს ნაზად სისხლისმსმელ მეომრებისა, რომელთაც გრძელი ჩოხები აცვიათ და ბრჭყვიალა ქამრები არტყიათ.

ყველაზე საინტერესოა ის გარემოება, რომ ლადო გუდიაშვილის მხატვრობას, რომელიც აღსავსეა ქართული ხილვებით და გაცხოველებულია გადაუჭარბებელი ეროვნული ელფერით, არ შეურყევია ის მკრთალი კონცეპცია, რომელიც ბავშობაში შევიძინე მისი სამშობლოს შესახებ.

დღეს მეტი ვიცი, განსაკუთრებით ჩვენი საუცხოვო ხელოვანის შესახებ. ლადო გუდიაშვილის ოჯახობა თრუსო-კობი-ყანობის კუთხიდან წარმოს-

დგება; თვითონ საქართველოს დედაქალაქში, თბილისში დაიბადა 1896 წელს. ჯერ ოჯახში სწავლობდა, შემდეგ ამ ქალაქის კერძო სამხატვრო სკოლაში; მთავარი პლასტიური იმპულსი მის არტისტიულ მგრძნობიარობას ძველი ქართული მხატვრობის შესწავლამ მისცა, ზარზმის, ოშის და სხვა ეკლესიების ფრესკებმა და ორნამენტებმა. სიყრმის ხანაში, როცა გემოვნება ყალიბდება, ლადო გუდიაშვილმა განიცადა რუსიფიკაციის სიდუხჭირე; ცარიზმის წყალობით საქართველო მოკლებული იყო ეროვნული ხელოვნების ინსტიტუტებს. ამის და მიუხედავად მან შესძლო თავისი მეობის შენარჩუნება იმ თავისუფლების დღეებისთვის, რომელიც ახლოვდებოდა. ის სწავლობდა თავისი სამშობლოს ხელოვნებას, მაგრამ უსიცოცხლო ასლებს კი არ იღებდა, არამედ თავის ტემპერამენტით ახალისებდა მიღებულ შთაბეჭდილებებს. თბილისში ხელოვნების გალერეებიც არის. მისმა პირველმა გამოფენებმა ამ გალერეებში გამოააშკარავეს, რომ ის ახალი თაობის საუკეთესო ხელოვანია. საქართველოს მთავრობამ ახალგაზრდა მხატვარს მნიშვნელოვანი დავალება მისცა, სახელდობრ ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების შესწავლა. შემდეგ მან სამოგზაურო ჭისა მიიღო, როგორც საქართველოს რესპუბლიკის ლაურეანტმა. თავისი ცოდნისა და ნიჭის გასავითარებლად პარიზში გაემგზავრა. აქ ლადო გუდიაშვილის ნიჭი მაშინვე აღიარეს და დააფასეს, როგორც კი მან პირველი სურათები გააგზავნა ჯერ „შემოდგომის სალონში“, შემდეგ „დამოუკიდებელთა სალონში“ და სხვა გამოფენებზე: ყოველგან საფრანგეთსა, ბელგიასა, ამერიკასა და სხვა ქვეყნებში მას უდიდესი თანაგრძნობით შეხვდნენ.

რას წარმოადგენს ლადო გუდიაშვილის შემოქმედება?

თავისი გამოხატულებით ის არსებითად ეროვნულია, ის იწვევს საქართველოს ცხოვრების ყველაზე მეტად ფამილიარულ სცენებს. ჩვენ ვხედავთ ქალებს, საუცხოვო პლასტიურ თვალებიან მხედრებს, რომელნიც მოწმობენ, რომ ეს ცოცხალი, მეომარი ხალხია, რომ ის შეზარხოშებულია გაშლილ ჰაერზე და მთებში ცხოვრებით, რომ მას ცხენოსნობა და ავანტიურა უყვარს. აი ისინი იბრძვიან, უხვად სჭამენ და სმენ, ცეკვავენ, სიყვარულს განიცდიან, ცხენს მიაჭენებენ, მიტომ რომ ცხენი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართველის ცხოვრებაში. და ლადო გუდიაშვილი ამ პატარა სცენებს უკან გვაგრძნობინებს რაღაც სატანიურ მოძრაობას, რაღაც გრძნეულ ცხოვრებას, რომელიც ჩვენ გვაღელვებს, მაგრამ იმ მისტიურ სიმპატიას კი არ გვიმცირებს, რომელსაც ამ ჩვენთვის უცხო საზოგადოებისადმი ვგრძნობთ. ეს ყოველივე საკუთარი თვალებით უნდა დავინახოთ. ეს ტილოები და ნახაზები გაცხოველებულია. გამსჭვალულია მოციმციმე მგრძნობიარობით. ხშირად დიდს სინაზეს გამოჰხატავენ. მათი აღწერა უსარგებლოა. მე არ ვფიქრობ გუდიაშვილის თავისებური ნიჭის წარმოშობა და განზრახვები გამოვიკვლიო. მხოლოდ ვიტყვი, რომ ლადო გუდიაშვილის პერსონაჟები, მათი მოქნილობის მიხედვით, ერთგვარ ჰიერატიულ სიდარბაისლეს ინარჩუნებენ, რაიც დამახასიათებელია არა მარტო ბიზანტიური, არამედ ქართული ხელოვნებისთვისაც. მაგრამ ლადო აცხოველებს ამ ჰიერატიზმს ისევე, როგორც ქართული ხუროთმოძღვრება არბილებს შენობის კონტურებს თაღისა და სამკუთხედის შეერთებით. გუდიაშვილის გმირების უმშრალეს მოძრაობას რაღაც ელასტიურობა აქვს, მაგრამ ეს მოძრაობა არასოდეს არ არის მოდუნებული. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ შეინარჩუნეს ბიზანტიური ფიგურების კეთილშობილი მიხვრა-მოხვრა, მაგრამ რადგან სპარსეთის საზღვრები შორს არ იყო, ფერადების სიცხოველე, არაბესკების მოქნილი ხლართი და ახალი შთაგონება შეიძინეს. გუდიაშვილის ყალმის წყალობით ისინი ღებულობენ გმირული და ელეგიური პოეზიის ტონს, სუნთქავენ ლეგენდის ჰაერს, სადაც სულგრძელობა სისასტიკეს სცვლის, და სანტიმენტალურ მიხვრა-მოხვრას ინარჩუნებენ, რომელიც ხან ნაზს ლოცვას ჰხატავს, ხან აღგზნებულ მუქარას. თითქო ამ ადამიანებს საომრად მიმავალი სპარსელი ჯარები ეხახოთ, რომელნიც ღვთაებრივი ფირდუსის „მეფეთა წიგნიდან“ ტირადებს მღერიან. თითქო გუდიაშვილის პერსონაჟები მზად არიან თვითონ იმღერონ რაიმე ხალხური ბალლადა, თითქო ისინი ცხენზე შეხტომას ფიქრობენ, რომ მახლობელ მეგობარს ეწვიონ. და ეს მეტად დამახასიათებელია. გუდიაშვილის მხატვრობა საკმაოდ ნათლად გვიჩვენებს რავდენად თავისებური დარჩა ქართული ხელოვნება იმ გავლენის მიუხედავად, რომელსაც ქვეყანა დამპყრობელებისაგან განიცდიდა საუკუნეების განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ურიცხვ ომებისა, დამარცხებებისა და შინაგან არევ-დარევის მიუხედავად საქართველომ დღემდე შეინახა თავისი რელიგია, ლიტერატურა, ენა და ხელოვნება. და გუდიაშვილის ერთი უდიდესი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ის არ სთმობს ნაციონალურ მგრძნობიარობას და პატივსადებ ტრადიციას განაგრძობს.

აქ ისმება ერთი მეტად საინტერესო პრობლემა. ფრანგული ხელოვნების უპირატესობა ზოგიერთ უცხოელ მხატვარს აიძულებს თავისი ეროვნული მგრძნობიარობის თვისებები ჩაახშოს და პარიზის ტენდენციებს დაექვემდებაროს. ამრიგად იქმნება ერთფეროვანი ხელოვნება, უფრო ინტელექტური, ვიდრე მგრძნობიარე, რომელიც ამცირებს ეროვნულ თავისებურობას, მაგრამ საბოლოოდ კი მაინც ვერ სპობს; განვითარებული გემოვნება ყოველთვის გამოარჩევს ადგილობრივ კოლორიტს, რა რიგ დაშახინჯებულიც არ უნდა იყოს ის. თუ ეს ტენდენცია გაძლიერდა, ჩქარა ძნელი გასარჩევი გახდება იაპონური, ესპანური და რუსული ხელოვნების ხასიათი;

მაშინ უნდა დავივიწყოთ ის ესთეტიური შეხედულებები, რომელიც რასის გავლენის შესახებ ტენმა შეიმუშავა; თვითეული ეროვნების დამახასიათებელი ლირიზმი, რომელიც ანახლებს, აახალგაზრდავებს და აცხოველებს პლასტიური ხელოვნების მუდმივ ცნებებს, გაჰქრება; ერთი სიტყვით მხატვრობა ერთგვარ „ესპერანტოთ“ გადაიქცევა.

მე ვთქვი, რომ ლადო გუდიაშვილის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ შეურყვნელად შეინარჩუნა თავისი ნაციონალური მგრძნობიარობა იმ პლასტიური „ცდუნების“ მიუხედავათ, რომელსაც მას პარიზი სთავაზობდა. რასაკვირველია, ეგზოტიურ ხელოვნებას თავის საზღვრები აქვს და ჩვენ ყოველთვის ისეთ ხელოვნებას ვარჩევთ, რომლის ხაზები, კოლორიტი და კომპოზიცია ჩვენს მგრძნობიარობას შეეხება, ვიდრე ისეთს, რომელიც მხოლოდ ცნობისმოყვარეობას აღვიძებს. ლადო გუდიაშვილი ყოველთვის ჭეშმარიტ მხატვრად რჩება იმ ხილვის წინაშე, რომელსაც მასში მისი სამშობლოს სოციალური ცხოვრება იწვევს: ის ქართველად რჩება, თუმცა პარიზში მთელი დედამიწის მხატვრების მიერ მოტანილი რეცეპტები შეისწავლა. ხელოვანმა არაფერი უნდა დასთმოს თავისი ეთნიური ტემპერამენტისაგან. ხელოვნების ინტერნაციონალი ჯერ არ დაარსებულა და არცაა სასურველი, რომ ის ოდესმე დაარსდეს. გუდიაშვილი ამას სავსებით გვიმტკიცებს.

ლადოსთვის უცნობი არ არის არც ერთი უახლოესი აღმოჩენა თანამედროვე მხატვრობისა, მას ყველა სახელოსნოში შეუხედავს, მას აქვს ერთგვარი სიკეკლუცით დახატული ნატიურ მორტები, როგორიც პარიზში უყვართ, ზოგიერთი მისი ფანქარის ესკიზები კლასიკურ ტრადიციების განახლებას მოწმობენ. მაგრამ მისი შემოქმედების საძირკველს მაინც ქართული ხალხური ხელოვნება წარმოადგენს. იქიდან წარმოსდგება მისი პერსონაჟების წერწეტი ფორმები, გამჭვირვალე ფერები, მათი მსგავსება ბიზანტიური ფრესკებისა და სპარსულ მინიატიურების ფიგურებთან. პერსპექტივა, ეს ბეჩავი გამოგონება, რომელიც ისევე ვიწროა, როგორც არისტოტელის „სამი მთლიანობა“, ადგილს უთმობს უფრო თავისუფალ კონსტრუქციას, ნაყოფიერს გრაფიული და პლასტიური აღმოჩენებით. მისი მოხაზულობა ლაზათიანი და ძალოვანია, მოქნილი, მაგრამ მოუდუნებელი, ენერგიული, მაგრამ არა ტლანქი, მოძრავი, მაგრამ არა კონვულსიური, მისი ფანტაზია კოლორიტიანია, მაგრამ სავსებით ჯანსაღი.

ჩვენ ვგრძნობთ, რომ გუდიაშვილის კომპოზიციის პერსონაჟები რაღაც ინტენსიური ცხოვრებით სცხოვრობენ, რომ მათი გრძნობები რაღაცას შემაშფოთებელსა და ამაღელვებელს შეიცავს. თითქო მხატვარი გვიწვევს რაღაც ძველი ღვინო დავლიოთ, რომელიც მრავალ მხრივ ჰგავს ჩვენ ნაცნობ სასმელს, მაგრამ განსაკუთრებული თვისებისაა და ჩვენ ძირიანად გვანძრევს და გვიტაცებს. განა რაღაც უცნაური ბედისწერა არ ჰბატონობს ამ ბნელ ანსამბლს და გამხდარ სახეებს, რომელსაც ხელოვანი ხატავს? რაღაც სიტკბოებაში გახვეული ტრაგიზმის გრძნობა გვიზიდავს ამ მისტიური სცენებისკენ. ამ შავი თვალების მიპატიჟება უძლეველია, წინააღმდეგობის გაწევაც რომ გვინდოდეს, ვერ შევსძლებთ, მაგრამ ამას არც ვფიქრობთ, პირიქით უკან მოუხედავად შევდივართ ამ ახალ ქვეყანაში და მერმე აღარ ვნანობთ. და ან კი რად უნდა ვინანოთ? გუდიაშვილის ამაყი და თვითცნობიერი ხელოვნება სავსებით ამართლებს მის მიერ ხმარებულ მხატვრულ ხერხს; ყოველი მისი ტილო, ყოველი მისი ნახაზი ამტკიცებს, რომ პირად გამოცდილებასთან ერთად მას აქვს საკმაო მოკრძალება ძველი ოსტატების წინაშე. მისი განთავისუფლებული მგრძნობიარობის წინაშე დაუსრულებელი გზები იშლება. ეს ადვილი გასაგებია. ახალი ჭეშმარიტება, ახალი აღმოჩენა უფრო იმას ეძლევა, ვისაც ფართო და ნაყოფიერი გული აქვს...

ლადო გუდიაშვილმა თავის მხატვრობაში შესძლო წონასწორობა დაემყარებინა გონებისა და პირადი მგრძნობიარობის იმპულსებს შორის: ამრიგად მან შექმნა ორიგინალური და შეურყეველი ნაწარმოები, რომელიც მოხიბლავს, აალელვებს და შეაშფოთებს თვით იმ ადამიანებსაც, რომელთაც ეგონათ, რომ მგრძნობიარობის ხელოვნება სამუდამოდ გაჰქრა.

■ ■

ლექსები

ტფილისი

1

უცნაური ამბავი

ტფილისის ღამეს შიში სწვევია:
ამბავი მოაქვს მტკვარს უცნაური,—
ავჭალას ცეცხლი შემოხვევია,
ანთებულ რკინის ისმის ხმაური.
დაირღვა ძილი და მყუდროება,
მიეცა ღამე ჟრიამულს უჩვევს.
ნაძვის სვეტები თეთრ ურდოებად
შემოესია ტფილისის ქუჩებს.
და დაირაზმა შიშველ სვეტების
რკინის ფეხებზე შემდგარი ჯარი,
დატყვევებული ცეცხლის წვეთები
რომ დაარიგოს მეტის სიჩქარით.
ის ავჭალიდან სინათლეს ელის
და მთელი ღამე არ დაიძინებს.
შუშის კბილებით უჭირავს ქსელი,
სადაც მორჩილი ელვა იდინებს.
როცა სვეტები გადაიქცევა
ათასი მთვარის ეშაფოტებად,
სნეული ჩრდილი ცად აიწევა,
იმატებს ღამის გაბოროტება.
ვერას გახდება—ბევრიც იბრძოლოს,
და რომ ინათებს დილა სისხამი,
წავა და სადმე ქალაქის ბოლოს
თავს ჩამოიხრჩობს ტფილისის ღამე.

2

საღამო ტფილისში

მზემ უცნაური დაღვარა სისხლი,
აყვავდენ ცანი უნაპირონი;
ჰაერში დადგა ფირუზის ნისლი,
აენთო ლალი და საფირონი.
ღრუბელს მოედო შუქი უცები
და საოცარი გაჩნდენ ბაღები:
ფოთლები, თოვლი და აუზები,
იასამანი და ზამბახები.
უცებ იცვალა ზეცამ ნიღაბი,
ცეცხლის ვეშაპმა რქები იყარა,
და ღრუბლებიდან ყვითელი ქაფი
ქვაფენილებზე გადმოიღვარა.
გამოეკიდა ზეციდან ქარი
ზღაპრულ ფრინველებს, ცხენებს და ძაღლებს.
და გაგიჟებულ ფერების ჯარი
მოედო ცეცხლად ტფილისის სახლებს.
მტკვარზე დაეცა ნაშუქი მინის,
ჩაიმსხვრა წყალში სანთელი შვიდი,
და ცისარტყელად თუჯის და რკინის
ავარდა ცაში მუხრანის ხიდი.
განწირულ სხივთა მწუხარე ალმა
დაჰყარა მთაზე ოქრო ხალასი,
და გადამტყდარმა იელვა ხმალმა
ზღუდე-შენგრეულ ნარიყალაზე.

ს. აბაშელი.

სოფლისაკენ

ვგრძნობ გაზაფხულზე წინაპარ გლეხთა
მე მოწოდებას დაგვიანებულს.
რკინის ქალაქი ვის არ გატეხდა,
და ახლა ვეტრფი სოფელს ზმანებულს.

ფოთლების პირით მითვლის ბუნება:
რათ დაივიწყე სიმინდის ყანა?
დაგმე სიყალბე და ფუფუნება,
მოდი, უმღერე მიწას ოსანა!

წყეული იყოს დიდი ქალაქი,
ჩემგან, ვით ციხე უარყოფილი.
მე მირჩევნია ქუჩას—ჭალაკი,
ჩემი სამშობლო არის სოფელი!

და ცისარტყელა სჯობია კინოს,
ჩრდილს კოშკებისას—ჭადარის ჩრდილი,
ავტომობილის მჭექავ სირინოზს
სჯობს უსათუოდ ურმული ტკბილი!

მომენატრება კერა და სხვენი.
შორიდან ვუსმენ მოზარდ ბალახებს.
და ვეტრფი, როგორც დაბმული ცხენი,
ზამთარის შემდეგ შორ იალაღებს.

ტყე მელოდება, როგორც საყდარი,
საზიარებლად—სპეტაკი წყარო.
და ღრუბლებიან ცის ნატახტარი—
მთა უმაღლესი და სანეტარო!

ხშირად ვოცნებობ დაკარგულ ქოხზე,
შარა გზას ვეტყვი ჩემს გულის ნადებს,
და თუ გავცვალე კალამი თოხზე,
მშობელი მიწა არ მიღალატებს!

ვალერიან გაფრინდაშვილი.

გული

შალვა კარმელო! მშობელო მიწავ!
გულო მართალო! ვართ ბედ-დამწვარი,
ჩვენს სულს გარიყულს არავინ იცავს,
არავინ არი გვაპკუროს ცვარი.

ოყუჩე გულო გაუხარელო,
დღეს რატომ გინდა ასე ტირილი,
მოწოლილ ბოღმას გზა გაუხარე,
თორემ დაგედვა ფერი გვირილის.

არ გვახსოვს ჯერ ჩვენ დღე უნაკლულო,
ეხლაც ამიტომ გამოვიქეცით.
იტირე გულო... გულო დაკლულო,
ასე მგონია ლოდათ იქეცი.

ეჰა, მთაწმინდავ, შენს მკერდზე მიწევს
უკვე გახრწნილი მე ჩემი ლეში.
ძმაო კარმელო, ამ გულს სამიწეს
სურს შენთან ყოფნა, ვით სიცოცხლეში.

რაჟდენ გვეტაძე.

ვგრძნობ გაზაფხულზე წინაპარ გლეხთა
მე მოწოდებას დაგვიანებულს.
რკინის ქალაქი ვის არ გატეხდა,
და ახლა ვეტრფი სოფელს ზმანებულს.

ფოთლების პირით მითვლის ბუნება:
რათ დაივიწყე სიმინდის ყანა?
დაგმე სიყალბე და ფუფუნება,
მოდი, უმღერე მიწას ოსანა!

წყეული იყოს დიდი ქალაქი,
ჩემგან, ვით ციხე უარყოფილი.
მე მირჩევნია ქუჩას—ჭალაკი,
ჩემი სამშობლო არის სოფელი!

და ცისარტყელა სჯობია კინოს,
ჩრდილს კოშკებისას—ჭადარის ჩრდილი,
ავტომობილის მჭექავ სირინოზს
სჯობს უსათუოდ ურმული ტკბილი!

მომენატრება კერა და სხვენი.
შორიდან ვუსმენ მოზარდ ბალახებს.
და ვეტრფი, როგორც დაბმული ცხენი,
ზამთარის შემდეგ შორ იალაღებს.

ტყე მელოდება, როგორც საყდარი,
საზიარებლად—სპეტაკი წყარო.
და ღრუბლებიან ცის ნატახტარი—
მთა უმაღლესი და სანეტარო!

ხშირად ვოცნებობ დაკარგულ ქოხზე,
შარა გზას ვეტყვი ჩემს გულის ნადებს,
და თუ გავცვალე კალამი თოხზე,
მშობელი მიწა არ მიღალატებს!

ვალერიან გაფრინდაშვილი.

გული

შალვა კარმელო! მშობელო მიწავ!
გულო მართალო! ვართ ბედ-დამწვარი,
ჩვენს სულს გარიყულს არავინ იცავს,
არავინ არი გვაპკუროს ცვარი.

ოყუჩე გულო გაუხარელო,
დღეს რატომ გინდა ასე ტირილი,
მოწოლილ ბოღმას გზა გაუხარე,
თორემ დაგედვა ფერი გვირილის.

არ გვახსოვს ჯერ ჩვენ დღე უნაკლულო,
ეხლაც ამიტომ გამოვიქეცით.
იტირე გულო... გულო დაკლულო,
ასე მგონია ლოდათ იქეცი.

ეჰა, მთაწმინდავ, შენს მკერდზე მიწევს
უკვე გახრწნილი მე ჩემი ლეში.
ძმაო კარმელო, ამ გულს სამიწეს
სურს შენთან ყოფნა, ვით სიცოცხლეში.

რაჟდენ გვეტაძე.

სოფლის გოგო

სოფლის გოგო მოგოგავსო
მოლიანი მწვანის ხალზე,
და მას უნდა, რომ აავსოს
სურვილების სურა წყალზე!..

წყალი-წყარო სოფლის პირას
ალმასია ბროლიანი,
მზე იტაცებს მზესუმზირას,
გოგოს კიდე—მოლიანი...

დასდგა სურა, გადიზნიქა
წელში, როგორც საროს ტანი
და მოსჩანს, ვით ბროლის ჭიქა
ატევრილი წყაროს ტანი!..

გადაჰყარა ნაწნავები
ისე შავი, როგორც ღამე,
მტევნებივით მხარ-მკლავები,
მარმალილოდ მოკამკამე,

ერთი წელზე შემოიქნა,
ერთიც შუბლზე გადიტარა,
თითქოს ვნებით ჩამოიწნა
ყოფნის ჩანგი და გიტარა!..

სდგას გარშემო გაზაფხული,
გულიც შიგნით გაზაფხულობს,
ღელვით ელავს სარო სხმული
და საყუდარს ვერ ნახულობს...

სანახავი არის უცხო,
უცხოთ ჰფეთქავს ჩემი გულიც,
ვარ მოწამე ამის უხმო
და თან მონაც დანახულის!..

გოგომ წყარო ამოავსო,
შიგ ჩაგორდა მთვარესავით,
გაიბადრა ქვებზე ხავსი,
მოლიც ხელ-ფეხს ასავსავებს...

ეცინება თითონ მზესაც,
ციკლოპივით რომ სჩანს ცაში,
პირზე ღიმი დაჰქრის ტყესა
და ფოთლების ისმის ტაში.

წყარომც წყალი გაიმეტა,
გოგოც სურით სურვილს ივსებს,
წინ დამიდგა ნათლის სვეტად
და მზესავით მოკისკისებს.

გოგო უკან გამოგოგდა,
მონარნარებს, როგორც მთვარე,
გულში თითქოს რაღაც მოსქდა,
ვუმზერ, როგორც მგლოვიარე!..

შური არის ეს თუ ვნება?
ველარ ვაგნებ, ვრჩები სახტად!..
სუსტია თვით ხელოვნებაც
ამ სურათის დასახატად!..

ნოე ზომლეთელი.

ჩემს ტოლებს

ვიცი, რომ მზითვად
არ მომცემენ ვეფხის ტყაოსანს,
არც წასაღებათ
დაჰკეცავენ ქირმანის შალებს,
არც ქართულ კაბას
ჩამაცმევენ ჯვარის საწერად,
არც ვერცხლის ქამარს
მომავლებენ დარდიან წელზე.
ცაში ოთახი განათდება იაპონურათ,
ბედნიერებას მომილოცავთ უცხო კილოზე,
მრავალ წერილებს გამაყოლებთ გზის საპოვნელათ,
მრავალ მოკითხვას დაუხვდები, ვით მკვდარ მიმოზებს.
დავიმალები
სიყვარულის ცისფერ სუნთქვაში,
დიდი იქნება ალტაცება
მზეგამართული,
უხვი კოცნები, ვით კახეთში ღვინის მარნები,
და სადღეგრძელოს მოიტაცებს
სიტყვა ქართული.
ნამჯისფერ ფრჩხილებს დაამძიმებს მთვრალი ჰაერი,
გულის პასუხი ყარამფილებს ველარ დაყნოსავს,
და მე ვიქნები სიკვდილივით გაუხარელი,
რადგან მზითევში არ მომცემენ ვეფხის ტყაოსანს

ნინო თარიშვილი.

შიო არაგვისპირელი

მაღალი მთები ზრდიდა მზის ალით
და როცა ფიქრმა გზები დაქსელა,
მოვიდა მთრთოლვარ გრძნობებით მთვრალი
და... ეჭვის თვალით შეხედა ყველას.

მწუხრის ბინდები ჰფარავდა სივრცეს,—
სად არის სული გაუქელავი?—
ვინ არის მტკიცე, ვინ არის წმინდა,
რომ გადალახოს გზა უთელავი?..

ახალ სამანთა სჩანდა ლანდები,
ვით მეწამული ელვა რიჟრაჟის...
იმ მწვერვალისკენ თუ გაქანდები
მხოლოდ ქართული ზლაპრების რაშით...

მაგრამ შვენება უელვარესი
მთებიდან მთაზე ვინ გადმოჰკიდა,
თუ ვრცელ მანძილებს წმინდა ალერსით
ვერ გადახედავ მაღალ კოშკიდან?..

ძიება, ომს რომ არ იკარებდა,
გზას უშუქებდა შუქით გრძნეულით...
მარადისობის ცისფერ კარებთან
დაეცა გულში სისხლჩაქცეული...

და აფრენილი შარავანდედათ
გაბზარულ გულში ჩაიკლავს ვარამს...
ცეცხლი, რომელსაც გრძნობით ანთებდა,
საუკუნეებს რწმენით დაჰფარავს.

შიო! ბობოქარ დღეთა ხანძარში
შენს სახელს მუდამ კრძალვით ვისმენდით,
დღეს პოეზიის მაღალ ტაძარში
ციმციმებს როგორც ცხოველ მზის სვეტი!

სოლომონ თავაძე.

პოეზია

გაგიჟება სჯობს თუ გათავდა სიტყვის მადანი,
და თვალთა დათხრა, თუ მზეს ქებით ველარ დახვდები!
ლექსო! გულიდან ხორცათ რომ ხარ გამონატანი
თუ უნაპიროთ, სამუდამოთ არ გაბაღდები.

არი მკვლელობა, არი ომი, არი ხანძარი,
მიწისძვრა, ჭირი, ტყეში ყოფნა მარად თულებათ,
მაგრამ არ არის ტანჯვა უფრო უზარმაზარი,
როგორც პოეტის შთაგონებით დასნეულება!

დადის ქალაქში ბევრის მსგავსი ჩემი სხეული
და ხალხი ამბობს: „ეს კაცია ლექსის მწერალი!“
მაგრამ ვინ იცის რა ცეცხლშია გამოხვეული
ეს ჩემი ტვინი დასაქცევი, ტვინი ვერანი!

რამდენი თვალი უნდა მჭონდეს, რომ ყველა ვნახო,
რამდენი გული უნდა მედგას, რომ ვიგრძნო ყველა,
რამდენი სახე მე თვით უნდა გავაპარტახო,
რომ ერთი ლექსი დამრჩეს წმინდა, როგორც პეპელა.

შემომახურებს სიკვდილივით სიტყვა კვიატი
და სისხლი, აზრი, სული იქცენ იმის მონებათ...
გავიდა ღამე, მოასკდება კარს განთიადი,
აღარ ხარ კაცი, აღარც ჩონჩხი, ხარ მოგონება.

რამდენი ლექსი დაიწერა, იმდენი წელი
ჩამოეწერა ჩემს ცხოვრებას ვით ადამიანს!
და თუ ეს ლექსი უნდა იყოს უკანასკნელი,
მაშინ ეს ძორი ყვავებისთვის გასატანია.

პაოლო იაშვილი.

თ უ შ ი

ისევ მაღალ მთას ვეიმედები,
ჩვენს მოდგმას ისევ ის გააკაჟებს,
და როცა ვხედავ ნაბდის ქუდებით
სადმე ახოვან, შავგვრიმან ვაჟებს,

ვარჩევ ყმაწვილებს, ლაღად აღზრდილებს,
თოვლში და ბუღში გამონაშუშებს,
ჩვენში სავაჭროდ გადმოვარდნილებს,
მთიდან ჩამოსულ წვივ-მაგარ თუშებს.

უხდება მთიელს თამამი მზერა,
შვენის მზის ფერფლი გარუჯულ კუნთებს,
დაგეშილ ყნოსვით ლამაზებს ზვერავს,
და მძაფრი ვნება ცეცხლს სულში უნთებს.

მუდამ ფხიზლად სდგას, მუდამ თავს იცავს,
არც იცის კარგად ღამეს სად ათევს,
ებრძვის შავ ღამეს, ებრძვის შავ მიწას,
ებრძვის ქარიშხალს, სეტყვას და დათვებს.

ყიდიან ბეწვებს საკმაოდ ფართეს
სჩანს, რომ სიცოცხლეს არ ზომვენ მისხლით,
და მათ ორი რამ ახასიათებს:
სიამაყე და ველური სისხლი.

შევყურებ ოქროს გადაუფერავს,
ძვირფასი მადნის დაღორღილ ქვიშას,
არ იცის წერა და მაინც სჯერა,
იოლად წავა და არა უშავს.

ბარი მოკითხვას მთასთან აბარებს,
ბარი მადლობით მათ გააცილებს,
და როცა ბარელს მათ შევადარებ,
გვერდს ველარ უვლი ჭლექის ბაცილებს.

თუში—ეს სიტყვა მუდამ მომწონდა,
თუში—ეს სიტყვა დღესაც მაწვალებს,
ბევრ თუშს გმირული წარსული ჰქონდა
და დღეს სწვავს მიწა მათ ჩამქრალ თვალებს.

ვაჟებო! გასწით თუშეთის მთებში,
ნუ გინდათ ქვაბი, ნუ გინდათ თეფში,
ნუ გინდათ მზითვი წამოსაღებათ,
სცადეთ მთის ქალის გულის გაღება.
ქალებო! წადით, მთა დაიპყარით,
ცრუ ტრადიციის ნუ არის შიში,
თუ გინდ მწყემსებში ეძიეთ ქმარი,
ოღონდ არ გაჭრეს მაგარი ჯიში.

მთა ძუნწობს, ჩვენთვის შვილს არ იმეტებს,
ქალებს ინახავს, ვაჟებს არ უშვებს,
და მეც ის აზრი დამაიმედებს,
რომ ჩემს ორ ასულს მივათხოვ თუშებს.

საფო მგელაძე.

თეთრი ტყემლები

ნ. ნ—ძეს.

გაზაფხულია და დღე ბრწყინვალებს,
როგორც გვირგვინი ძვირფასი თვლებით
მე ჩუმათ უმზერ მაღალ მყინვარებს,
და აყვავებულ ტყემლებით ვთვრები.

გულო, წყარო ხარ წყნარი და წმინდა,
თუ აღარ უცქერ ცხოვრებას უბრად;
გინდა მტრედივით აფრენა ხიდან,
რომ ცას გაეკრა პატარა ღრუბლად.

ძვირფასო, ეხლა ტყემლის რტოების
თავზე მადგია თეთრი დიდება...
მე მათი თოვლით დავითოვები,
და თვალი ფუტკარს გაეკიდება.

ტყემლები ჰყვავა; თეთრი რტოები
სულში მათოვენ, სულში მღერიან,
და შორი მთები განმარტოებით
იების ხვავად ცამდე დგებიან.

მე სიხარულით დღესა ვარ ავად,
მე მინდა მოვკვდე ერთ უკვდავ ხმაში;
მინდა ეს გული ოქროსფერ ნავად
გადავაცუროთ ლაჟვარდის ზღვაში.

გამოდი მინდვრად, გადმოირბინე
ეს მობიბინე იონჯის ფარჩა!
მე მახსოვს შენი მკლავთა სირბილე,
და კოცნის თაფლი ტუჩებზე დარჩა.

შენი მკერდები ათქვირდა მაშინ
—ეს მოგონება აღარ გაქრება—
როცა ნესვები დამწიფდენ ბაღში,
და ყვითელ ატმებს დაუწყეს კრეფა.

მე მახსოვს: ფერად კალათებს სწნიდი,
რომ დაგეკრიფა ყურძენი ხეზე,
და გიწეპავდენ ტუჩების კიდეს
მწიფე ლეღვები დამსკდარი მზეზე.

შემდეგ ვენახი, რთველი, ბიები,
სიმინდის ტეხა, ურმის ჭრიალი,
შენი მაგარი, თეთრი წვივები,
და ბალახების ირგვლივ შრიალი.

გაზაფხულია; თეთრი ტყემლების
მხურავს სიწმინდე და მოფერება...
ო, გამარჯობა, ჩემო ცრემლებო,
სიცოცხლე, მზე და ბედნიერება.

კოლაუ ნადირაძე.

აპრილი 1926 წ.
ტფილისი

ცხოვრება

ვარ მრავალ სახე ქამელეონი,
ვაი მას, ვინაც სიცოცხლე მანდოს:
მე დავანარცხე ნაპალეონი,
გილიოტინა დაუდგი დანტონს;
წესი აუგე რომს, ერთხელ მორჭმულს,
და ბაბილონიც დავასამარე...
მაგრამ თუ ვარღვევ ძველს და დრო-მოჭმულს,
ახალ ყოფისაც მე ვარ სავანე.
უჩემოთ მიწაც გადაცდეს ორბიტს,
გზა აერიოს მზეს და ნიავებს...
დეე, იცოდეს, ვინც ჩემკენ მორბის:
მე ვარ სიკეთე! მე ვარ სიავე!

ვარლამ რუხაძე.

სერგეი ესენინს

გაუხედნავი კვიცი იყავი
და სისხლიანი როგორც ჩაღატარ.
დარჩები ლექსში გაურიყავი.
ცოდვაა ამ ლექსს საფლავში გატან.
მოგსდევდა სევდა დიდ ტრამალების
და მოატანე დარიალამდე.
სული სულს როგორ დაემალება?!
ჩვენი თვალებიც ცრემლით დალამდენ.
განა შენ დარჩი მარტო ცოცხალი,
რომ გადარჩენა არ გხარებია?..
ვინ დაითვალოს ცრემლის კურცხალი,
სირცხვილი, რაც გულს გაჰკარებია?..
გსდიოდა ლექსი შენ როგორც სისხლი,
მოურჩენელი გულის იარა.
თავის სიკვდილით თავს ვერ დაიხსნი
და სისხლი მხოლოდ სისხლს ეზიარა.
გამთენიისას ხაშის დიდ ქვაბში
ხარშავდა კეპკას მთვრალი პაოლო.
ყინვას გაჰქონდა გარედ კაშკაში.
სიკვდილმა ხელი მაგრად წაგვავლო.
არ გამოცვლილა ხომ პოეზია—
მუზები ცისკრის კარებს აღებენ.
მხოლოდ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია,
ჩვენც მალე სადმე ჩაგვაძალებენ.

და გულში სტირის შენი ანდერძი,
სადღეგრძელოში გვახსოვდე მარად
წითელ ღვინოში—შენ პურის კერძი
წამოიზრდები სისხლის ტომარად.
ღმერთი და სჯული... არა ვართ შორი,
მონღოლის სისხლი გვიდუღს ორთავეს.
სული დააპეს და მერე ძორი—
ძორიც ძერებმა გამოათავეს.
ასე უჭირდა ალბად ამირანს,
რომ დაულეწეს ჩვენსავით მკერდი...
შევსვამთ საწამლავს... ჩვენ როგორც მიროხს—
პირველად შენ სთქვი ეს ალავერდი.
ჩოფურაშვილთან ვიყავით წუხელ,
შენზე ღრიალით გასკდა არღანი.
საკუთარ ძმასაც ველარ გაუმხელ,
რაც ჩაკირულა გულში ბალღამი..
სამწუხაროა ყველა ესენი
და უფრო მწარე კიდევ ის არი
ლამაზო ბიჭო! სერგეი ესენინ!
ცოცხალს არ გესმის ეს საფიცარი!..
ამხანაგებო, თუ ღრმა ღელეში
ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს,
ყველამ იცოდეს—სხვა პოეტებში
ერთი შენ ჰყავდი ძმად ცისფერ ორდენს!..

ტიციან ტაბიძე.

28 თებერვალი 1926 წ.
ქ. ტფილისი.

მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში

ტყე ჭიაურის ჯიქურ ჯიღად უდგა ალაზანს—
გველეშაპს მზეზე გაზმორებულს და უცხვირპიროს.
კაბალს და აფენს შეიტბორებს მდორე თანამგზავრს,
ბეზარ შვიდებას ჰსურს კარჩხალი გადაიბიროს,
მორევში ჩაფლას, დაღესტანის ცრემლით იტიროს.

ხამი მუხნარი. ხორკლი ბოყვიც გამოერევა;
ჯმუხი დევები დაღარულან ათასი წლებით;
გრიგალი ჰგრაგნის მაგარ ტოტებს და ვერ ერევა.
აქ მაჯლაჯუნაც დაბაჯბაჯებს ყრუ მოწიწებით.
ანყიერებს მიწის ქონი კუზიანს ძირკვებს...
ასუყდა მუხა, გაიბოტა და სიზმრებს ირკვევს.

უღრანში ღველფავს დიდ მუხასთან ციხის ნანგრევი,
ხრიოკი არხი დახეთქილა ქვითკირნაგები;
დუმილი დადის მოდუნებულ გრძნობის ამრევი,
აქ ერთხელ ჰერეთს რაინდობა ჰქონდა ნაგემი
ენა აიდგას, მუხა ამბავს გადმოაფენდა.

დაჩაჩხულ ქერქზე დაჩეხილი ლანდი ათევდა!
ხავსიან ბარძაყს შესძრომია მსუნაგი ფითრი.
წურბელის ჭანგით ჩარჭობია, სჭამს, ძღება ღალით;
ჩაქინდრულს ველურს შელევია არჯალი ფიქრი,
ღოჯებდაღებით ბუ ღავღავებს შებოღმილ ღამით.
იქნებ დათავდა დრო დიდების—ამხობენ მუხას.
იქნებ შეუნთონ დაშაშრული დამშეულ ბუხარს.

სთქვეს: უნდა მოვჭრათ. აქ რას გვარგებს. ნაჯახი დაჰკრეს.
დაკვალთულ ხელში ბირდაბირი ღერღავდა მაყრულს,
გვერდგამოხრული აჯანყებდა ტოტების აფრებს.
სისხლი გადმოსქდა, როგორც ბუღას ყელგამოღადრულს,

მუხას წაქცევა არ უნდოდა, თავს იმაგრებდა;
ინძრა. შეირყა. აჭახჭახდა. გავარდა მეხი.
გადაიზნიქა, დაძლეული სხვებსაც ანგრევდა.
დაეცა ლომი. ქონდრის კაცმა დაადგა ფეხი.

სანდრო შანშიაშვილი.
1926 წ. 5 მაისი.

გზა სვანური სოფლისაკენ.

ზაფხული ხე-ტყით იყო მორთული,
კლდე გაპობილი.
მთების ლანდები დააწვა ღელეს...
მივიწყებული ხევში სოფელი
მოგზაურს ასე დაუსახელეს:
—„გზას გადაუხვევ, ვიწრო ბილიკზე
დაფანტულია საღამო ჩრდილში.
თოვლზე დაღლილი წვება რბილი მზე;
მაღლობზე ნაძვებს ღრუბლები მისდევს;
იქ ერთხელ დათვი ხანჯალით მოკლეს;
ოქროსფერ სათიბს მინდორი აწევს;
მარჯვნივ იქნება დაღმართი მოკლე.
ქვეშ წყალვარდნილი ოქროს კენჭებით.
და ჩაცვენილი ნალები გზიდან.
ღამე.
მარხილი გზით დაჭვირთული

ოსურმა ხარმა აღმა ვერ ზიდა.
რჭა ქონდა დიდი, ფერი ნაცარი;
იქიდან კლდეზე რომ გადახვიდეთ,
უნდა მოიბათ წელზე ბაწარი;
რომ გასცილდებით,
ორი მთა არი—
ხევში ღრუბელი
დაკიდულია როგორც წინდები;
იქ წაიხმარეთ მუჯუროს ტარი—
დაბლა ვაკეზე ჩამოდინდებით,
და დაინახავთ:...
დიდი ყანაა წინაპრებიდან გაუყოფელი,
შავი კოშკები სდგას დევებივით.
იქ არი ჩემი თბილი სოფელი“.

ნიკოლოზ შენგელაია.

ჯაფარა

ჯანი გავარდეს ჯაფარას
ჯინი აქვს მარილისაო.
თოლი გაიძრო საფარად
გული რქით ამოგლისაო.
რქა ნაყარ ყევარს ვინ ჩივი
ნახტომი მინდორს უგავსო,
ფერცხალამ ფერდო მისხივა,
სხივი ძნას გადაბუგავსო.
ჯაფარა ფაფარს მაიყრის
ვითა დევების თავებსო,
ფერცხალა ფერდოს გაიხრის
ცხრა მთა-ბარს დაიავებსო,
—ჯაფარავ ფარა რო გიყორს
მთაჩი რას დასდევ ქედასა?
მთამ მთისებური რა გიყოს,
თუ არ უნდიხარ ქედანსა.
ფარა უყვარდა ჯაფარას
ფარა, ფრთა მარილისაო,
თოლი თოლს მისცა საფარად,
გული რქით ამოგლისაო.

სიკოლოზ ჩაჩავა.

ნაწყვეტები

I

რათ უნდა სიამოვნება სალამურებად აგებულ უგემურ ძვლებს,
მე ყველაფერს უნდა გადავახტე და ხელმეორედ ეგებ /გავკაცდე.
დღეს ცხოვრებაც უცხო მცნებაა, მას შეუძლია ჩემი დაძლევა
და სიყვარულის სურვილიც რომ არ მქონდეს მაინც შემაცდენს.

II

ვერავინ ვერ იტყვის რომ სიყვარული ამ დროებით ჩხირკედელაობაა;
შენ თვალებში გიდგას მდინარის სინედლე, გაზაფხული და ვენახები.
მიახლოვდები და მიპყრობ გრძნობების ქსელით, როგორც ობობა.
მომშორდი... მომშორდი... თორემ, სინიდისს ვფიცავარ, შემომელახები!..

III

შრიალებენ ხეები და შენი უმანკოება აკვრია ცას, როგორც სურდო.
მინდა მქონდეს ხავსი აბრეშუმის და ალი ბურბუშელის.
საჭიროა მამაკაცის კოცნა, არ უღალატო ქალის სინიდისს,
ვიაროთ ფეხით ცამდე,
და თუ ცა შეგვხვდა,—უთუოდ გვიშველის.

IV

ნედლი თვალები გაურკვეველ საიდუმლოთა საფარებია,
ნედლი თვალები უმანკოებენ და მოხაზულ ცას ირგვლივ უვლიან;
მე ხიშრად ვფიქრობ: ალვის ხის გარდა შენ მამაკაცი არ გყვარებია,
ხოლო ალვის ხის კოცნა, ჩემო კარგო, სადაური სიყვარულია!

სიმონ ჩიქოვანი.

პ რ ო ზ ა

თავსაფრიანი დედა-კაცი

ვწერ შემთხვევით შეხვედრილის ამბავს.

თუ ოდესმე დანუღლეული ომნიბუსით გიმოგზაურიათ სამტრედიიდან მახლობელ სოფლებისაკენ, თქვენ უეჭველია დაინახავდით მესრის იქეთ, ეზოში, მოფუსფუსე, შავათ ჩაცმულ ქალს, რომელსაც თან დასდევდა ჭადის ნატეხით ხელში პაწია ბავშო.

ეხლა რომ იქ ჩავიარე, დედაკაცის უნახავობა დამაკლდა.

გამოვიკითხე, და აი ძიებამ ძველ მოგონებებთან ერთად რა აღმოაჩინა.

ნუ დამიწუნებთ! არ შემიძლია გრძნობა-გონება შევაჩერო დიდ პიროვნებებზე... ისინი ამშლიან სულის შემხუთავ სურათებს... შემდეგ, ოდესმე, მათ აღმოუჩნდებათ მოციქული ვინმე მარკოზი ან იოანე.

მე ვწერ თავსაფრიან დედა-კაცზე.

1

ყველაფერი ჩატარდა ძველებურათ, სულ ძველებურათ, ისე როგორც წინათ ხდებოდა ყველგან, სადაც კი ჯვარს იწერდენ, ორმოცი წლის წინათ ხდებოდა ხშირათ, 20 წლის წინათ ზოგჯერ, 10 წლის წინათ იშვიათად, და ეხლა კი შეუძლებელია.

გაძვრა-გამოძვრა მაჭანკალი:

ნამალევათ შორიდან დაანახა ქალი; მოაწყო „ქალის ნახვა“ და მიაცემინა შარნა; და მერმე?

მერმე ძმადეებმა სამჯერ შეუცვალეს ბეჭედი, თავს დაახურეს ოქროს კავებიანი გვირგვინი;

გავარდა ტამბაჩა და მაჭახელა.

აჭიჭყინდა ზურნა.

მეფე-დედოფალს სუფრაზე, ცხვირის-წინ, ულაგებდენ „თავზე-გადასაგდებს“: პატარა სარკეს, მოოქრულ სათითურს, ძეწკვს, თითბრის ტაშტს, დანა-ჩანგალს, ვერცხლის მანეთიანებს და ათ შაურიანებს.

...ქვიჯასაც, და განგებ მოწვეული სოფლის მწერალი სისწორით აღგენდა სიას...

სვეს,

იცეკვეს,

არა მარტო გოგო-ბიჭებმა

მოხუცებულებმაც.

დაიშალენ სტუმრები.

აბღავლდენ დანაკლავ ადგილზე ძროხა და ხარი.

—:—

ეზოზე ჩოჩიალა ურემმა გადიტანა ნაჭა, საბანი, ლები... ხორაგი.

გადავიდენ 60 მანეთით დატვირთული სიძე, მაყრები, რომ ახალ ადგილს

ეცეკვათ,

ესვათ

არა მარტო გოგო-ბიჭებს,

არამედ მოხუცებულებსაც

—:—

დასახლდენ, დაფუძნდენ.

2

კაი ნოგროს გამოდგენ:

სამი წელი—

სამჯერ გამოწეული მუცელი და შეზნექილი წელი;

სამჯერ ჭორფლი და მჟავე კიტრი;

ჩქარობდენ თითქოს!

—:—

სადედოფლო:

მაქვა და თითისტარი;

კეცი და ჩოგანი;

ლარი და საჩეჩელი;

პრასი და ოხრახუში;

მეწველი ძროხა;

კრავიანი ცხვარი;

გოჭებიანი ღორი;

თხას... თხას არ გაუშვებს: ნამყენ ხეხილით სავსე კარ-მიდამოს გადალრღნიან!

ბატები სისინებენ და ამაოთ ეძებენ ტბას;

ქათმები ჩიტებივით დაფრენენ ტოტიდან ტოტზე.

ციცარი გასართობათ.

სავსე ოჯახი!

სამეფო:

ხარდანიანი ვენახი საკუთარ ეზოში;

სიმინდის კალო მაღალი—სამესამედოთ ნაბატონართან;

გაპრიალებული ნაჯახი სახელმწიფო ტყეში;

უღელი ხარი.

წელმაგარი კომლი!

3

ააშენა ღმერთმა ნადი—ბევრი ილაზღანდარეს, ზღაპრები თქვეს, იმღერეს, იცეკვეს, სვეს, დილას დაიშალენ, ერთი ცხვარი მოუნდათ და ერთი ჩაფი ღვინო,—ქალები იყო უმეტესი. მაგრამ ამოათავეს მთელი მოსავალი, წლის სარჩო სიმინდი გადაარჩიეს... ცალკე მთად სდგას ოქროსფერი ტაროები; პატარა ხროვათ ჰყრია დამპალი და ჭყინტი; ფუჩეჩი მოდებულია მთელ ეზოში.

ცოლი გოდრის ასაწევათაც არ მიიხმარა: მოერიდა ახალ ნალოგინევს
და თვით ეცა უძინარი:
კარგი სიმინდი—ნალიაში;
უვარგისი—ცხვენზე;
ფუჩეჩი—საბძელში.
მიეგდო ხის ძირში გასაოთებული, ოფლით გაღვითქული.
ადგა მთქნარებით—ისევ სამუშაოთ მაგრამ...

—:—

ხან ოფლი, სიცხე, ბოდვა
ხან სცივა, კანკალებს, სამი საბანი,
სიყვითლე!
—რავა ვიფიქრებდი მე თვალ-დასავსები, უჟმური აყვა...
ექიმი და მარჩიელი,
წამალი და შელოცვა.
ფეხ-შიშველი მოიარა გელათი და მოწამეთი,
თან მიიტანა
მთელი ოჯახის წევრების სიგრძე თაფლის სანთელი.
„საშველი არ დაადგა“.

—:—

თმა-გაშვებული ქალები
ზარი
ფლავი
„განუტევე, უფალო, სული მონისა შენისა“.
სენმა და სიკვდილმა გაანიავა ოჯახი.

4

ქართველი ქვრივი დედა-კაცი თავსაფრიდან წუღებამდის... წინდაც კი შავი... თუ გამოჩნდა, მეტის-მეტათ ლილიან წყალში გავლებული საცვალი.
თეთრი შუბლი,
შავი მაყვალივით თვალები,
მზეზე გაშავებული ლოყები.
მოქნილი ცხვირი
სისხლისფერი ტუჩები
თეთრი, გრძელთითებიანი ხელები, ეტყობა ბევრს ველარ საქმიანობს,—იმატა ობლების მტერმა, იკლო მოყვარემ, და იგი დადის
პოლიციაში,
სასამართლოში,
სასწავლებელში,
ჰეზობელთან,
მამასახლისთან,
თავდაბალი,
საჩივრით,
მუდარით,
ისე რომ ვერ აჩერებს კედელი,
მარკა
სიშორე,—
გადაიფრენს, იშოვის, გადივლის, გასცურავს, მიიფრენს,
თავისას კი მიაღწევს:
ბავშებს სამართალს მოუნახავს,
დახმარებას გამოითხოვს,
მაგრამ ოჯახს არ უშტყუნებს,
კერიას არ გააცივებს.
ბევრი ეარშიყებოდა... შორიდან.
მაჭანკლებიც მოუგზავნეს.
—„როგორ უმტყუნო ობლებს?!“

—:—

იყო შემთხვევა.
არა პოეტმა გვიამბო:
„მასპინძელმა რიჟ-რაჟზე გაგვაღვიძა; გადვიხედე ფანჯარაში—ნადირობისთვის თენდებოდა: ცვარი ნაწვიმარივით ეყარა; ფოთოლი არ ინძრეოდა; სანაქებო მეძებრები მოუთმენლათ წკმუტუნებდენ; დარჩეული წევრები იზმორებოდენ.
გავსწიეთ.
სეირი მალე ვნახეთ. იყო გაბმული ყეფაც, წევრების მოტოვებაც, შემდეგ მეძებრები მანჩვს წააწყდენ, და სოროს ველარ გააშორეს.
შინ ვბრუნდებოდი. ვიღაცის ღობეს მივადექი. შევჩერდი დასასვენებლათ.
ცვარი კიდევ ეყარა. მზეს ამოეწვერა, სხივს ნაზათ აპკურებდა ჭოხს, ხეების წვერებს; ჩიტები ათასფრათ ჟღურტულობდენ..
შავად-მოსილმა ქალმა უკან კარებში გამოიტანა ნაბადი, ეზოს მივარდნილ კუთხეში, ჩემს მახლობლათ, ბოსტანში, გაშალა და ფეხ-შიშველა, თმაგაშვებულმა დაიწყო ტირილი... მოთქმა.
წრფელათ, გულამომჯდარი ისეთ ნაზს სიტყვებს, ისეთის შვენიერის ხმით ამბობდა, რომ მესრის გადმოლმა მე ავტირდი, ტირილი ზლუქუნად გადამექცა... უეცრათ მე შემრცხვა... ქალი კი საჩქაროთ ადგა და თავის ნაბდიანათ სახლში მიიმალა“..

5

ბავშები დაზარდა.
ასწავლა ათასჯერ მეტი, ვიდრე შეეძლო.
ერთი ვაჟი მოანგარიშეა კოოპერატივში.
მეორე სასამართლოს მოხელეა...
დააცოლშვილა ორივე.
ჩამოისიძა სოფლის მასწავლებელი.
წელში გახრილი, ყავარჯენით ხელში გადადიოდა ერთისგან მეორესთან.
არსად იყო ზედ-მეტ სტუმრათ:
ბავშების მოვლა, ჭუკის წამალი.
მთრთოლვარე ხელებით, ამღვრეული თვალებით შოქსოვა წინდები, მიუტანა ბავშს.
ფეხი არ ჩაეტია.
—გაიხადე, ბები, ამას შენ ძამიას წაუღებ, შენ კი სხვას მოგიქსოვ.
ბავშის ტირილი.
დედამ სთხოვა:
—მიეცი, სულ ერთია, ოღონდ გაჩუმდეს...
—რათა, შვილო, ამას კოწიას წაუღებ... ბავშს ნუ გაანებივრებ...
ბავში უფრო ტირის.

— რა, დედა, შეგენანა განა ერთი წინდა?! გინდა მეორე შვილიც მოიმადლიეროო!.. ნუთუ ამის საღირალ პატივს არ გცემთ?

წინდები ხელთ გავარდა.

სიტყვა არ ამოუღია.

შეისწორა თავსაფარი.

ქალიშვილმა შეამჩნია ქცევა და კიდევ დაუმატა:

—ტყუილს ვამბობ თუ?

ქალი ადგა, კალთები დაიბერტყა.

ბავში არ ცხრებოდა.

კაპასი შვილი:

—ნუ ტირი, ნუ ტირი, უკეთესს გიყიდი, რომ ბებიამ არ დაგამადლოს!

ქალი წავიდა უმიზნოთ; შემოუარა სახლს, რომელსაც შეალია თვალის ჩინი, სიცოცხლის ჟინი; ჩაჯდა ბოსტანში.

არავითარი აზრი, არავითარი ფიქრი, მხოლოდ სიტყვები:

„შეგენანა“, „მოიმადლიეროო“, „საღირალი პატივი“.

გადავიდა მეზობლებთან.

—რა დაგემართა ბეჩა, სახე სახეს არ გიგავს?

—არაფერი, ჩემო ფოტინე, დამსიცხა უსათუოდ.

დაბრუნდა შინ.

ჭუკებს ჯამით დაუდგა ცომ-ნარევი ჭინჭარი.

მიწვა.

გრძნობს თავის სიმძიმეს, ტანის სიმჩატეს.

არავითარი აზრი, არავითარი ფიქრი, მხოლოდ სიტყვები:

„შეგენანა“

„მოიმადლიეროო“ (თუ „მოინადიროო“?!..)

„საღირალი პატივი“..

და მოულოდნელათ მოკვეთილი, დასაბუთებული გადაწყვეტილება:

არავისთვის ვარ საჭირო, სრულიად არავისთვის; ვარ სრულიად ზედ-მეტი... დიდი ხანია ჩემ კაცთან უნდა წავსულიყავი...

და გაიხადა, მოიხსნა, მოაგროვა, ერთად ზანდუკში ჩაალაგა ყოველივე ხელ-სადები, ფასიანი, გამოსადეგი და კონკებში გახვეული, თითქმის საცვლების ამარა ჩუმათ გამოვიდა ნაჭირნახულევ ქოხიდან.

თითქოს შემთხვევით ჩაუარა ქმრის საფლავს, დიდ ხანს არ შეჩერებულა, ერთი კი მიუჯდა, ხელი გადუსვა ბალახში მიმალულ ქვას და მკაცრათ უთხრა:

—„ჰო მოვალ, მოვალ.. მოვალ, ჩემო ფილიპე“.

6

შვილებმა კარგა ხანს ვერ გაიგეს დედის გადაკარგვა: ერთს მეორესთან ეგონა.

გაიგეს—შეძრწუნდენ, შერცხვათ: „მოგვეჭრა თავი სოფელ-ქვეყანაში... რას იტყვიან, მოხუც დედას ვერ მოუარესო?!“

უნდოდათ საძებრათ წასვლა—ეძვირათ; უნდოდათ გაზეთებში გამოცხადება—„უარესათ მოგვეჭრება თავიო“.

ასე იცდიდენ.

დედას გულმა უგრძნო: „შვილები დამეჩაგრება, სახელი გაუტყდებათ“ და ჩამოთხოვილი ფულით დაზღვეული, მისი ნაკარნახები, სხვისი დაწერილი ბარათი გაგზავნა:

„საყვარელო შვილებო, ნუ მიწყენთ, სალოცავათ წავედი, ნუ მეძებთ... შვილიშვილები დამიკოცნეთ, ჩემზე ნუ სწუხხართ. მშვიდობით სამუდამოთ“.

ეს იყო თავსაფრიანი ქალის ერთი იშვიათი სიცრუეთაგანი.

ბარათი შესაფერისად გრძელი იყო.

შვილები დაწყნარდენ, გაუხარდათ, სხვებსაც აჩვენებდენ თავის გასამართლებლათ. კეთილსინდისიერათ გაიყვეს მცირე მემკვიდრეობა: რამდენიმე ვერცხლის ფული, აბრეშუმის თავსაფარი, ძვლისტარიანი ხანჯალი და სხვა...

7

მოკრძალებით მდგომ მათხოვარს ავარამ უთხრა:

—დედი, რას გვაწვალებ, თავს რათ იწამებ?

—რა ვქნა, შვილო, მე კი მინდა სიცოცხლე?!..

—ა, მტკვარი და მისი ჯანი...

—უიმე, ჩემის ხელით სული როგორ წავიწყმინდო?!—და სწრაფათ გაშორდა, როგორც კეთროვანს.

8

გაზეთის ქრონიკაში ეწერა:

„ვაკის ჩიხში მილიციამ იპოვა მოხუცებული ქალის გვამი. აცვია დახეული შავი ხამი და ძველი წულები; გულზე ჰკიდია თითბრის ჯვარი; მარჯვენა ხელის უსახელო თითზე აქვს ხმარებისაგან დალეული ნიშნობის ვერცხლის ბეჭედი, რომლის შინა გვერდზე ნახევრათ წაშლილი ასოებისაგან ჩვენ ამოვიკითხეთ (ვერ დავადასტურებთ!) „ფილიპე“.

უცნობი გვამი გადაგზავნილია“...

შვილებს ქრონიკიერის შენიშვნა, მგონი, არ წაუკითხავთ და არც არავის უაბნია მათთვის.

ყველაზე უფრო განათლებული და თან ყველაზე უფრო ტუტუცი შვილი ზოგჯერ ბრძნულად შენიშნავს: „მოხუცებისაგან ზოგიერთს გამოელევა მოსაზრების უნარი და მოქმედებს შეუგნებლათ, მაგალითად, გაჰყვება გზას და მიდის და მიდის... ამას ჩვენში „მხარის შეცვლას“ უძახიან, მეცნიერებმა კი „მანიაკალური მდგომარეობა“ უწოდეს.

—:—

დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან.

ნიკო ლორთქიფანიძე.

26 აგვისტო. 25 წ.
მანგლისი.

უცნაური მოთხრობები

რაც იყო და რაც არ იყო

ამ მოთხრობის პატარ გმირმა ბევრი რამ არ იცოდა.

მისთვის საუბედუროდ შეიქმნა უმთავრესად ის, რომ მან არ იცოდა, რაც ხდებოდა მის გარშემო ამ ომისა და რევოლიუციის დროს.

მას ეგონა, რომ ყველაფერი მართლა იყო, რაც იყო, და არ იყო ის, რაც არ უნდა ყოფილიყო.

საწყალი ბიჭი!

მაგრამ მას ბევრი რამ ეპატიება: ის ისე მოჰკვდა კიდევაც, რომ არ იცოდა, რისთვის კვდებოდა.

საინტერესოა ეს ისტორია.

—:—

ეს ვაჟი მეოცნებე იყო და ერთ დიდ ქალაქში სცხოვრობდა. იგი უცნობ ქალზე იყო შეყვარებული, და სიყვარულს ისე დაებრმავებია, რომ ვერც კი ამჩნევდა, რომ ქვეყანაზე ომი იყო და რევოლიუცია.

უთუოდ უცნაური იყო ეს ვაჟი.—ბედნიერად მოჰქონდა თავი და ყოველთვის უმანკო, ბავშური ღიმილით იღიმოდა.

მთელ ქალაქში ისე უმანკოდ აღარავინ იღიმოდა, როგორც ეს ვაჟი, და მის გარდა იმ ჟამად აღარავინ ფიქრობდა ბედნიერებაზე.

დაინახავდენ თუ არა ქუჩაში, ხალხი ერთი ამბით დაედევნებოდა ვაჟს.

— აი მოდის ვიღაცა, რომელიც იღიმის. ეტყობა, ბედნიერია! შეხედეთ, ბედნიერები კიდევ ყოფილან ქვეყანაზე!

მაგრამ არავინ კი არ იცოდა, ვინ იყო ეს ვაჟი. ისიც ყოველთვის მარტო დასეირნობდა ქუჩებში და ყურადღებას არავის აქცევდა.—მუდამ სატრფოს დაეძებდა, მასზე ფიქრობდა და მისთვის იღიმოდა.

იგი სატრფოსაც არ იცნობდა, არც სახელი იცოდა მისი. მაგრამ თინას კი ეძახდა გულში და დარწმუნებული იყო, რომ ეს სახელი ერქვა სატრფოს, როგორც მას—მისი საკუთარი.

ყოველ დღეს შეხვდებოდა ვაჟი სატრფოს. შეხვდებოდა, გაუღიმებდა და გაივლიდა.

ქალიც არ იცნობდა ვაჟს, მაგრამ ღიმილზე ყოველთვის ღიმილითვე უპასუხებდა.

ხანდახან შორი-შორიდან თვალს გააყოლებდა ვაჟი თინას და ასე სახლამდის მიაცილებდა. მერე კიდევ დიდხანს დადიოდა ქუჩაში და ხან ხმამაღლა, ხან კიდევ ჩუმად თავის სატრფოსა და სიყვარულზე ოცნებობდა.

ასე ხდებოდა მაშინ, როცა დიდი ომი იყო და შერყეულ ქვეყნიერებას რევოლიუცია სასწაულებს უმზადებდა.

—:—

და აი, ერთ დღეს ქალაქის მცხოვრებლებმა შენიშნეს, რომ ვაჟი ქუჩაში არ გამოჩნდა. არ გამოჩნდა იგი მეორე, მესამე დღესაც. მერეც არ გამოჩენილა.

შეწუხდენ ყველანი, რადგანაც ახსოვდათ ვაჟის უმანკო ღიმილი და კვლავ მისი ხილვა ენატრებოდათ.

—ალბად დაიღუპაო,—იფიქრეს ბოლოს და ამით გაათავეს, რადგანაც ჩვეულებრივი იყო მაშინ დაღუპვა.

მაგრამ სრულიად ამავე დროს ისეთი ამბავი დატრიალდა ქალაქში, რომ გაკვირვებას გადაჩვეულებიც კი გააოცა.—

სწორედ ვაჟის გაქრობის დღეს, ქალაქში მოულოდნელი ზედაწყვეტა შეიქმნა: დიდი და პატარა ფეხზე დადგა, და საშინელი წყრომის ზუზუნი გაისმა კიდითი-კიდე.

ზედაწყვეტა ქალაქის სასაფლაოსთან ჩამავალ ქუჩაში დაიწყო და რამდენსამე წამში ხანძარივით მთელ ქალაქს მოედვა.

ამის მიზეზი ის იყო, რომ ქალაქში ვიღაცა უცნობი გამოჩნდა შეუწყნარებელი სანახაობისა და შეჰლახა ხალხის უკანასკნელი სასოება. ამ უცნობს სახეზე გაშიშვლებული საშინელება გამოხატოდა და დაუკიდებლად გამოემჟღავნებია ისეთი შიში ცხოვრებისადმი, რომელიც უთუოდ დაფარულად უნდა ეგრძნო.

ხალხმა ეს ვერ მოითმინა. შეიპყრო უცნობი, გაიყვანა ქალაქ-გარედ და ჩაჰქოლა.

მოხდენილმა კვლევა-ძიებამ ჩაქოლილის ვინაობა გამოარკვია.—ის მეოცნებე ვაჟი აღმოჩნდა, რომელიც ქუჩაში დადიოდა მარტო და ყოველთვის უმანკო ბავშური ღიმილით იღიმოდა.

—:—

ვაჟის ჩაქოლას წინ უსწრობდა ერთი ღამის ფანტასტიური ამბავი.

დანამდვილებით არავინ იცოდა, რა მოხდა იმ ღამეს. არც ის იცოდენ დანამდვილებით, მართლა მოხდა რამე თუ არა.

ასეც ხშირად ხდებოდა.

სრულიად მოულოდნელად იმ ღამეს ომის ხაზი მოუახლოვდა ქალაქს, სადაც მეოცნებე ვაჟი სცხოვრობდა. აქუხდენ საომარი იარაღები და მალე რომელღაც მეომარი ჯარიც ქალაქში შემოვიდა.

რა დატრიალდა ღამის განმავლობაში, ეს არავინ

იცის. ხოლო დილა რომ გათენდა, ყველაფერი ისე იყო, როგორც წინა-დღეს. ბევრს იჭვიც კი დაებადა, რომ ომის ხაზი ქალაქს დაახლოვებოდა.

მაგრამ ის ღამე მაინც საბედისწერო შეიქმნა მეოცნებე ვაჟისათვის.

იმავე ღამეს იგი სატრფოს ბინისაკენ გაიჭრა, რომ თინას რაიმე უბედურობა არ შემთხვეოდა.

გზაზე არავინ შეხვედრია. სიცალიერე იყო და სიწყნარე.

ნეტავი, ვინ სთქვა ომი იყოო. ზარბაზნების ხმა, მგონი, თვითონაც არ გაუგონია.

ეს გაუხარდა.

სატრფოს სახლთან რომ მივიდა, გაოცებული შესდგა მოშორებით. ვერ იცნო იქაურობა. მოჩვენებათ წარმოუდგა.

სინათლის ზღვა კიაფობდა როგორც სახლს გარედ, ისე შიგნითაც. წამ-და-უწუმ მოდიოდა ავტომობილები, მოარული მანქანები და კიდევ-რაღაც მანქანები. შესავალთან ხალხი ირეოდა. შედიოდენ, გამოდიოდენ.

სახლიც ზღაპრულ ქარვასლას დამსგავსებოდა.

სად მოვხვდიო, გაიფიქრა ვაჟმა. მოსაფშვნეტად ხელი თვალთან მიიტანა, მაგრამ უცებ ჩაჰქრა სინათლე. მერე შეინძრა ყველაფერი არახრახნებით და ყველაფერი გაჰქრა.

ვაჟი სატრფოს ნაცნობ სახლთან იდგა.

მოეწონა, რომ ღამე ასეთი უცნაური იყო.

მერე საყვარელი ფანჯრები შეათვალიერა. ერთ მათგანზე შეაჩერა თვალები.

— ძილი ნებისა!—ალერსით წარსთქვა და ფეხაკრეფით უკან დაბრუნდა.

წინ ნახულის წარმოდგენაზე თავი გაიბერტყა. ოცნება მოიშორა.

—:—

მეორე დღეს ქუჩაში გამოვიდა. ჩვეულებრივად იღიმოდა. მაინც იჭვით შეათვალიერა ქალაქი.—უეჭველია, ყველაფერი მოჩვენება იყო, რაც წინაღამეს მოხდა.

მაინც წავიდა სატრფოს ბინისკენ.

ანაზდეულად გზაზე სამგლოვიარო პროცესიას წააწყდა: ვიღაცას სასაფლაოზე მიასვენებდნენ. სულ ათიოდე ქალი და კაცი მიჰყვებოდა ღარიბად მორთულ კუბოს.

არც მუსიკა, არც გალობა, არც ერთი გვირგვინი. საწყალი.

კუბო თავახდილი იყო.

ვაჟი გაეცია პროცესიაში, თუმცა ყველანი უცნობები იყვნენ. მალე დაუახლოვდა კუბოს და შიგ ჩახედა.

კუბოში მისი სატრფო ესვენა.

უცებ—ვიდრე გონებით დაადასტურებდა ნახულს—მთელმა ღამემ გაურბინა თავში. მერე:

—მაშ, ყოფილა ომი და თინაც მოუკლავსთ.

ჭირისუფლებში ჩადგა და ასე განაგრძო გზა.

და აი, უკანასკნელად ეთხოვებოდა იგი საფლაზე სატრფოს.

მდაბდალ თავდახრილი მიუახლოვდა კუბოს.

—ესაა.—დაიწყო და დადუმდა.

მაშინ ვიღაცა მიუახლოვდა და თავაზიანად შეუშნა, რომ ის იღიმოდა და ეს უადგილო იყო.

ვაჟმა თავი ასწია და მიმოიხედა.

—მაშ მოჰკლეს!.. ასე მოჰკლეს ჩემი თინა!—წარმოსთქვა ხმამაღლა.

მიცვალებულის ჭირისუფლებში ჩოჩქოლი ატყდა. რამდენიმე კაცი მივიდა ვაჟთან. მოჰკიდეს ხელი და კუბოს მოაშორეს.

უთხრეს, რომ შეცდომით იყო იქ მოსული. მიცვალებული ესა და ეს ქალიაო. დაუსახელეს უცნობი სახელი. არავის მოუკლავს. ავად იყოო.

მაშინ უცებ ჩამოეხსნა ღიმილ ვაჟს. ხოლო ღიმილის ქვეშ ისეთი საშინელი გამომეტყველება დაუნახეს, რომ მყისვე შიშისაგან გაეცალენ.

ამის შემდეგ მოშორდა იქაურობას ვაჟი და მიიმალა.

თვალი გააყოლეს. შენიშნეს, რომ მიმავალს გაოცებით გზას უთმობდენ.

ცოტა ხანი და მახლობელ ქუჩაში ხმაურობა ატყდა. მერე უზომო წყრომის გამომხატველი ყვირილი და მალე ზედაწყვეტაც შეიქმნა...

რით გათავდა, ეს ზემოდ არის ნათქვამი.

ლეო ქიაჩელი.

პროვინციის მთვარე

ერთი თავი მოთხრობიდან.

მაგდამ დაიარა ყველა ოთახები. ვერავინ ნახა. სასადილო ოთახში ლამპას ეკიდა. სინათლიან შუშის გარშემო ტრიალებდენ ფარვანები. მაგიდის საფარზე ეყარენ მკვდარი მწერები. ბაღიდან ისმოდა ჭრიჭინას ხმა. სადღაც კედელში შემძვრალიყო მახრა და ხრავდა ხეს.

მაგდა გამოვიდა დერეფნიდან და კიბეზე შეჩერდა. ძილი ჯერ კიდევ ვერ გაერეკა და ბაღი, რომელზედაც დაღვრილიყო მთვარე, სიზმარის გაგრძელებათ ეჩვენებოდა. არც ერთი ხმა არ არღვევდა სიჩუმეს ქალაქში.

— მამა!—ძლივს შესძლო დაძახება.

— აქა ვარ! გაისმა პასუხი ბაღის სიღრმიდან.

გიორგი მარტო იჯდა თავის საყვარელ ადგილას ვაშლის ძირში და პაპიროსს სწევდა.

— გავიღვიძე და ვერავინ ვნახე. ოთახებში სიჩუმეა. მარტოთ ყოფნა შემეშინდა.

— ასეთ ღამეში ოთახში ვინ გაჩერდება?

— ასეთ ღამეში ყოველთვის მოწყენილი ვარ!

ორივე სდუმდა. სჩანდა არცეროს ლაპარაკი არ უნდოდა.

— ასეთ ღამეში თვალს ძილი არ ეკარება.. ასეთი ღამეები მხოლოდ აქ იცის.. დიდ ქალაქში კი სულ სხვაა. ვერც იგრძნობ ვერასოდეს!—დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ დაილაპარაკა გიორგიმ თითქოს მხოლოდ იმისთვის, რომ რამე ეთქვა მაგდასთვის.

უეცრად მაგდამ დაინახა ლანდი, რომელიც ქუჩიდან იხედებოდა ბაღში. სჩანდა ვიღაც ეძებდა, რადგან დიდხანს და დაკვირვებით ათვალიერებდა ბაღის ყოველ კუთხეს.

— ვინ ხარ? მიაძახა მაგდამ.

ხმის გაგონებაზე ლანდი სწრაფად მოშორდა ღობეს.

მაგდა წამოიჭრა ადგილიდან და ქუჩისაკენ გაექანა. სახე ვერ დაინახა, მაგრამ როდესაც ლანდი ერთი წუთით გამოჩნდა მთვარის ნათელზე და შემდეგ შეალო მეზობლის სახლის კარები, მაგდა მიხვდა ვინც იყო.

— მარო! მიაძახა მან.

ლანდი, რომელსაც დაუძახეს მარო, წუთით შეჩერდა კარებთან, მაგრამ ისევ უეცრად შევიდა და მიხურა კარები.

მაგდამ გარკვევით იცნო მარო, იცნო მისი განიერი კაბა, თავშალი, რომელიც მხრებზე დაფენოდა, მაგრამ მაინც შეაშინა ასეთმა მოქცევამ. ერთხანს კიდევ იცადა ღობესთან. ელოდა მაროს გამოსვლას, მაგრამ კარები არ იღებოდა და ფანჯრები იყო ბნელი.

სიჩუმეში უეცრად გაისმა ნელი სიმღერა. მაგდა შეჩერდა ღობესთან. სიმღერა თანდათან ახლოვდებოდა. მალე მკაფიოდ გაიგონა ჰანგი და გიტარის აკომპანიმენტი.

მოედნიდან ქუჩაზე გადმოუხვიეს მომღერლებმა. ერთი უკრავდა გიტარაზე, მეორე მანდოლინაზე. დანარჩენები ნელი ხმით მოიმღეროდენ. მაგდამ იცნო ყველა—ზოგი ტანსაცმელით, ზოგი უძიროებით, ზოგი ხმით. ახალგაზრდების გუნდს მიუძღოდა სცენისმოყვარე ჟანი.

როდესაც მაგდას მიუახლოვდენ, სიმღერა შეწყვიტეს.

— სალამო მშვიდობისა! ერთხმად მიესალმენ.

— სეირნობთ? მხიარულად იკითხა მაგდამ.

— არ გვეძინება.. მთვარე ისე აჭყეტს თვალებს, რომ სახლებიდან გამოგვრეკა ყველა. ჩავივლით, ჩავიღიღინებთ...

დაემშვიდობენ მაგდას და განაგრძეს გზა. რამოდენიმე ნაბიჯის შემდეგ ისევ გაისმა ნელი სიმღერა და გიტარის ხმა.

ჟანი მაგდასთან დარჩა.

დიალოგი პროვინციის მთვარის შესახებ:

— ჟან!—გაისმა ძახილი შორიდან.

წინ წასული ამხანაგები უძახოდენ დარჩენილს.

— მოვალ! მიაძახა ჟანმა, მაგარამ ადგილიდან არ დაძრულა.

ორივენი ჩუმათ იდგენ. არ იცოდენ რაზე ელაპარაკნათ.

ჟანმა იგრძნო, რომ მაგდა წასვლას აპირებდა და გაბედა სიჩუმის დარღვევა.

— გამიჭირეს საქმე.. უჩემოთ ფეხის გადადგმა არ შეუძლიანთ. გინდა თუ არა, უნდა წაყვე და გაართო ხალხი. სადაც მე არ ვარ, კამპანია წამხდარია. სული წაიღეს პირდაპირ.!

მაგდამ გაკვირვებით შეხედა.

— რათ ჩამორჩით მეგობრებს? ეწყინებათ..

ჟანმა იწყინა მაგდას გაკვირვება, თავაზიანათ მოიხადა ქუდი და წასვლა დააპირა.

— არ მეგონა თუ ჩემი დარჩენა შეგაწუხებდათ. ბოდიში მომიხდია!

— მე მხოლოდ იმიტომ გითხარით, რომ თქვენს მეგობრებს არ ეწყინოს..

ჟანმა ნერვიულად მოსწია პაპიროსი.

— ჩემს ფეხებს, თუ ეწყინებათ.. მათი ყურებით თვალებში მაზოლი გამიჩდა..!

მაგდამ არაფერი უპასუხა. ჟანმა გადახედა ბაღს,

ახედა ხეებს, მიაჩერდა მთვარეს და თითქო მას ელაპარაკებოდა, ჩუმათ სთქვა:

— ძალიან სასიამო საღამოები დაიკავა!

აღარც მაგდა უყურებდა ჟანს. ხედავდა მხოლოდ ცას წმინდას და შორ მანძილს დაფერილს მთვარეთი.

მ ა გ დ ა: მამა ამბობს, რომ ასეთი მთვარე იცის მხოლოდ პროვინციაში; რომ მთვარე პროვინციისთვის არის გამოგონილი.

ჟ ა ნ ი: თბილისში ვყოფილვარ და იქაც მინახავს.

მ ა გ დ ა: თქვენ, ალბათ, შეჩვეული ხართ და ვერ გრძნობთ მას ისე, როგორც მე. აქაური მთვარე მთელ ჩემ არსებას იტაცებს.

ჟ ა ნ ი: დაწყევლილი რამაა... ჩაგიძვრება სულში და გიღიტინებს.

მ ა გ დ ა: გამოურკვეველ გრძნობას ბადებს და სულს სევდაში ხვევს.

ჟ ა ნ ი: ეგ მართალია... ხანდახან ხვნეშას იწვევს.

მ ა გ დ ა: რასა?

ჟ ა ნ ი: ხვნეშას!.. ხვნეშავ ადამიანი, ბორგავ, ვერ ისვენებ.. წყეულია ის ოხერი!

მ ა გ დ ა: მამამ სიმართლე სთქვა. პროვინცია რომ არ ყოფილიყო, შესაძლოა არც მთვარე იქნებოდა.

ჟ ა ნ ი: საზღვარგარეთის წიგნები წამიკითხავს, იქაური პიესები დამიდგამს და ხშირად შემხვედრია მთვარის ხსენება.

მ ა გ დ ა: მთვარე ყველგან არის, მაგრამ არა ასეთი. აქ განსაკუთრებული სურნელი აქვს მას..

ჟ ა ნ ი: ეგეც მართალია... ნოტიოს სუნი დგება!

მ ა გ დ ა: ყველაფერი სხვა სახეს ღებულობს, იდუმალებით სავსეა ქვეყანა. თითქო სხვა მხარეში, ზღაპრულ მხარეში ხარ.

ჟ ა ნ ი: ჩვენ კი ისე ვართ შეჩვეული, რომ თავიც მოგვაბეზრა.. ხანდახან არც კი ვამჩნევთ.

მ ა გ დ ა: ადაჭიანიც სხვანაირი სჩანს, სახლი, ხე, ყველაფერი.

ჟ ა ნ ი: მართალია, ფერი ეკარგება ყველაფერს.

მ ა გ დ ა: მე მგონია, რომ მთვარიან ღამეში ყველა გულკეთილია, ეს შეიძლება იმიტომაც ხდება, რომ სევდა აწვება გულს. ყველა დადის ფიქრებით დატვირთული, თავდახრილი..

ჟ ა ნ ი: ფეხს წამოკრავს რამეს, ან ორმოში ჩავარდება, წინ რომ არ დაიხედოს.

შორიდან უეცრად გაისმა ძახილი:

— ჟან! ჟან!

ჟანმა უკმაყოფილოთ მიიბრუნა სახე იქითკენ, საიდანაც ხმა მოდიოდა.

— რა გამიჭირეს საქმე! დაგეწევით, დაგეწევით.!

ბაღის პირდაპირ სახლში ოთახი განათდა. პატარა ხნის შემდეგ გაიღო ფანჯარაც და ჭუჩაში გადმოიხედა ქალმა. მან დიდხანს უყურა ჭუჩის პირად მდგარ მაგდას და ჟანს და სჩანდა რაღაცას თქმა უნდოდა.

— მარო, ვერ გვიცანი? მიაძახა ჟანმა.

მარომ დიდიხანია იცნო ვინც იდგა ფანჯრის პირდაპირ, მაგრამ მაინც იკითხა:

— ვინ ხარ?

— ჟანი ვარ.. ქალბატონ მაგდას ვემუსაიფები.

— ცოტა დაგვიანებული ვიზიტი მოგსვლია! გესლიანად გადმოიძახა მარომ.

— რას იზამ,—ჩაიცინა ჟანმა,—შემთხვევის ბრალია.. გზათ გავიარე და შევჩერდი..

— მე და ჟანი სხვადასხვა აზრისა ვართ მთვარის შესახებ! ხმა მაღლა სთქვა მაგდამ, რომ მაროს გაეგონა.

— ეგ კარგი ამბავია! მთვარემდი მივიდა თქვენი საქმე?

მაგდამ იგრძნო დაცინვა, მაგრამ არ უნდოდა გაემჟღავნებია წყენა, რადგან იცოდა მაროს ამბავი და ეშინოდა კიდეც მისი.

— ის არ ეთანხმება მამას, რომ მთვარე მხოლოდ პროვინციის საკუთრებაა.

— შენ ცოტათი ამახინჯებ ჩემს აზრს,—უეცრად ბაღიდან გიორგის ხმა მოისმა.— მე ვსთქვი, რომ მთვარეს პროვინციაში ძლიერად გრძნობ და ამიტომ ის უფრო აქაურობას ეკუთვნის, ვიდრე დიდ ქალაქებს..

რამოდენიმე ხნით ყველა გაჩუმდა. შორიდან ძაღლის ყეფა ისმოდა. ჟანმა ისევ მოუკიდა პაპიროსს.

სახლიდან ნელი ნაბიჯით ვიღაც წამოვიდა. მაგდამ იცნო ნესტორი, წასვლა დააპირა, მაგრამ ვერ მოახერხა უცბად მოშორება და დარჩა.

ნესტორმა ერთხანს უცქირა ღობესთან მდგართ და შემდეგ ქვაზე ჩამოჯდა.

— მგონი ფხიზელი ხარ.. რა ღვთის გაწყრომაა შენს თავზე? დაცინვით მიმართა ჟანმა.

ნესტორმა არაფერი უპასუხა. მხოლოდ გაბრაზებით ახედა. დიდიხნის დუმილის შემდეგ ნესტორმა სახე იბრუნა მაგდანასკენ და უთხრა თითქო საყვედურით.

— მთელი სახლი დავიარე და ვერავინ ვნახე.

— სიმონი მოედანზე შემხვდა. მგონი კლუბში მიდიოდა.. სთქვა ჟანმა.

— შენ კი აქეთ გამოსწიე?

ჟანმა იგრძნო მაროს დაცინვა და ღიმილით უპასუხა:

— ჩამოვისეირნეთ ყმაწვილებმა..

— არც შენ გაძინებს მთვარიანი ღამე? შენ მაინც არ ჩამოსულხარ ქალაქიდან! მთვარე მხოლოდ ქალაქელებს უფრთხობს ძილს.. შენ კი ჩვენი ხარ, ჩვენი..

ჟანმა დააპირა ეპასუხნა დაცინვითვე, მაგრამ ამ დროს ნესტორმა ისევ გაიმეორა თავის საყვედური:

— მთელი სახლი დავიარე და ვერავინ ვნახე!

— შენ რაღას დაძვრები? გადმოსძახა მარომ.

ნესტორმა ახედა ფანჯარას, საიდანაც ხმა მოესმა.

— კი არ დავძვრები, დავდივარ... დაძვრე-

ბიან მხოლოდ ხვლიკები. იმათაც სძინავთ ახლა.—ნესტორს უნდოდა უკმეხათ ეთქვა რამე მაროსთვის, მაგრამ უეცრად მაგდას მიუბრუნდა—ამ ბაღში ამასწინად მწვანე ხვლიკი ვნახე. მწვანე ხვლიკს ერიდე. კბენა იცის და შხამიანია. როცა გიკბენს, ვერცხლის შაურიანი უნდა დაიდვა ნაკბენზე. სხვა არაფერი გიშველის..

— ტყუილია ეგ,—სთქვა ჟანმა,—არც ერთ მეცნიერს არ უთქვამს.

— მეცნიერებმა მხოლოდ ცის და მნათობების ამბავი იციან. ის კი, რაც მიწაზე ხდება, მე უკეთ ვიცი!—გაჯავრებით უპასუხა ნესტორმა.

მაგდამ შეატყო წყენა და კითხა უფრო იმისთვის, რომ შეერიგებია:

—ღამე საშიში არის?

— ღამე ხვლიკს სძინავს,—აუხსნა ნესტორმა,—ჭვის ქვეშ შეძვრება, ან ჩირგვში. ღამე ხვლიკი ვერ ხედავს და განაბულია.

—ღამე სხვანაირი ხვლიკები უფრო საშიშია! სიცილით გადმოიძახა მარომ.

ჟანი მიხვდა რაზედაც სთქვა მარომ და ღიმილით ახედა. რომ მაგდაც არ მიმხვდარიყო, ჟანმა მისთვის უჩვეულო დარბაისლობით დაიწყო ლაპარაკი:

— გადავიკითხე თქვენ მიერ ჩამოტანილი პიესები და ზოგიერთი მომეწონა კიდეც. ვნახე ისეთი როლებიც, რომელიც სიამოვნებით შეიძლება კაცმა ითამაშოს. ისაა მხოლოდ ცუდი, რომ ყველა პიესაში ნაკლები მოქმედებაა. პიესას მეტი სიცოცხლე სჭირია, მაყურებელი უნდა გაიტაცოს. თუ სამი-ოთხი კაცი მაინც არ მოკვდა და მაყურებელმა არ იტირა, მოწყენილი წავა ხალხი და მეორედ აღარავინ მოვა. მე თითონ გამომიცდია, ამიტომ ვიცი. როცა პიესებს უყურებ, ჟრუანტელმა ხშირ-ხშირად უნდა დაგიაროს ტანში. სულ იმის შიშში უნდა იყვე, რომ აგერ ახლა მოხდება დიდი უბედურება.. გითამაშნიათ სცენაზე?

— ალბად ძალიან ძნელია,—პასუხის მაგიერ სთქვა მაგდამ.

— ძნელი არაფერია, თუ ნიჭი ხელს გიწყობს. ბევრჯერ დიდი შთაბეჭდილება მომიხდენია. განსაკუთრებით ისტორიულ პიესებში. როლს უნდა ჩაწვდე, ისე არაფერი გამოვა. მეც სწორედ ასეთი ვარ. ბევრი ვინმე ჩამოსულა ამ ჩვენს პატარა ქალაქში სათამაშოთ. აფიშებიც ისეთი გაუკრავთ, რომ წვიმიან ღამეშიაც მოდიოდა ხალხი. ბევრი გამოჩენილი არტისტი ჩამოსულა, მაგრამ... თავის ქებათ ნუ ჩამომართმევთ და.. როცა იმათ შემდეგ იგივე როლი მითამაშნია, მეტი თუ არა, ნაკლები შთაბეჭდილება არასოდეს მომიხდენია..

ჟანი რამდენიმე წუთით შეჩერდა. მთვარეს ახედა, გარშემო მიიხედა.

— ყოველთვის შემიძლია რომელიმე დიდ სცენაზე გადავიდე, მაგრამ აქაურობის მოშორება მეძნელება. შეჩვეული ვარ.. ერთხელ, მახსოვს, ქალაქიდან ცნობილი არტისტები ჩამოვიდენ. ერთ საღამოს მეც ვეხმარებოდი და,—თუ ჩემსას არ დაიჯერებთ, შეგიძლიათ კითხოთ ვინმეს აქაურს, ყველაზე უფრო ხალხი ტაშს მე მიკრავდა. ერთხელ კი იმის მოწამეც გავხდი, რომ ქალაქიდან ჩამოსულმა ვასტროლიორმა თავისი ფულით იყიდა თაიგული და ხალხის დასანახავათ სცენაზე მოატანინა დარაჯს. ამას მაინც არ ვიზამ, რომ ვკვდებოდე. რა ოხრად მინდა ყვავილები.. აი, მესმის, წარმოდგენის შემდეგ რომ ვახშმად დაგპატიჟებენ.. ყვავილი მხოლოდ ლექსის მასალაა, სხვა რამეში არაფერი მოსახმარისია. კიდევ არა უშავს რა წითელ ვარდს. მიართმევ, მაგალითად, საყვარელ არსებას და აგრძნობინებ, რომ გული გაქვს დამწვარი..

— განა წითელ ვარდს ასეთი მნიშვნელობა აქვს? გაკვირვებით იკითხა მაგდამ.

—წითელ ვარდს თავისი მნიშვნელობა აქვს, ჩაის ვარდს კიდევ თავისი. როგორ გეტყობათ გამოუცდელობა! აი, მაგალითად, თქვენ გიყვართ ვინმე და გრძნობას ვერ უმხელთ. მაშინ უნდა გაბედოთ და მიართვათ წითელი ვარდი. თუ ვარდი მიიღო, ღიმილით გულზე დაიბნია ისე, რომ კუკურს ზევით უჭნა პირი, იმ შემთხვევაში თქვენი მიზანი მიღწეულია და მასაც უყვარხართ. მაგრამ თუ თავ-უკუღმა დაჰკიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი გული სხვას ეკუთვნის.. ჩაის ვარდს კი სხვა მნიშვნელობა აქვს. როცა მას მიართმევთ, ამით ანიშნებთ, რომ თქვენი გული გაცივებულია..

— რა სამწუხარო ბედი სწვევია ამ ვარდს!

— ფერიც ისეთი აქვს. მომაკვდავს გავს..

— ჟან, შენ რომელ ვარდს მიართმევდი მაგდას? წითელს და ყვითელს? უეცრად გაისმა ხმა მაროსი, რომელმაც ამდენხანს გასძლო დაულაპარაკებლად.

ღენტორის ოთახში ბნელოდა. ვინმე რომ მდგარიყო ფანჯრის წინ, ღონიერ ხვრინს გაიგონებდა. ღენტორის ძილს ამტკიცებდა ისიც, რომ ამდენხანს არ გადმოუხედავს ფანჯრიდან.

მარო, რომელიც ქუჩის მეორე მხრიდან ღენტორის ფანჯრის პირდაპირ იდგა, ველარ ითმენდა. უნდოდა კიდევ ვინმე ყოლოდა მოწმეთ, რომ ღამით, როცა ქმარი შინ არ იყო, მაგდა ჟანს ესაუბრებოდა მთვარეზე და ყვავილებზე.

მარომ ველარ მოითმინა და დაიძახა:

—ღენტორ!

—ღენტორ!

ცოტა ხანს დაიცადა. როცა არავინ უპასუხა, თითქმის დაიყვირა:

— ღენტორ! ღენტორ!

უეცრად ფანჯრიდან გადმოიხედა კაცმა თეთრეულში.

— რომელი ხარ?

— მარო ვარ.. გეძინა?

— ახალი დაწოლილი ვიყავი!--ნამძინარებმაც მოახერხა ტყუილი.

— გამოიფშვნიტე თვალები... რა დროს ძილია!

ღენტორმა მადიანათ დაამთქნარა და ხელები გაშალა

— დავიღალე.. რაც მე დღეს ვირბინე! ხომ იცი, ყველაფერი ჩემს კისერზეა..

ღენტორმა უეცრად შესწყვიტა წინადადება, როცა ღობესთან მდგარი წყვილი დაინახა.

— ბიჭოს, რა სასიამოვნო საზოგადოება შეგროვილა! უკაცრავად, ცოტა შილიფათ ვარ, ვერ გამოვჩდები. ერთი წუთით ბოდიში მომიხდია.

ღენტორი სწრაფად მოცილდა ფანჯარას და მალე ჩაცმული გამოჩდა.

— საღამო მშვიდობისა, ბატონებო! რა სასიამოვნო ღამე ყოფილა.. ჭეშმარიტათ, იშვიათი ღამეა. ცოდვაც ყოფილა ახლა ძილი!

— ზოგიერთისთვის მთვარე უძილობის მიზეზი გახდა!--ვერ მოითმინა და ისევ გესლი გადმოანთხია მარომ.

ჟანმა, რომელიც ერთხანს გაჩუმებული იყო და ჯოხით ქვებს ეთამაშებოდა, ჩაიცინა და ფანჯრისკენ მიიხედა:

— შენ რატომ არ გძინავს, ქალბატონო?

— მცხავს! გაბრაზებით უპასუხა მარომ.

— ჰაერი ცოტათი შეხუთულია,—თითქო მაროს სიტყვის დასადასტურებლად სთქვა ღენტორმა.— ნიავი რომ დაუქრინებდეს, ნამდვილი სამოთხე იქნება. სიყვარული იღვიძებს , ბატონო ჩემო, გულში.. მოუსვენარი სიყვარული! ხაჰ... დაამთქნარა ღენტორმა.

როცა არავინ გამოეხმაურა და სიჩუმე ჩამოვარდა, ისევ ღენტორი ალაპარაკდა.

— სადილათ ბიქტორასთან ვიყავით...

— რომელ ბიქტორასთან? გამოცოცხლდა ჟანი.

— ბითურასთან.. იცოცხლე, მასპინძელი ის იყო.. რა არ ჰქონდა, რა არ ჰქონდა! მაგრამ ვის სცალოდა ჭამისთვის! უჩემოთ სიმღერა არ ვარგოდა, მქონდა პირი შაშვივით დაღებული და ვართობდი საზოგადოებას. თითონ ბიქტორმა კი, როცა გამოსისტიკინდა, წამოიყრანტალა: აბა, წამოვიდა ბიჭებო ლხინიო.. მისთვის იცოცხლე წამოვიდა, მაგრამ მე შეტი ჯაფა დამაწვა. რას იზამ, როცა კაცს მომლხენის სახელი გაგივარდება, ბოლომდი უნდა ათრიო

ულელი. თუ ერთხელვე მოიწყინე და ცხვირი ჩამოუშვი, გეშინოდეს, რომ მეორედ აღარ დაგიძახებენ. ამის შიში მაქვს, თორემ ხანდახან სულ არ მინდა თავი შევიწუხო. უყურებ ამ ხალხს, მათი სახეც მობეზრებული გაქვს, იმანჭებიან დრუნჩ-ჩამოშვებული დედაკაცები და "ენ კი, გინდა თუ არა, უნდა ალხინო. აი თქვენისთანა რომ ვინმე ბრძანდებოდეს იქ, ქალბატონო მაგდა, თავს გავწირავ და ისეთ აფრთოვანებაში მოვალ, რომ საუკუნოთ დაამახსოვრდეს ყველას ჩემთან გატარებული დრო.

—შენ როგორ მოგწონს, ჟან, ღენტორის ასეთი გულახდილობა? დამშვიდებული ხარ, თუ..

— დუელი კანონით აკრძალულია, თორემ..

ჟანს უნდოდა ისე ეპასუხა, რომ სიცილი გამოეწვია. არავის გასცინებია. ღენტორმა გიტარა გამოიტანა ოთახიდან, ფანჯარაზე გადმოჯდა, ტიტველი ფეხები გადმოაწყო და ნელი ხმით დაამღერა.

— ეეხ! ხანდახან ამოიოხებდა ღენტორი.

ჟანმა ისევ ააბოლა. მარომ რამოდენიმეჯერ ყველას გასაგონათ დაამთქნარა.

— ახლა მეც ვგრძნობ, რომ სამუდამოთ აქ გაჩერება ჩაკლავს ჩემს ნიჭს.—დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ დაიწყო ჟანმა.—უნდა წავიდე სხვაგან. გავყიდი სახლს, ვენახს, ერთ წარმოდგენას გავმართავ და წავალ შორეულ ქვეყნებში.. კარგია როცა მოგზაურობ.. სხვანაირ ხასიათზე დგები ყოველთვის..

ჟანი ელოდა პასუხს. მაგდა კი, სჩანდა, ოცნებობდა და თითქო თავის თავს ეუბნებოდა:

— ხანდახან ქალაქის გარედ მივდივარ. გავიარ დიდ მანძილს. მივდივარ შორს, სანამ ქალაქი სულ არ დაიმალება. ჩემს გარშემო უცნობი ადგილია. წუთით დავხუჭავ თვალებს და წარმოვიდგენ: როცა გავახელ, სულ სხვანაირი იქნება ქვეყანა. ვივლი კიდევ დიდხანს, სანამ სიშორე არ შემაშინებს. შემდეგ კი კმაყოფილი ვბრუნდები..

— ეგ თავის მოტყუება არის,—ცოტა ხნის შემდეგ სთქვა ჟანმა.—არ მომწონს ფანტაზიები.!

სიჩუმეში უფრო მკაფიოთ გაისმა გიტარის ხმები. მაროს ფანჯარაზე დაეგდო თავი და ყვინთავდა. მთვარე იყო მაღალი. შორიდან ბაყაყების ყიყინი ისმოდა.

სერგო კლდიაშვილი.

ლაფშა

მაშინ რკინიგზა ახალი გაყვანილი იყო.

ფოთში გავარდა ხმა, რომ რუსეთიდან ჩამოვიდა დიდი მოხელე, თვალებზე ლორნეტით, გულზე დიდი ვარსკვლავივით, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მას თან ჩამოჰყვა მელანივით შავი, გასაქსაქებული ლაფშა.

ძარღვები ასკდებოდა, ურწყვი შავი კანი სთრთოდა, იყო ქალივით ნებიერი, მოხდენილი და, როცა იცჭირებოდა: იყო ხვთიშობლივით გონიერი. და ვნებიანი.

ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, ლაგამს ღეჭდა, ბარკლებში ქაფი აუდუღდებოდა და ტორს მიწაზე სცემდა.

დღე იყო დახუთული.

მზე მუცელივით იდგა ცაში, ჰაერი არ მოძრაობდა და სულშეხუთულ ფოთელებმა არ იცოდენ როგორ დაეხსნათ თავი სიცხისაგან.

პალიასტომიდან მოვარდნილი ხაშმი და კოლოების ზუზუნი სულს აწუხებდა.

მთელი დღე ბოლაზში იყო გემების ქშინვა, სტვირთავდენ ბაიდებს და ვაჭარი ურიების რჯულის ფიცი იქაურობას აყრუებდა.

თენგიზ პირტახია: მაღალი ვაჟკაცი, მიმინოსავით მოღუნული ცხვირი, თავ-აღებული; შავგვრემანი, უწვერო ახალგაზრდა, მთელი დღეები იჯდა ფაშუტია ფიფიას რესტორანში და ნარდს თამაშობდა.

—დუ შაში, კამათელი!...

— დავბა, სე!..

— ბეშ დორთ!..—იძახდა იგი მთელი დღე და კაცმა არ იცოდა რით იორჩენდა თავს, ან რით ცხოვრობდა. მუშაობა არ უყვარდა, სახლიდან არაფერი მოსდიოდა, მამული მას არ ჰქონდა და სახლ-კარი.

მთელი დღე იჯდა რესტორანში და ათვალიერებდა გამვლელებს.

ჩაიგდებდა ხელში ვინმე გამოუცდელს, ეფარისევლებოდა და უგებდა ყოველ ხელს, მოწინააღმდეგის წასახალისებლად ხანდახან განგებ წააგებდა, მერე რამდენიმე კონს ისევ მოიგებდა და, როცა ჯიბეშეთხელებულ მოთამაშეს გული გაუტყდებოდა, თენგიზი არწმუნებდა, რომ ის მასზე გაცილებით უკეთ თამაშობს, რომ მხოლოდ უბრალო შემთხვევით უგებს და ურჩევდა კიდევ ეცადა ბედი.

—ძალიან თამაში გცოდნია, წიე!.. მარა, რაცხა ხელს არ გაძლევს!.. მოი, ერთი ტალია კიდო გავაგოროთ!.. ასე იცის აი ნავარი კამათელმა კაცის გაწირვა!.. ოუ, ჯიმა ღურელი, რავა გეკადრება მაი!.. ხო!.. ხო!.. ხო!.. ძალიანია მაგი!.. შაში ბეშ, კამათელი!..—იძახდა იგი, მხარში ხელს ურტყამდა, ძალივით თვალებში ექიცინებოდა, იცინოდა, ოხუნჯობდა და, როცა მოწინააღმდეგე ადგებოდა გამობერტყილ ჯიბით, თენგიზი წელში გაიმართებოდა, მიმინოსავით წკვარამად მიიხედ-მოიხედავდა, ხელს ცივად ჩამოართმევდა და ახლა სხვას უცდიდა.

ასე ატარებდა იგი დღეს. ღამით, როცა ფოთი მიიძინებდა და ძაღლებს ამაო ყეფა მოსწყინდებოდათ, თენგიზი ყულევის მხარიდან ზღვის ნაპირს მოადგებოდა ლაზებთან ერთად და მთელი ღამე ეზიდებოდა ფაშუტია ფიფიას დუქანში კონტრაბანდას, ან-და სამურზაყანოდან ან აფხაზეთიდან გამოტაცებულ დაღშეცვლილ ცხენებს მიაჭროლებდა ბანძაში, ან ხონში სახვადგზე გასაყიდად.

ეცვა მუდამ სუფთად, დადიოდა დიდკაცების ოჯახებში და ყველგან პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული.

ფოთის ქალიშვილების გული დაატყვევა თენგიზმა, მაგრამ თენგიზის გული მეკუბოვე ჯანჯღავას ქალიშვილ პასიკოს ტყვე იყო.

თენგიზი შეყვარებული იყო მეკუბოვე ჯანჯღავას ქალიშვილ პასიკოში. პასიკო იყო ფოთის თვალი, პასიკოზე აუარებელ ლექსებს მღეროდენ ფოთელი ყმაწვილები, მაგრამ მისი გული მხოლოდ თენგიზისათვის სძგერდა.

პასიკო დედით ობოლი იყო, ცხოვრობდა ღარიბად. მამას სადილ-ვახშამს უკეთებდა, უკერავდა, ტრეცხდა და უხაროდა, რომ ახალგაზრდა იყო, რომ ფოთის უკეთესი ყმაწვილი იყო მისი მიჯნური და კუბოები მისი სახლიდან მხოლოდ ცარიელი გაჰქონდათ.

სახლში ერთი ლოგინი ედგათ. ლოგინში პასიკო იწვა და მამამისს კუბოში ეძინა: ქედლის ტილები არ აწუხებდა და ნედლი ფიცრის სუნი საამო სიზმრებს იწვევდა.

პირველ მაისობაზე პასიკო და თენგიზი ირჩეოდენ ყველგან.

ლელო თენგიზის იყო, ცეკვაში ბადალი არ ჰყავდა და პასიკო კისკისებდა უდარდელად და მისი კისკისი ისმოდა ვერცხლის ეჟვნების წკარუნივით.

შუა დღე იყო, როცა თენგიზი და ფაშუტია რესტორანის წინ ისხდენ და ღვინოს შეექცეოდენ. თენ-

გიზი დათვრა და ფაშუტიას რაღაცას გადაკრულად ელაპარაკებოდა რომ ვინმეს არ გაეგო.

უეცრად, როცა ისინი ასე ლაპარაკში იყვნენ გართულნი, შესახვევიდან მოისმა ცხენის ფეხის ზარივით ხმა.

თენგიზ გარინდდა, გულმა უცნაური თრთოლვა დაუწყო, ფეხის ხმაზე იგრძნო, რომ ეს იყო ის: ლაფშა, ლაფშა ისეთი, როგორიც მას სიზმარშიაც არ მოლანდებია და, როცა ის ასე იყო მოლოდინად გადაქცეული, მოსახვევში გამოჩნდა მელანივით შავი, ტოროაქნეული, წმინდა გიორგის რაშივით კისერ მოღერებული ლაფშა, მეეტლე სადავეს ვერ უჭერდა, ცხენი ღეჭდა ლაგამს და გაბზიალებულ ტანზე ოფლი ხვითქად ჩამოსდიოდა.

— ვა-ვა, ჩქიმ ცოდვა!..—დაიკვნესა თენგიზმა, თვალთ დაუბნელდა და მოწყვეტილი თავი სუფრაზე დაუვარდა. როცა გამოერკვა, იგრძნო: შარვალი დაესველებინა, ჯერ შეაცივა, მერე სიცხე მისცა და ბოდავდა ლაფშას, ეალერსებოდა უცნაური სასიყვარულო სახელებით და ფაშუტია ფიფიამ არ იცოდა რით ეშველა მეგობრისათვის.

ერთი კვირა იწვა ის ავადმყოფი.

ჩუმად მოდიოდა პასიკო მის სანახავად, ეჭვიანობდა, სტიროდა, რომ იმ მგელშესაჭმელმა ლაფშამ ასე დაჰკოდა თენგიზის გული და სამუდამოდ გააცივა მისთვის.

—ფაშუ, ჩქიმი ჯიმა, ჩქიმი ბაბა, მიშველე რაცხა, შენ შემოგევლე, თვარა გადევირიე კაციშვილი და აგია!.. მომკალი, ფაშუ, ყელი გამომჭერი, რათ ღირს ჩემი სიცოცხლე, თუ იგი ლაფშა ჩემი არ იქნა!.. დანა გამომისვი ყელში, ფაშუ, და ძაღლებს აჭამე ჩემი ხორცი!..—ევედრებოდა თენგიზ ფაშუტიას, პასიკო სტიროდა და ფაშუტიამ არ იცოდა რით ეშველა გაჭირვებულ ძმა-კაცისათვის.

—მევიპარავ და აბრაგად გავარდები. ცა განიერია და ტყე დიდი!..—დაიძახა თენგიზმა, თვალაგზნებული ლოგინში წამოიჭრა და ნიფხავ-პერანგის ამარა იდგა ლოგინზე შუბლზე ხელაფარებული და კედელზე მიყრდნობილი სტიროდა გალახულ ბავშივით, ზლუქუნობდა უშნოდ, ვაჟკაცურად.

როცა დამშვიდდა, პასიკო წავიდა სახლში გულდათუთქული, რომ მას უღალატა სატრფომ, რომ ის ცხენში იქნა გაცვლილი, სიმწარით მკერდზე ელეღი შემოიხია და ატირებული მოსთქვამდა თავის დაბადების დღეს და თავ-ბედს იწყევლიდა. ჰკრულავდა ლაფშა ცხენს, მის ჩამომყვანსა და მის გამომცემელს.

იმ დღესვე მოილაპარაკეს ფაშუტიამ და თენგიზმა. გადაწყდა: ლაფშა უნდა მოეპარათ და გალში გაეტაცებინათ, მაგრამ, როცა ფაშუტია მუშტართან გავიდა,—გაიგო, რომ დიდი მოხელე იმავე საღამოს კალიასკიანად ტფილისში მიემგზავრებოდა.

ფოთი ბორგავდა, ფოთს წმინდანის ნიმბივით დაადგა ლაფშას ჭიხვინი და მეგრელები სისხლს გადიოდენ შარდად, ცხენი ანთებდა მათ თვალებს, აჩქროლებდა მათ გულს და ეს მოწმენდილი ზეცაც ლურჯა ცხენივით ადგა ფოთს, ზღვაც ლაფშასავით ფშვინავდა.

საღამოზე თენგიზ და ფაშუ სადგურზე იყვნენ.

აუარებელი ხალხი მოგროვილიყო საცქერლად, როგორ შეიყვანდენ ცხენს ვაგონში.

—სასტაული!. სასტაული!..

—რა ნახა აგი ჩემი თვალებმა!..

—ნანა!.. ნანა!..—ჩურჩულობდა თენგიზ კედელზე მიყრდნობილი და ფაშუ ამშვიდებდა მას, ნუგეშს სცემდა.

— რაია, შე კაცო, რა დეგემართა!.. ქვესკნელში ხომ არ წეიყვანს აი კაცი მაგ ლაფშას და რა დაგემართა!..—საყვედურობდა ფაშუ თენგიზს.

როცა მესამე ზარი დაჰკრეს და მატარებელი დაიძრა, თენგიზ მოახტა მეორე კლასის ვაგონს და ფოთი წავიდა უკან.

მატარებელი ქლოშინობდა, ოხრავდა, ბოლსა და ორთქლს ჰყრიდა მატყლივით და ჭალადიდის ჭაობებში დამფრთხალი ყანჩა ავარდა ფარფატით და ფეხებგამართული გაფრინდა ყიყინით პალიასტომისაკენ.

თენგიზ იჯდა ვაგონში, ყოველ სადგურზე ხტებოდა და ათვალიერებდა, არ მოესწრო ვინმეს და არ მოეპარა, ან რომელიმე სადგურზე არ ჩამოეყვანათ და ეალერსებოდა შორიდან.

ტფილისში რომ ჩავიდა, თენგიზ პირტახია ისევ უცქეროდა როგორ გადმოიყვანეს ცხენი ვაგონიდან, როგორ შეაბეს კალიასკაში და, როცა ქუჩერმა დაიძახა:

— ხაბარდაა!..—ცხენი გაფრინდა ანგელოზივით ყელმოღერებული და თენგიზი ჰგრძნობდა, როგორ რეკდა ლაფშა ტორებით მის გულში და როგორ წავიდა სისხლში ვნება ვერცხლის ეჟვნებივით წკრიალით.

თენგიზს თვალთ დაუბნელდა, მოსხლტა ადგილს და კალიასკას გამოენთო. სდია, ბევრი სდია, მაგრამ ვერ დაეწია, ლაფშა გაჰქრა, გამოერკვა და მხოლოდ მაშინ დაინახა დუქნის კარებში გადმომდგარი კინტოები რომ ეძახდენ:

—იმერელო, უუ!..

—ხოხონიკა, უუ!..

—იმერელო ფხიკინა!..—თენგიზმა თვალები მიმინოსავით დააბრიალა, ხანჯალზე ხელი მოისვა და კინტოები გაჩუმდენ, შეატყვეს: ხუმრობა ძვირად დაუჯდებოდათ.

— თავს შემოგევლები, ლოგინში დაგაწვენ და ისე გაცხოვრეფ!..—ჩურჩულობდა თენგიზ შეყვარებულივით, ეძებდა ლაფშას, თვალებს აცეცებდა.

დიდხანს იწანწალა თენგიზ პარტახიამ ტფილისში, მაგრამ ლაფშა ვერსად ნახა, ფული შემოეხარჯა, ცხოვრება გაჭირდა. მაშინ მან ვიღაც ზარაფ თათუზოვის ქალი შეიყვარა, ითხოვა და თვითონაც ზარაფობა დაიწყო.

იჯდა ის ხარფუხის ერთ ქუჩაზე აშპაშხანასთან, ფულებს ახურდავებდა და ელოდა ლაფშას, მაგრამ ლაფშა არსად სჩანდა. ვერ ნახა მან მისი გულის მომკვლელი და დარდით მთლად ჩამოხმა, დასჭკნა, ღამეები არ ეძინა, ბოდავდა მეგრულად ცოლისათვის რაღაც გაუგებარს და ცოლმა არ იცოდა რა ექნა. რა სჭირდა მის ქმარს, გულზე ავგაროზი დაჰკიდა, დადიოდა ავლაბრელ ოსანა მკითხავთან, ასმევდა შინაურ წამლებს, სასთუნალ ქვეშ ჩუმად თილისმას უდებდა, ჯოჯოხეთი დღეს ჯოჯოებს შაქარი გაუგზავნა, მაგრამ არაფერი ეშველა.

—ქა, რა უნდა სჭირდეს ამ ჩვენ თენგიზასა!..—ჰკვიროდა სიდედრი და ტუჩებზე თითებს იფარებდა.

—ვაჰ, ხომ გეუბნებოდით, იმერელი კაცი ჩვენი საქმე არ არის მეთქი!.. ახარ, მოდი და დედაკაცს დაუჯერე!.. ერთი ჩიხოტკიანი ვინმე გიჟ ვრაცუაა და ვა!..—იძახდა თენგიზის სიმამრი მელქო თათუზოვი.

ცოლი იჯდა თავის ოთახში და სტიროდა.

ერთ დღეს, როცა თენგიზი ზარაფის მაგიდას უჯდა, მას ცხენის ფეხის ხმა მოესმა.

გაშეშდა, სახეზე მიწის ფერი გადაჰკრა. გულმა ცემას უმატა და ყელში ჰფეთქდა.

მან იგრძნო, ფეხის ხმაზე იცნო: ეს ის იყო, მელანივით შავი, ყურ აცქვეტილი, პატარა თავით დამშვენებული, მკერდგანიერი წმინდა გიორგის ლაფშა ცხენი.

—ჩქიმ ცოდვა!.. ჩქიმ ცოდვა...—დაიკვნესა მან, როცა დაინახა აღერებული შავი ცხენი ქუჩის მოსახვევში. მოდიოდა ის ფრუტუნით, აქნეული, გათქვირული, ლაშზე დუჟი გადმოსდიოდა და სისხლმორეული გახურებულ ფლოქებს, სადაფის ფლოქებს მიწაზე სცემდა.

—ჩემი ხარ, ჩემი!.. რათ ღირს უშენოდ ჩემი სიცოცხლე!..—დაიკვნესა თენგიზმა, მაგიდას წიხლი ჰკრა და ფულები წკრიალით გაგორდა მიწაზე.

ქუჩერი ახალი იყო, ცხენი ისევ ის, მზეთუნახავი, ჭკუაამრევი და თენგიზი მისდევდა კალიასკას და ყურებში რეკდა ალერსიანად ცხენის ფეხის ხმა. სდია თენგიზმა კალიასკას, სდია და ნახა, რომ ეტლი მიადგა ერთ ალაყაფს, კარი გაიღო და ქუჩერმა ცხენი ეზოში შეიყვანა.

მიაკვდა ღობეს და უცქეროდა დიდხანს, როგორ დააბინავა ქუჩერმა ცხენი, მერე იქვე ქვაზე ჩამოჯდა და იყო ასე კარგა ხანს.

კარი გაიღო და ქუჩერი გამოვიდა.

თენგიზი მიუახლოვდა, სალამი მისცა და ჰკითხა:

—ვისია, ჩემი ბატონი, ავი სახლი?..

—რა შენი საქმეა, ერთი კაცის არის!..—შეუტია ქუჩერმა ავლაბრულად.

—არა... მე ისე ვიკითხე... ძალიან მომეწონა...

ქუჩერმა ახედა თენგიზს, ეტყობოდა, მოეწონა.

ჯერ ბაასი ვერ ხერხდებოდა, მაგრამ, როცა ქუჩერმა გაიგო, რომ ის ზარაფი იყო და ჯიბეში ოქროს ფულის ჩხრიალი გაიგონა, მთლად მოლბა, მან თავისი სახელიც კი უთხრა: ზიპოს ეძახდენ.

თენგიზმა ზიპო სალამოსთვის ტრახტირში დაჰპატიჟა და გამოეთხოვა.

სახლში სადილად არ წასულა, პირდაპირ ბაზაზხანაში გაიქცა, იყიდა ნოხი, ნაბადი და კანაფი. ნოხი და ნაბადი გრძლად დასჭრა, მერე ნაბდის ოთხი ნაჭერი ბალიშებივით სქლად შეჰკერა და როცა საქმეს მორჩა, ზიპოსთან წავიდა.

დიდხანს სვამდენ ისინი. ზიპო დათვრა. ფეხზე დგომა არ შეეძლო.

თენგიზი ღვინოს ჩუმად სუფრას ქვეშ ჰღვრიდა, არ სვამდა, ეშინოდა არ დამთვრალიყო.

ზიპო აყბედდა, ლაპარაკობდა ამ მთისას, იმ მთისას, ეფიცებოდა ძმობას, ერთგულებას. თენგიზ ყურს არ უგდებდა და, როცა ზიპო გაჩუმდა, სიტყვა ფრთხილად შეაპარა, რომ ახლა გვიანაა, ღამეა. სახლი დაკეტილი იქნება და არ იცის სად წავიდეს.

—ვაჰ, მაშ ზიპო მოგიკვდეს, თუ ამაღამ ჩემთან არ წაგიყვანო და ერეკლე მეფესავით არ დაგაძინო!.. ჩემთან წამო, თენგიზჯან, ჩემთან, შენი სულის ჭირიმე!..

თენგიზ ცოტა გაპატიჟდა, მერე დასთანხმდა.

როცა ისინი გარეთ გამოდიოდენ, ზიპომ შეამჩნია, რომ თენგიზს ხელში რაღაც ბოხჩა ეჭირა.

—ვაჰ, ეგ რა არი, კაცო?..—შეეკითხა ზიპო და თვალები სიმთვრალისაგან ებრიცებოდა.

თენგიზი მოუყვა, რომ მას საცოლო ჰყავს, მისთვის საჩუქრები იყიდა და წაღება ვერ მოასწრო.

—მოიტა, რაღა, მე წავიღო!..—წაეტანა ზიპო ბოლჩას, დაბარბაცდა და კინაღამ ცხვირით მიწას დაასკდა.

გზაში თენგიზმა ზიპოს ერთი თუმანი ასესხა და ზიპო მთლად დადნა, მიენდო მას. იმ ღამეს ორივეს ერთად ეძინათ თავლაში. ალაყაფის გასაღები იქვე ეკიდა. თენგიზს თავი არ წაუდვია, ფხიზლობდა და ყურს უგდებდა როგორ ახრამუნებდა ლაფშა ქერს და როგორ სცემდა ტორს მიწაზე.

ღამე იყო მთვარიანი, ნათელი. იქვე თავლის უკან მტკვარი შხუოდა, შუაღამეს გადასული იყო, როცა ის წამოდგა, ბოხჩა გახსნა და ცხენს მიუახლოვდა. ლაფშამ იგრძნო შეყვარებული ადამიანი. ჟინატეხილი ქალივით ალერსიანად ახვიხვინდა და ჩარბებით მკლავში წაეტანა. ღამის სანათი ოდნავ ბჟუტავდა, ზიპოს მკვდარივით ეძინა და ხროტინობდა.

თენგიზმა ცხენს ფეხები ნაბდით აუკრა. მერე გრძელი ნაჭრები კალიასკის ბორბლებს შემოაკრა, კარი ფრთხილად გააღო და კალიასკა ეზოში გამოაგორა.

უეცრად რაღაც ყაყანი მოესმა, თენგიზი კალიასკას მიეტმასნა და ყური მიუგდო, მტკვარზე ნავტიკი მოდიოდა და მოქეიფენი ყაყანობდენ.

თავლაში შევიდა, ზიპოს ეძინა. ჩამი არ ისმოდა,

ღამე იყო მაღალი და დღესავით ნათელი. სადღაც მამალი ყიოდა.

ცხენი გამოიყვანა და კალიასკაში შეაბა.

როცა ალაყაფს გამოსცდა, პირჯვარი გადიწერა და გაფრინდა.

ჯერ კიდევ ღამე იყო, დიღმის მინდორი რომ მოილია, მერე ცხენი გამოხსნა, კალიასკა მტკვარში ჩააგორა და კარგა ხანს უცქეროდა როგორ გაადინა დგაფუნი ეკიპაჟმა წყალში და როგორ წაიღო მტკვარმა ტივივით ტფილისისაკენ.

მერე უბელო ლაფშა ცხენს მოახტა:—

—ჰაიტ მარჯა-აჰ!..—დასჭყივლა და გაფრინდა კორტოხისაკენ.

კავთიხევში ფული შემოაკლდა, გაჰყიდა ცხენი, მაგრამ იმავე ღამეს ისევ მოიპარა და გაქანდა სამშობლოში, იქ მას ფაშუტია და პასიკო ელოდენ, ჩავიდოდა ის ბედნიერი და ამაყი ვაჟკაცობით, მაგრამ კორტოხზე მატარებელი დაეწია, დააპატიმრეს და, როცა ნახა, რომ მისი საშველი არ იყო, ლაფშას თავს შემოევლო, თვალებს ქალივით უკოცნიდა, სტიროდა და მოსთქვამდა:

—რათ ღირს აწი ჩემი სიცოცხლე!... რათ ღირს აწი ჩემი ვაჟკაცობა!... ვა-ვა, ჩქიმ ცოდვა, რა ვქნა მე ახლა, რა მეშველება მე უბედურიშვილს და საცოდავს უშენოდ. დღეი არ მომისვენია და ღამე არ მიძინია შენი ჯავრით!.. რა ვქნა მე ახლა უშენოდ, რა!..—სჩიოდა იგი. ეალერსებოდა ლაფშას, თავს ევლებოდა და უკოცნიდა ცხენს თვალებს, კისერს, ეხუტებოდა.

მან დაჰკარგა იმედი მისი უკანვე დაბრუნების. შერცხვა მისი ვაჟკაცობა, ვერ აიტანა და მაშინ, როცა ის მიწაზე ნაცემ ძაღლივით ფორთხავდა და ზიპო აგინებდა დედას, ცოლ-შვილს და ჯიგარს. თენგიზმა ხანჯალი იშიშვლა და სანამ ხელში ეცემოდენ, ყელში გაჰკოსვა და ახროტინებული წაწვა მიწაზე.

ბალახი სისხლით შეიღება და მისი სისხლით შეღებილ ბალახს სძოვდა შავი, ახალგაზრდა ქვრივი ქალივით მოხდენილი ლაფშა, ფრუტუნებდა და ცისფერი, ადამიანურ ლამაზ თვალებით უცქეროდა მომაკვდავ თენგიზ პირტახიას.

დემნა შენგელაია.

ბიბლიოგრაფია

სანდრო შანშიაშვილი

სანდრო შანშიაშვილმა პირველმა გახსნა ჩვენი საუკუნე ლექსებით. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულის პოეტები, ვაჟა ფშაველას გამოკლებით, ამ დროსთვის გათავებული იყვნენ კიდეც.

უფრო გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს პირდაპირი მომყოლი თაობა არ ჰყოლიათ პოეზიაში და ალბათ ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ისინი შეურყეველ კოლოსივით იდგნენ ნახევარი საუკუნე და არავის არ დაურღვევია მათი ოლიმპიური მყუდროება.

არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში არ ყოფილიყოს ლიტერატურულ ბრძოლის ტრადიციები. თვითონ ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთლმა ბრძოლით ჩაიგდეს ხელში მწერლობის სადავე, მაგრამ როგოც ყოველთვის, ლიტერატურულ შკოლთა ბრძოლის ისტორია ნიჭის საზომით იხსნება და სწორეთ აქ უკანასკნელ დაბერებამდე მათ არ ჰყოლიათ მოქიშპე.—საქართველო არ ყოფილა მაშინ პატრიარქალური ისე, როგორც წინათ, როცა ლექსების მაგიერ მოკითხვის ბარათები იწერებოდა („ცისკრის“ პერიოდი,) მაგრამ მესამოცე წლების თაობამ ბრძოლა პოეზიისთვის არ მისცა, აქ უკვე მომწიფებული იყო სხვა საზოგადოებრივი საფუძვლები, ილია ჭავჭავაძე კიდეც დაეცა ამ ბრძოლაში. როგორც ვიცით, მწერლობისთვის ბრძოლა წიწამურით არ თავდება. ამ მომყოლ თაობას მაინც და მაინც არ აინტერესებდა პოეზიის საკითხები, ის უკვე უფრო პოზიტიურ იდეებით იყო დატვირთული: აძიტომ არის, რომ ამ თაობას ასეთი დიდი პოლიტიკური ისტორია აქვს და აქამდე ერთი დიდი პოეტი ვერ შეუქმნია.

მაგრამ მოხდა ისე, რომ ბუნებრივათ გამოვიდა ახალი შკოლა, რომელსაც არ ჰქონია თავისი მანიფესტი და იდეოლოგია, მაგრამ რომელსაც აქვს ყველა ნიშნები ლიტერატურულ შკოლისა: ეს შკოლა, მართალი რომ ითქვას, როგორც იტყოდა პ. ჩაადაევი რუსეთის ისტორიაზე, უფრო ბუნებისმეტყველების კატეგორიისაა, ვინემ ისტორიულის ან პოლიტიკურისა,—ეს შკოლა არის „მთების შკოლა“—რაფიელ ერისთავის, სანდრო ყაზბეგისა, ვაჟა ფშაველასი (და ყველა რაზიკაშვილების), ნაწილობრივ შიო არაგვისპირელისაც. უმთავრესი, რაც ახასიათებს ამ მწერლებს, ეს არის ხალხის მითოლოგია და რაინდული რომანტიზმი; ამათ ბევრი შექმნეს ისეთი შედევრები, რომელთაც ჩვენი მწერლობის ისტორია ვერას დროს ვერ დაივიწყებს, მაგრამ პირდაპირი ხაზი ლიტერატურულ შკოლათა ცვლის მაინც გატეხილი იყო. ამ დროს გამოდის მწერლობაში სანდრო შანშიაშვილი.

სანდრო შანშიაშვილი თანაბრად ენათესავება როგორც ქართულ პოეზიის პირველ მემკვიდრეობას, ისე მეორესაც, მასში ორივე რკალია—ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა ფშაველასიც,—მაგრამ ამ დროს უსწრობს კიდევ ახალი ლიტერატურული შკოლა, რომელმაც მოიარა ევროპაც და რუსეთიც, და რომელსაც აქამდე სხვადასხვა განმარტებით ეძახიან სიმვოლიზმს.

ამ სამ გზა-ჯვარედინში დადგა სანდრო შანშიაშვილი. ჩვენი შინ გაზრდილი კრიტიკოსები, რომელნიც უთუოდ სხვისი ტრაფარეტით უნდა სარგებლობდენ, სცდილობდნენ სანდრო შანშიაშვილისთვის მიეკრათ იარლიკი: სიმვოლიზმისა, ნეორომანტიზმისა, ნეორეალიზმისა და შეიძლება ეს გაგრძელებულყო ექსპრესიონიზმამდე, ფუტურიზმამდეც.

სანდრო შანშიაშვილის წიგნში, რომელზედაც ჩვენ ვწერთ:—„ლირიკა—პოემები“, ტომი 1. ტფილისი, 1925 წ.—შეკრებილია ლექსები 1903 წ.—1925 წლამდე. ეს წიგნი იძლევა საშუალებას, რომ შემოქმედების პერიოდით ავიღოთ პოეტი და გავარკვიოთ მისი პოეტური სახე ოცი წლის განმავლობაში. მართალია, ამ წიგნში არ არის მოცემული ყველა ის, რაც დაუწერია პოეტს, მაგრამ აქ, განსაკუთრებით ლირიკაში, მოცემულია თითქმის მთელი დამახასიათებელი მასალა.

სანდრო შანშიაშვილი ძალიან ახალგაზრდა გამოვიდა პოეზიაში. ჩვენ გვახსოვს, რომ ის ერთსა და იმავე დროს სთარგმნიდა ედგარ პოს, ბალმონტს, რატგაუზსა და ნადსონს,—უეჭველია, რომ ასეთი შეუთვისებელ პოეტების არევა არ შეიძლება, მაგრამ ყველაზე უფრო უეჭველია, რომ სანდრო შანშიაშვილი მალე სულ დაშორდა მათ გავლენას და გაიფანტა ეს მავნე ნისლი.—ზოგი მგოსნები კი ამ პერიოდისა, რომელნიც სანდრო შანშიაშვილთან ერთად გამოვიდენ პოეზიაში, აქამდე შერჩენ ზოგი—ფოფანოვს, ნადსონს, სკიტალეცს და იგორ სევერიანინს. ზოგმა ფოფანოვს და ნადსონს მიუმატა პირველი პერიოდის ბლოკი „Прекрасная дама“ და ზოგმა კიდევ იგორ სევერიანინის ნიზამი და საიათნოვა სხვადასხვა ვარიაციებით. უფრო დიდი წყება კიდევ „მარად ახალგაზრდა“ მგოსნებისა თავს ირჩენს „მელანქოლიის ექსპლოატაციით“.—უეჭველია სანდრო შანშიაშვილს არ შეეძლო ისეთი დი-

დი ხრამის ამოვსება, რომელიც გაუკეთდა ქართულ პოეზიას აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის შემდეგ,—ეს მას ერთს არ შეეძლო; როგორც ვიცით, შემდეგში ამას მოუნდება მთელი თაობა პოეტებისა. განსაკუთრებით სანდრო შანშიაშვილს ძველი ტეხნიკა არ შეუცვლია. მხოლოდ ერთი უნდა ითქვას უდავოდ, რომ სანდრო შანშიაშვილი თავის ლიტერატურულ თანამედროვეებთან შედარებით, რომელთაც ზოგიერთები ლექსის ნოვატორებს ეძახიან,—ნამდვილი ნოვატორია და მას მაინც ერთი დიდი პლიუსი აქვს: ის ახლოს არის ქართულ ხალხურ ენის პირველ სიცინცხალესთან. ამიტომაც არის, რომ ის საუკეთესო წარმომადგენელია მისი თაობისა და ამიტომაცაა, რომ მას შერჩა ლიტერატურული გამძლეობა.

დღეს სანდრო შანშიაშვილი დამწიფებული პოეტია და მტკიცეთ აქვს შემოკრული თავისი წრე. პირველი, რაც აძლევს ძალას სანდრო შანშიაშვილს—ეს არის კახეთი, ეს გაუტეხელი მხარე დალოცვილი ბარაქით. კახეთი სანდრო შანშიაშვილისთვის ისეა, როგორც ვერხარნისთვის ფლანდრია; ეს ქვეყანაა გავსების, ვაჟ-კაცობის, გაუტეხლობის, პურისა და ღვინის. შეუძლებელია პოეზიაში ეს არ ყოფილიყო ამღერებული. ეს მხარე აძლევს ძალას აგრეთვე ილია ჭავჭავაძეს. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ სანდრო შანშიაშვილის „კახეთის დედოფალი“ ნამდვილი შედევრია ახალი პოეზიისა—და ეს ლექსი სათითაოდ უსწორებდა ყველა ქართულ მწერლობაში აღნიშნულ კლასიკურ ნაწარმოებთ, როგორც არის თუნდა ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“, ანდა ნიკ. ბარათაშვილის „მერანი“.

ამ ლექსში აწერილია კახეთის ქორწილი, მაგრამ ერთი მომენტით მოცემულია მთელი კახეთი. ამ ლექსში ბევრად მეტია მოცემული, ვინემ მეორე კიდევ პატარა პოემაში—„კახეთი“. უკანასკნელ ლექსში არის მიმართვა კახეთისადმი:

„არ აგზნებია მას გული
ზექვეყნიური ალითა,
არც გამსჭვალულა წინაპრის
სიამაყით და ძალითა
ვისაც კახეთი—სამოთხე
ჯერ არ უნახავს თვალითა!“

„კახეთის დედოფალი“-დან შეუძლებელია სტრიქონების ამოღება, მაგრამ მაინც:

ლალისფერა, ქარვისფერა
სდუღს და ქვევრებს ეძალება,
ჩვენი გონჯა თხის-წვერება
აღარავის ეკრძალება—
გაღეღილი—დაკვალთული
დედოფლის წინ დაბარბაცებს,
ხან ერთ გოგოს მიუჯდება,
ხან მეორეს ხელსა სტაცებს.
მას ტიკჭორა ხელით დააქვს,
დილიდანვე გადაუკრავს;
—სიძე ბატონს მოელიან,
საზანდარი მწყობრად უკრავს.
. . . . . .
. . . . . .
გრძლად სუფრული შემოსძახეს,
სხვას სიმღერას არ აცლიან,
თვით თამადა ჭირვეულობს,
აირჩიეს—ველარ სცვლიან;
აქეთ მთვრალი, იქით მთვრალი,
ყანწებს გზაზე გადისვრიან,
შემდეგ მაინც წითელ ღვინოს
გაქონილის ჯამით სცლიან“—

აქ არის ის ეპიური სისადავე და ყველაფრის დამტეობა, რომელიც მართლა გვაგონებს ჰომეროსის სამყაროს, რუსთაველის და ვაჟა-ფშაველას მეფეებისა და დევების ღრეობას.

თუ ილია ჭავჭავაძისთვის ერთი მხრით იყო ლუარსაბ თათქარიძე და მეორე მხრივ რომანტიული „კაკო ყაჩაღი“,—სანდრო შანშიაშვილის კახეთმაც ფერი იცვალა და აქ მართლა ვერხარნის სიმძლავრით მოცემულია კახეთის სახეები. ყველაზე უფრო შესანიშნავია ამ მხრივ „ჰიმნი გლეხს“, ეს ლექსი შარშან დაიბეჭდა ჟურნალ „დროშა“-ში და აქამდე ვერ არის დაფასებული, როგორც მას ერგებოდა; ეს ლექსი შეიძლება სათავეთ დაედვას მთელ წყება პოეტებს. რასაკვირველია, სანდრო შანშიაშვილი მარტო ამ რკალში ვერ მოექცეოდა, თუმცა ამ ტემასაც შეუძლია გაამართლოს ერთი პოეტი. ამ ლექსში მოცემულია გლეხის ყოფნა, მისი ცხოვრება, მისი იდეალი და ფსიქოლოგია. ეს არის იდეოლოგია სამი მეოთხედი საქართველოსი. ამ ლექსში არის დიაპაზონი ვერხარნისა.

„შრომა და ჯაფა მისი ხვედრია!
უსამართლოსთან მუდამ მკეთრია!
ძას არ დაზოგავს და შეაგინებს.
ის შეინძრევა გოლიათივით, ამოიგმინებს,
და თუ გამწარდა—გაანადგურებს
ტაძრებს, სადგურებს,
განცხრომის ბინებს
დალეწავს სკიპტრას და ციხის რკინებს!
რა შეაშინებს?!
და რასაც ერთ დროს თვით ამაგრებდა
და არ ანგრევდა—
მტვრად გადააქცევს
რა შეიმაგრებს,
თუ ასწყვეტს აფრებს?!
მაგრამ მას უყვარს ცხოვრება მშვიდი,
რომააშენოს და გასდვას ხიდი!
გლეხისა გქონდეთ კრძალვა და რიდი“!..

კახელი გლეხი დღეს არ არის ის, როგორც ჩვენ გვახსოვს რაფიელ ერისთავის იდილიებში—„თინიას მამითადი“ და „გლახუას ჩაფიქრება“.

აი პოეზია ტრაქტორების, კალოობა ქიზიყში:

ჯერ ისევ ბნელა...
მოუხშირეს მამლებმა ყივილს.
ქვაბის შემკეთი წამოდგება და იზმორება.

ოსტატი, ცის ქვეშ მწოლიარე, ზანტად იძახის:
„ცეცხლი შეუნთე, კაჩეგარო... ხედავ თენდება“...

საინტერესოა სცენა ამ ტრაქტორთან: ერთი კუნძაკი რომ ყველას მიასწროს, მოათრევს ბოთლით არაყს:

„ქრთამს არ იშურებს
ჰპირდება მუშებს მსუქან დედლებსა და ინდაურებს.

ზეთი ჩაუშვა ოსტატმა ჩარხებს,
ლამბი აუბეს, წამოსდეს სალეწს.
—რვაზეა ორთქლი! დაიწყეთ ჩქარა!
—ჯერი ჩემია! იძახის ერთი.
მას ეცილება მაღალ მაღალი:
—ჯერს არ დაგითმობ თავით ცოცხალი!
—ვინ ოხერი ხარ, შენ დაგანებო?!.
—დედას გიტირებ! აბა გაბედე!
—შე ჩემოლალავ! გუშინ მოსულხარ...
—მე კი კვირაზე მეტს ველოდები.
—კოჭლო!
—ჩათლახო!
—ქალაქის კინტო!
—შე სახეძაღლო, შენზე წინ მე ვარ!
— გინდა ქვეყანა შენ გადასჭამო?

არა თუ ეხლა, როცა ჩვენი ქალაქი არ იძლევა ინდუსტრიის შთაგონებას, რასაც უნდა მიეწეროს ერთგვარი უძლურება პროლეტ-პოეტებისა, ინდუსტრიის სიმფონიის დროსაც,—საქართველოში გლეხური მოტივი დიდხანს დარჩება, და დიდხანს შერჩება ქართულ პოეზიას სანდრო შანშიაშვილიც.

სანდრო შანშიაშვილს ამ ტომში აქვს კიდევ მოქცეული ლირიკული ლექსები—უფრო ახალგაზრდობის პერიოდისა. ამ ლექსებს თავის დროზე ბევრი ახალგაზრდობა აუცრემლებია, ეს ლექსები პირველ სიყვარულივით მოსაგონებია. მაგრამ ამავე დროს სანდრო შანშიაშვილი უახლოვდება დიდ ტემებსაც. ასეთად უნდა ჩაითვალოს მისი ხალხური მითოლოგია „აგუნა“ და „დალი“ (ქართული ღმერთების პანთეონი). სანდრო შანშიაშვილი ამის გარდა ეპიკოსია—მას აქვს პოემები, რომელიც მეორე წიგნში იბეჭდება, დაწერილი აქვს აგრეთვე მთელი რიგი ახალი დრამებისა,—ყველაფერი ეს რომ არ ემატებოდეს, მარტო პირველი წიგნის მიხედვით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მისი სახით ქართულ პოეზიას მაგარი ძალა ჰყავს. მას უწოდეს „ალაზნის დევი“ და ეს ფიგურალურად გამოხატავს მის ჯანსაღ პოეზიის ბუნებას.

ტიციან ტაბიძე.

ნიკო ფიროსმანიშვილი

ტექსტი: (ქართული ფრანგული, რუსული): **ტიციან ტაბიძის, გრიგოლ რობაქიძის, გერონტი ქიქოძის, კირილ ზდანევიჩის და კოლაუ ჩერნიავსკის. ხუთი ფერადით და ორმოცდა რვა ერთფეროვანი რეპროდუქციით.**
საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა.—ტფილისი 1926 წ.

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ტფილისის სარდაფების არაყში ჩამხჩვალ მხატვარ ნიკო ფიროსმანიშვილზე წიგნი, რომლის მსგავსი ჯერ არ ღირსებია არც ერთ დიდს ქართველს.

ეს წიგნი სამაგიეროა იმ ძეგლის, რომელიც აქამდის უნდა დადგომოდა ფიროსმანის საფლავს, მაგრამ ეს საფლავი ჩვენ არ ვიცით, თუმცა მხატვარი მოკვდა ჩვენს დროსა და ჩვენი თვალის წინ.

ამ დანაშაულისა და სირცხვილისაგან შესანიშნავად გამოცემული წიგნი სახელგამისა ნაწილობრივათ მაინც დაგვიხსნის. ტფილისში გამოცემულ წიგნთა შორის, ნიკო ფიროსმანიშვილი საუკეთესოა.

მის საქიშპოდ ვერ გამოდგება ქართველიშვილის „ვეფხის ტყაოსანი“ ყოვლად უშნო და უნიჭო ილიუსტრაციებით და მით უმეტეს გედევანის ილია ჭავჭავაძე, რომელიც უგემურობის შედევრია. ამ წიგნებს მიტომ ვახსენებ, რომ მათ ჰქონდათ საგამომცემლო პრეტენზიები.

წიგნი ნიკო ფიროსმანზე პირველი ქართული „ლეიპციგი“-ს მაგალითია.

ვიქონიოთ იმედი, რომ ეს არა უკანასკნელი წიგნია ქართულ ენაზე და ამიტომ მომავლისთვის სახელმძღვანელოდ დაწვრილებით შევეხოთ მას.

ყდა (თეთრი ვარიანტი) შესანიშნავია. შეიძლება შავი არშია შეგვეცვალა მუქი წაბლის ფერით და ასეთივე ფერით დაგვებეჭდა ლათინური წარწერა.

გვერდები შინასათაურების, როგორც სტამბის, ისე ფერების შერჩევით უდაოთ მისაღებია. ამ თვალისთვის საამურ გვერდებს არ შეეფერება და წიგნის დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ჭუჭყიანი ბალახის ფერი ფონი ფიროსმანის ორივე ფოტოგრაფიულ პორტრეტისა. თუ ტფილისში სხვა ქალალდი არ მოიპოებოდა, ისევ სჯობდა თეთრი ცარციანი ბრწყინვალე ქალალდისთვის მიგვემართა, მაგრამ ქალალდი უნდა ყოფილიყო ცარციანი, ორთავე მხრით და არა ისეთი, როგორიც აქვს ფონათ ი. ნიკოლაძის მიერ შესრულებულ ფიროსმანის სურათს. გამოცემის დიდი მიღწევაა ტექსტში მოთავსებული თაური და ბოლო სამკაულები როგორც ფერის არჩევით, ისე მხატვრული შესრულებით. მათი სტილიზაცია ფიროსმანის შემოქმედების მიხედვით ეკუთვნის კირილე ზდანევიჩს.

ტკივილივით საწყენია მე-11 გვერდზე მოთავსებული მხატვრის სურათი „**შინაური არიფანა**“. ეს სურათი თავის თავად ცუდათ არის დახატული და მისი ლიტოგრაფიული ანაბეჭდი სურათის დასამარებაა. არ ვარგა შავი და წითელი მკვდარი ფერები, არც ცა, რომელიც სტოვებს ცემენტის სიმაგრის შთაბეჭდილებას. სურათი თავის ფერების შეხამებით ჰგავს პროვინციელ ცირკის აფიშას, აჭრელებულს, უხეშს. დიდხანს მისი ცქერა თვალების ტკივილს იწვევს.

სამაგიეროთ თვალს დიდხანს ვერ მოაშორებთ მეორე ფერადს, გვერდი 54: **მებადური** (რადგან სურათზე) **კლდეში.** ფიროსმანის შთამაგონებელი მწვანე და ყვითელი ფერი აქ დედანის სიცოცხლით არის გადმოცემული.

საუკეთესო ადგილი მთელს წიგნში არის 129 გვერდზე მოთავსებული Nature morte.

მკითხველი ალბათ ხვდება, რომ **ჯერჯერობით** მე ვეხები მხოლოდ წიგნის ტეხნიკურ მხარეს და ვარჩევ ყველა სურათებში ამ Nature morte-ს არა მარტო მიტომ, რომ ის თავისთავად მხატვრული შედევრია,—მიტომაც, რომ ლიტოგრაფიულად ყველა ფერად სურათებზე უფრო ბუნებრივად არის შესრულებული. მის შემდეგ კარგია „კალო ქართლის სოფელში“, თუმცა აღსანიშნავია ერთი ნაკლი: სურათის ყველა პერსონაჟებს (ორი მეხრე, ქალი, გამნიავებელი, ბავში, ძაღლი) თვალების მაგიერ შავი წითელ ხაზებ შემოვლებული წერტილები უჩანსთ და მკაფიოდ არ არის გამოცემული ხაზობრივი ნიუანსები. გადამეტებით მკვეთრი, ღია ფერებია მოცემული სურათში „გოგოს საფრენი ბუშტი უჭირავს ხელში“ (გვ. 132). მართალია რეპროდუქცია უახლოვდება დედანს, მაგრამ „გოგოში“ იმდენათ ელემენტარულია ფერების შეფარდება და სურათი იმდენათ აპრიალებულია ლურჯი, ყვითელი და წითელი ფერებით, რომ იმის ნაცვლად სჯობდა მოგვეთავსებია რომელიმე სხვა ფერადი ანაბეჭდი, თუნდაც მეორე Nature morte (გვ. 88) ან საალდგომო ბატკანის ორთავე ვარიანტი, ან რაც უფრო დამახასიათებელია ფიროსმანის კოლორიტისთვის, „ორთაჭალის ტურფები“. ამ სურათზე ერთფერიან საღებავითაც შესრულებული ყვავილები და ჩიტები ჰქმნიან უმაღლეს მხატვრულ ჰარმონიის გუნებას. როგორც მახსოვს, სურათი ზდანევიჩების კოლექციაში მთლიანი ტილო უნდა იყოს და გასაკვირია, რად იყო საჭირო მათი შუაში გაჭრა, გაცალკევება?

ჩემის აზრით წიგნში არ უნდა მოთავსებულიყო მხატვრული უვარგისობის მიზეზით ერისთავის „სამშობლოს“ ილიუსტრაცია და გიორგი საакაძე, რომელიც იმდენათ სუსტი ნახატია, რომ სიყალბის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ამ წმინდა ტეხნიკურ შენიშვნების შემდეგ, სადაც აღნიშნულია რამოდენიმე ნაკლი, რომელთა გამოსწორება შეიძლება ფიროსმანის მეორე გამოცემის დროს, სასიხარულოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ მოგვცა წიგნი, რომელიც საქართველოს სინამდვილეში საორიენტაციოდ დარჩება ყველა მხატვრულ გამოცემისათვის. კარგი ქაღალდი, ბრწყინვალე და მდიდარი საილიუსტრაციო საღებავი კლიშეებისათვის, სურათების კარგათ დარჩევა, სავსებითი კათალოგი ფიროსმანის სურათების, ტექსტებში მოცემული ბიოგრაფია და ფიროსმანის შემოქმედების სრული დახასიათება, თითქმის უმნიშვნელო კორექტურული შეცდომები, და საერთოდ გულწრფელად და სიყვარულით გაწეული შრომა წიგნის გამოცემისათვის. ყველაფერი ეს მისალოცია როგორც სახელგამისათვის, ისე—ქართველ, რუს და ფრანგი წიგნის წაკითხველთათვის.

ტიციან ტაბიძის წერილი ფიროსმანზე თითქმის მონოგრაფიაა მხატვრის ცხოვრების და შემოქმედების. ავტორმა ზომით პატარა წერილში მოათავსა ყველაფერი, რაც დღემდე ცნობილია ფიროსმანის ცხოვრების შესახებ. ყოველი ცნობა, რაც ახლად აღმოჩნდება დაკარგულ მხატვრის შესახებ, მხოლოდ დამატება იქნება ტიციან ტაბიძის მიერ დამუშავებულ მასალებისა.

შთაგონებით ჯვარ-ცმულ, წმინდა, ნათელ არტისტის პორტრეტია გრიგოლ რობაქიძის წერილი ნიკო ფიროსმანზე. წერილი ბოლომდის აღტაცების პათოსით არის დაწერილი. ფიროსმანი პრიმიტივისტი, მართალი გულის მხატვარი, შეყვარებული მიწას, ბოგემა, რომელიც ჩამწყვდეული იყო სარდაფებში, მაგრამ რომლის გენიალურმა თვალმა ყველაფერი ნახა და ჩვენც შეგვინახა ტემპერამენტი თავის დროის საქართველოსი.

გრიგოლ რობაქიძის სინაზე და სიყვარული „საწყალი ნიკალასადმი“ უსაზღვროა. წერილის ბოლოში ავტორი ეხება ფიროსმანს, როგორც ყვავილების და ცხოველების მოყვარულს. აქ ფიროსმანი ჰგავს ვაჟა-ფშაველა—რობაქიძის მინდიას.

გეროტი ქიქოძე ჩვენს მხატვრულ კრიტიკაში ცნობილი და მიღებული ავტორიტეტია. ამიტომ მის წერილს ფიროსმანზე და მისგან ფიროსმანის მიღებას დიდი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ტექსტების დანარჩენ ოთხს ავტორს (გრ. რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, კ. ზდანევიჩი, კ. ჩერნიავსკი) ვინმემ მიკერძოება დასწამოს, რადგან ზოგი მათგანი არიან ფაქტიურად და ზოგიც მხატვრულად აღმომჩენნი ფიროსმანის. მათ ოთხივეს აერთებს აგრეთვე ერთგვარი სკოლური და გემოვნების სიმპატიები.

გეროტი ქიქოძე კი საგანს უნდა შეეხოს, და ეხება კიდეც, აკადემიური მიუდგომლობით. მისი წერილის პირველი ნაწილი ქართული მხატვრობის მოკლე საერთო ანალზია. თვითონ ფიროსმანზე ის ცოტას ლაპარაკობს, ლაპარაკობს თავდაჭერილად, მაგრამ მაინც იღებს ფიროსმანს, როგორც დიდ მხატვარს. ავტორი თითქოს უსაყვედურებს მხატვარს

უკულტურობას—(ასეთია მისი აზრი ვაპა-ფშაველაზე)—მაგრამ ეს თითქოს არც მოეთხოვება ფიროსმანს, რომელიც ხატავს უბრალოდ, ძალდაუტანებლად ისე, როგორც ჩვენ ვსუნთქავთ ან დავდივართ, რაიმე ელემენტარულ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს ვაკმაყოფილებთ. გ. ქიქოძის თქმით, ფიროსმანი უძლიერეს მხატვრულ ეფექტს უმარტივესი საშუალებით აღწევს.

გ. ქიქოძემ თავის წერილში აღნიშნა ერთი მომენტი ფიროსმანის შემოქმედებაში, რაც სხვას არავის დაუნახავს: რომ ფიროსმანიშვილმა ქართველი ადამიანი დაიჭირი იმ მომენტში, როცა ის ყველაზე უფრო ქართველია და ყველაზე უფრო ადამიანი, როცა ის არ ჰგავს არც რუსს, არც სპარსელს, არც სხვა მეზობელს, რომელსაც მრავალ საუკუნეების განმავლობაში მასზე გავლენა მოუხდენია.

კირილე ზდანევიჩის წერილში უმთავრესად ბიოგრაფიული მასალებია მოცემული და ამ მასალაში მთავარი ადგილი დათმობილი აქვს ილია ზდანევიჩის დღიურს, რომელიც ფიროსმანს გაცნობს და მასთან საუბარს ეხება. მკითხველისთვის ალბათ ახალი ამბავი არ არის, რომ ფიროსმანი აღმოაჩინეს ძმებმა ზდანევიჩებმა და მხატვარმა ლე-დანტიუმ.

კირილე ზდანევიჩი, ეს ცოცხალი მოწმე ფიროსმანის ცხოვრებისა, დიდათ გატაცებული იყო მხატვარის პიროვნებით, და მისი დღიური მთავარი მასალაა მხატვარის დასახასიათებლად. როდესაც მას ვკითხულობ, სირცხვილი მწვავს, რომ აღმოჩენილი დიდი მხატვარი და ადამიანი არ შევინახეთ და ისევ დავკარგეთ. ფიროსმანი ცხოვრობდა ღარიბათ, ჭუჭყიანათ და ჩვენ მას ვერიდებოდით, როგორც კეთროვანს.

ილია ზდანევიჩის დღიურში მე მივაქციე ყურადღება ერთს ფაქტიურ შეცდომას: „სურათში“ „სამი თავადი მოლზე“ ზდანევიჩის აზრით დახატულია ვიღაც თავადი გულბატოვი და მისი ბიძაშვილები თ-დი ჭავჭავაძეები. ჩემ მიერ შეკრებილი ცნობებით ჭავჭავაძეებს გულბატოვი (საზოგადოთ არსებობს თუ არა ასეთი გვარი?) ნათესავათ არ ჰყოლიათ. ჩემის აზრით ამ სურათზე დახატულია ცნობილი გულბაათ ჭავჭავაძე თავის ბიძაშვილებით. საჭიროა შეცდომის გასწორება.

უკანასკნელი წერილი ფრანგულ ენაზე ეკუთვნის კოლაუ ჩერნიავსკის, რომელიც ფრანგ მკითხველისათვის კარგი სახელმძღვანელო იქნება ფიროსმანის გასაცნობად.

მე ამ წერილში აღარა მაქვს საშუალება ვილაპარაკო ფიროსმანზე, როგორც მხატვარზე. ჩემი გატაცება მხატვრით და მისდამი სიყვარული მავალებს ჩვენ ჟურნალში ვსთქვა ჩემი სიტყვა.

ის ძეგლი, რომელიც ფიროსმანს სახელმწიფო გამომცემლობამ სამაგალითო წიგნის გამოცემით დაუდგა, არ არის საკმარისი.

საჭიროა მოინახოს ფიროსმანის საფლავი.

საჭიროა ძეგლი მარმალილოსი,—ახალი მხატვრობის წინამორბედის უკვდავებისთვის.

ფიროსმანის საფლავის ნახვა ევალება ყოველ ჩვენთაგანს. რომელს ერგება ბედნიერება ფიროსმანის ახლად აღმოჩენისა?

პაოლო იაშვილი.

ლადო გუდიაშვილის სურათების გამოფენა

მაისის 10-ს, რუსთაველის თეატრის პატარა დარბაზში, დაიხურა ლადო გუდიაშვილის სურათთა გამოფენა.

სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს სამხატვრო-საესტამპო მაღაზიები, რომელნიც ევროპაში შედარებით სწორ მაჩვენებლად ითვლება, თუ რამდენად არის ინტერესი გაღვივებული ამა თუ იმ მხატვრისადმი, და მხოლოდ გამოფენის შედეგების მიხედვით გვიხდება ამ ინტერესის შეფასება.

ლადო გუდიაშვილი ერთ მნიშვნელოვან ფიგურათაგანია ჩვენს თანამედროვე მხატვრობაში, მეტად საინტერესო და ნიჭიერი. თანაც, ის ახალი დაბრუნებულია პარიზიდან, სადაც მან ექვსი წელიწადი დაჰყო.

ჩვენ ბევრი რამ გვაღელვებდა ამ გამოფენის მოლოდინში, ხოლო უმთავრესი კი იყო: გაუძლო თუ არა ლადო გუდიაშვილმა იმ მრავალ საცდურებს, რომელიც პარიზში მხატვარს ჰხვდება, შეინახა თუ არა ის თავისი ინდივიდუალობა, რომლითაც მან 1918 წ. მიიქცია ჩვენი საზოგადოების ყურადღება, და ერთი სიტყვით, წავიდა წინ თუ არა?

1918 წელს ქართველ მხატვართა გამოფენის მიმოხილვაში გუდიაშვილის შესახებ სხვათა შორის ვწერდით:—„დიახ, ლ. გუდიაშვილი იპყრობს ამ გამოფენაზე ყველაზე მეტ ყურადღებას... მის სურათებში ძველი საქართველო კი არ მეორდება, არამედ სცოცხლობს ავტორის სიცოცხლით. იგი ეძებს საქართველოს პრიმიტივს და მოდერნის ცეცხლში ჰნათლავს მას. აქ არის გუდიაშვილის სიძლიერეც... გუდიაშვილი დიდ იმედებს იძლევა. უფრო თამამ ყალმის მოქნევა და უკეთესი ტექნიკა—შემდეგი წლების ენერგიულ მუშაობის შედეგი უნდა იყვეს და ჩვენც ველით. დღეს კი გუდიაშვილი გამარჯვების გზაზე სდგას“.

ასე ვწერდით ამ რვა წლის წინათ, და ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა ითქვას, რომ არც მოვტყუვდით. დღეს გუდიაშვილი ბევრად დაწინაურებლად წარ-

მოგვიდგა როგორც ტექნიკის მხრივ, ისე შემოქმედებითი ბუნების გაშლილობით.

უნდა ითქვას, რომ ადრინდელი გუდიაშვილი მეტად სახიფათო უფსკრულს უახლოვდებოდა, ან და რაღაც ბანდ ქუჩაში ემწყვდეოდა. იმ ფერებით, იმ ხაზებით და იმ თემებით, რომელიც მას ჰქონდა, შორს ვერარ წავიდოდა. და აქ ყველაზე საინტერესო იყო ის გამოსავალი, რომელიც მხატვარს ორიგინალობასაც შეარჩენდა და პერსპექტივასაც გადაუშლიდა. დღეს გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ გუდიაშლივმა ეს გამოსავალი კარგად და ღირსეულად იპოვნა.

პირველი შეხედვით შეატყობთ, რომ ეხლანდელი გუდიაშვილი ის აღარ არის, რომელსაც 1918 წ. ვიცნობდით. ეხლა მისი პალიტრა ფერებით გამდიდრებულა, მისი კოლორი—დამშვენებულა. ტონები დაწმენდილა და გაფაქიზებულა. მის ადრინდელ ტილოებს დეკორატიული ხასიათი გადაჰკრავთ უმთავრესად, ეხლა კი, მხატვარი ამ ჩვეულებისაგან თავისუფლდება და ბუნებასთან ახლო და ახლო მიდის. ფონი და აქსესუარები უკვე გადაქცეულან სერიოზულ მუშაობის საგნად, და ფერთა ოსტატური შეხამებით უკვე განდევნილია ძველი სითალხის ერთ-ფეროვნება.

გუდიაშვილი მტკიცე ნაბიჯით მიდის ნამდვილ რეალიზმისაკენ, რომელსაც არაფერი არა აქვს საერთო ზერელე ნატურალიზმთან („ორი ქალი ტბის ნაპირას"—1923 წ. პარიზი), და ადამიანის განცდებს გადმოგვცემს ინტენსიურად. მაგრამ მას მაინც შერჩა მანერით კოხტაობა, რაც ყოველთვის მიზანს ვერ აღწევს, და მეტის-მეტად პირობითი საშუალებანი, ზოგჯერ რომ სურათის სიდიდეს ხელს უშლის, და ფერები თუ ხაზები თითქოს ჰყვირიან. („ქეიფი მწვანეზე ქალთან", „შავ წყაროსთან" და სხვ.) ზოგჯერ ჩვენი მხატვარი დეკორატიულ ეფექტებსაც დაუზოგველად მისდევს და მაგ. ხელ-ფეხს ზედმეტად აწვრილებს, სხეულს გადაჭარბებით აგრძელებს, ერთი სიტყვით, ადამიანისა და ცხოველის სხეულს ზოგჯერ მეტად თავნებად ექცევა. ესეც მისი ძველი მანერაა, რაც თანდათანობით ავტორის ძიერვე დავიწყებას ეძლევა, და უფრო მეტ ბუნებრივ სიმართლეს უშვებს თავის სახელოსნოში. მის ახალ სურათებში სხეულის ზომა უფრო შეწონილია, და ფიგურები იმდენად გარეგნულ გაოცებას აღარ იწვევენ, რამდენადაც შინაგანი სიღრმეების პერსპექტივებს. („მწვანე თავი" „მობანავე ქალები სოფლად" და სხვ...) მისი სურათებიდან ეხლა იმდენად აღარ მოსჩანს ის ნერვიული მოძრაობა, რომელიც მაყურებელსა ჰღლიდა, აწუხებდა. ეხლა მეტი სიმშვიდეა შეტანილი, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს ავტორს დარჩენილი, რომ იმ სიმშვიდეს მიაღწიოს, რომელიც იმავე მოძრაობას, ანუ უფრო მეტსაც გადმოგვცემს, მაგრამ გარეგნული ჟესტებითა და გრეხვით **კი არა, შინაგანი** დიადობით. ეს უდიდესი ამოცანაა მხატვრისათვის საზოგადოდ, და განსაკუთრებით კი ქართველისათვის, რადგან აღმოსავლეთში შინაგან მოძრაობას გარეგნულად საგანგებოდ ჰფარავენ. ზოგჯერ ლ. გუდიაშვილი მონუმენტალობასაც ადვილად აღწევს, („მონმარტრის ბისტრო") და ნივთსაც გადმოგვცემს მთელი საგნობრივი აწონილობითა და სიმკვრივით. მაგრამ დაწვრილებითი გარჩევა ამ ზოგად მიმოხილვაში, ჩვენდა სამწუხაროდ, შეუძლებელია და ჩვენც თავს ვანებებთ. ზოგადად კი უნდა ითქვას, რომ ჩვენს მხატვარს დიდი ნაბიჯი გადაუდგამს წინ და თუმც ზოგან უკვე მკვეთრად მოსჩანს ევროპის გავლენა, განსაკუთრებით ფერებში, ზოგგან იაპონური გრავიურები მოგაგონდებათ, ზოგგან ვენეციისა და რომის პალაცცოების პანოები, მაგრამ ეს არ არის საშიში. ავტორი უკვე ღონემოკრებილი ინდივიდუალობაა, და იმედი გვაქვს, რომ ის შესძლებს იმ მრავალ განშტოებათა სინტეზს, რომელსაც მის გამოფენაზე ვხედავთ.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ გამოფენაზე საგანგებო ყურადღებას ნახაზები იპყრობენ. აქ თქვენა ჰგრძნობთ ხაზის ძალოვნებასა და მოქნილობას, ფორმების მახვილ წარმოდგენას, პოზისა და მოძრაობის სიცოცხლესა და დამთავრებულობას. აქ ჩვენი მხატვარი ხშირად სრულ ოსტატობას აღწევს და გახარებს.

ვიმეორებთ, რომ ბევრის თქმა შეიძლებოდა ამ ფრიად მნიშვნელოვან გამოფენის შესახებ, მაგრამ ამ მოკლე მიმოხილვაში, ჩვენდა სამწუხაროდ, უფრო ფართე მსჯელობა და შეფასება შეუძლებელია. ვიტყვით დასასრულს, რომ ჩვენი მხატვარი ამ გამოფენაზე გამარჯვებული წარმოგვიდგა, და მის შემდეგ წინმსვლელობას და ამაღლებას ველით სიამოვნებით და სიხარულით.

ვან-დეიკ.

თანამედროვეობა და ქართული პოეზია

უკანასკნელ წლებში ფაქტად იქცა ის ცნება, რომ აუდიტორია დაშორდა პოეზიას და მოთხოვნილება პოეტების მცირდება. მაიაკოვსკიმ სცადა დაემტკიცებინა საკუთარ წიგნების გაყიდვის სტატისტიკით, რომ პოეტები ჯერი კიდევ საჭიროებას წარმოადგენენ. ეს მტკიცება—თავისთავად ამტკიცებს, რომ პოეზიის საჭიროება კითხვის ნიშნის ქვეშ სდგას.

საქართველოში ამ კითხვის დასმა ძნელია. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ცივილიზაციურ ქვეყნების ინდიფერენტიზმს პოეზიის მიმართ გამოძახილი არ ჰქონდეს საქართველოში და ხიდი ხალხსა და პოეტებს შორის არ ჩამტყდარიყოს. დღეს ჩვენში საჭიროა ახალი კოლუმბი საერთო ნერვის გამომძებნელი, რომელიც სახალხო პოეტის სახელს დაიმსახურებს, როგორც ესმოდა ეს ტრადიციულ პოეზიას ილიასა და აკაკის სახით. ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება ჩვენ მიერ სამი წლის წინეთ წამოყენებული დებულება,—რომ საქართველო ურბანისტულ ქვეყანას წარმოადგენს უნივთებოთ და შეუძლია ილაპარაკოს ფსიხიკის ნივთობრივ კანონებზე.

25 და 26 წლის ჩამოდგომამ შემოიტანა განწყობილება საქართველოში ლიტერატურის ძებნის. **აუდიტორიამ დაუწყო ძებნა ლიტერატურას** და კერძოთ პოეზიის ცენტრალურ პროვინციას. ჩვენი აზრით ეს იმითაა გამოწვეული, რომ საქართველოში არაა ჩამოყალიბებული **ახალი ინტელიგენცია.** ინტელიგენციის ყალიბი სახულობით ყოველთვის ხდება პოეზიით და საერთოდ ლიტერატურით. ინტელიგენციის რეორგანიზაციამ ხალხი მიიყვანა პოეზიის საჭიროებასთან და მან კიდეც წარუდგინა მოთხოვნილება: „სწეროს გასაგებათ და იყოს თანამედროვე“. ეს მოთხოვნილება ნათლად ამტკიცებს, რომ ხალხი მოითხოვს სიახლოვეს.

ქართულმა მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურამ იცის ორი ტიპი ადამიანის—ერთი წმინდა ინდივიდუალური და ფიგურა ლირიკული—ბარათაშვილის ადამიანი—(„ფიქრები მტკვრის პირას“, „ბედი ქართლისა“) და ადამიანი ილია ჭავჭავაძის, რომელიც საზოგადოებრივობის საზღვრებით იყო აშენებული; ამ ორმა ტიპმა განსაზღვრა მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ხალხის სულიერი და ნივთიერი კულტურის მქონე ადამიანი. შემდეგ პოეზიას დაეკარგა ადამიანის მთლიანი ფიგურა და სცადა განწყობილებათა რესტავრაციებს გადაყოლოდა. ამ ორი პოეტის შემოქმედების გადადმა მთლიან ფიგურას ხალხის ერთეულისას საქართველოში არ გაუვლია, უკანასკნელად, როცა ხდება ინტლიგენციის ახალი ორგანიზაცია, მკითხველი ეძებს პოეზიას, სადაც იქნება ახალი სოციალური ადამიანი, რომელიც საზღვრავს ამ ახალი ინტელიგენციის ორგანიზმს.

აქედან იბადება კითხვა—შეიძლება თუ არა ასეთი ადამიანის შექმნა პოეზიაში; აქვს, თუ არა პოეზიას „თანამედროობის“ ცნების მთლიანი გაგება და შეუძლია თუ არა მისი ფორმულის ცენტრალიზაცია? მეორე მხრით, აქვს თუ არა აუდიტორიას გამოანგარიშებული სახე ამ „თანამედროობის“ და იძლევა თუ არა დღევანდელი აუდიტორიის ყოფა ახალი ცენტრალური ადამიანის შექმნის საშუალებას პოეზიაში? ჩემი აზრით, დღეს პოეზიაში თანამედროობის ცნება გარკვეული და მთლიანი არ არის. არსებობს იმდენი„ თანამედროობა“, რამდენიც პოეტი და რამდენიცაა მკითხველის ფენები. ამიტომაა, რომ აუდიტორია ეძებს ამის ცენტრალიზაციას ლიტერატურაში, ხოლო მწერლობა გაურბის საზოგადოებას, რადგან ხსენებულ მასალას ის ამ საზოგადოებაში ვერ ხედავს. ამის შედეგია ის ფაქტი ადამიანისა და პოეტის გაყოფის, რომელიც პოეტი ნიკოლოზ მიწიშვილის მიერ აღნიშნულია მისი პოემის „გარდაცვალება“-ს წინასიტყვაობაში.

უმთავრესი მიზეზი ამ გარემოების და სოციალურ პიროვნების უნახაობის არის, ჩემი აზრით, ყოფის უქონლობა (быт). ყოფა დღეს დაძრულია, მისი ფენები დროს ითვისებს სხვა და სხვა სიჩქარით და ამიტომ „თანამედროობა“ არ არის მთლიანი. ყოფის ფენების მოძრაობის სხვა და სხვა სისწრაფე იწვევს სხვა და სხვა საზღვრების პოეტების თანამედროულად მონათვლას. მაგალითად: რუსულ ახალ ლიტერატურას უკვე აქვს შვიდი-რვა წლის ისტორია (რომელიც ერთი ლიტერატურული მიმდინარეობის წლოვანებას უდრის), მაგრამ ამ ლიტერატურამ ჯერ-ჯეროზით მაინც ვერ გამოარკვია, თუ ვინ არის თანამედროვე მწერალი. ორი დიდი პოეტი რუსულ პოეზიაში—ვლ. მაიაკოვსკი და სერგეი ესენინი არსად არ ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ ხალხი მათ ღებულობს, როგორც საკუთარ ეპოქას.

როდესაც მაიაკოვსკი წარმოადგენს თანამედროვე ცხოვრებისთვის ფაქტის მიცემას ე. ი. აღმშენებლობის წარმოებას, მაშინ ესენინი წარმოადგენს

თვით ცხოვრების ფაქტის აღნიშვნას და მისგან განცდილ დრამატიზმს. მაიაკოვსკი წარმომადგენელია იმ თაობის, რომელიც ესენინში ტრაგიზმს ქმნის და ორივე წარმოადგენენ თანამედროობის ღერძის გარშემო ამოძრავებულ არსებულ სხეულებს.

ამ ეპოქამ წარმოშვა ორი ხაზი ლირიკის: პათეთიური და მელანქოლიური. თუმცა არის კიდევ კონსტრუქტივისტების თაობა, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანის ძახილის აღნიშვნა ვერ იძლევა მოლიან სხეულს. და რომ საჭიროა მოქმედების აშენება და აქედან ადამიანთა შეხვედრების ნასკვები დაიწყება.

არის კიდევ მთელი წყება პოეტების, რომლებიც ამტკიცებენ გამოხატვითი ნიშნების რეორგანიზაციის საჭიროებას და თანამედროობის სოციალურ ფუნქციის შესრულებას. ფიქრობენ მეტყველების შესწორებისა და გადამუშავებით ყველა ეს წესები პოეზიაში თავის თავთან და მკითხველების ერთ ნაწილთან მართალი არიან თანამედროობის ნიშნით.

აუდიტორიის და პოეტების ფენა ეხლა ძლიერ დაშლილი არის და მთლიანი სახის გამორკვევა რუსეთში ახლო მომავალში არ არის მოსალოდნელი. ჩვენ არ ვამბობთ, რომ აბსოლიუტურათ ყველა ეს ერთ ხაზზე უნდა გაერთდეს, მაგრამ მთლიანი სხეულის წარმოდგენა უთუოდ უნდა შეიძლებოდეს.

არც ის დებულებაა მართალი, თითქოს შემოქმედების სოციალიზაციით შეიძლებოდეს მისი თანამედროვედ გახდომა.

ეს მდგომარეობა უფრო ნათლად და კატასტროფიულად სჩანს ქართულ ლიტერატურაში. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პოეზიის მაძიებელ აუდიტორიას უკვე ვამჩნევთ მკითხველთა ჰორიზონტზე, მაგრამ იმ განწყობილებას, რაც რუსულ პოეზიისთვის დამახასიათებელია, საქართველოში ზედ აქვს დართული რამოდენიმე ჯერ კიდევ დაუძლეველი შეცდომა. თითქოს არც ერთ შემოქმედებით ფაქტს საქართველოში არა თუ თანამედროვე ადამიანი, არამედ თანამედროვე დგამიც არა აქვს (обстановка). შემოქმედებითი ყოველ ფაქტს აქვს დგამი, რომელსაც აზის თავის ეპოქის დაღი. ქართულ პოეზიაში ეს სავალდებულო არ არის და ამით კიდევ უფრო აშორებს თანამედროობას. აგრეთვე საქართველოში არ არის პოეზიის დანიშნულების ცენტრალიზაცია; რუსულში კი არის. რუსეთში ყოველივე იწერება პოეტების მიერ თანამედროობის გამართლებისათვის; საქართველოში პოეტები სწერენ ხშირად წინა, ან უკანა საუკუნისათვის. არის კიდევ რამოდენიმე შენიშვნა წმინდა მეთოდოლოგიური, რომ რუსეთში რეალისტური ხერხი უკვე განდევნილია, ხოლო საქართველოში ეს ხერხი მეფობს პროლეტარულ პოეტებშიც.

ეხლა უფრო ძნელი წარმოსადგენია ქართული ლიტერატურის მთლიანი ორგანიზმი, ვიდრე მეცხრამეტე საუკუნეში, სადაც ათასჯერ უფრო ნორმალური დენა იყო ლიტერატურის და, ჩემის აზრით, ძეტი კულტურაც იყო მათი თანამედროობის მიმართ ვიდრე ეხლა.

ყოველ ლიტერატურულ ფაქტს აქვს აუცილებელი სოციალური სარჩული. მხოლოდ სოციალური სარჩული არ ნიშნავს შემოქმედების ფაქტების „შინაარსობრივობას", არამედ ნიშნავს მის „დანიშნულებას" განსაკუთრებულ საჭიროებათათვის, ან განსაკუთრებულ განწყობილების გამოსაწვევათ. აქედან სოციალურათ შემოქმედებითი ფაქტების „შინაარსი" კი არ არის საინტერესო, არამედ მისი „დანიშნულება"—როდესაც თანამედროობას უახლოვდება მწერალი, ის იღებს განსაკუთრებულ შემოქმედებითი ფაქტებისათვის ცოცხალ მასალას. ცოცხალი მასალით შეიძლება ემოციური ლირიკა და მას ექნება დანიშნულება მელანქოლიური გამორკვევის (ესენინი), ხოლო თუ ეცდებით ახალი სტრუქტურის განწყობილების მასალად მიცემას, ის მიგიყვანთ ახალი ყოფის აღმშენებლობამდე და მას ექნება აღმშენებლობითი მნიშვნელობა.

საქართველოში ჩვენ ვხედავთ, რომ ლიტერატურის და კერძოთ პოეზიის მძებნელი აუდიტორია შესდგება სხვა და სხვა ფენებისაგან; საზოგადოების ყოველა ფენას აქვს ძებნის უნარი და საკუთარი კრიტერიუმიც ლიტერატურული მასალის არჩევანში. აქ კიდევ უფრო ძნელი მოსახდენი არის გემოვნების და მოთხოვნილების ცენტრალიზაცია—ერთი ნაწილი მოითხოვს ლმობიერ პატრიოტულ ლირიკას. მეორე ნაწილი კომუნისტურ აღმშენებლობის პათოსს და მესამე უბრალო თავის ცხოვრების ყოფის ასახავს. ყოველი ფენა ნიშნავს განსაკუთრებულ შეიარაღებულ მოთხოვნილებას და ეს ამტკიცებს, რომ ყოველი ფენა ამტკიცებს ლიტერატურას, როგორც საკუთარ იდეების შედეგს; და ყოველი ფენა თავის იდეების აგიტაციას მოითხოვს შემოქმედებისაგან. მესამე „მეშჩანურ" ფენას იდეები არ აქვს; ის „ჩინოვნიკური" ფენაა, მას უნდა თავის ცხოვრების აღწერა და ამით კმაყოფილდება. როგორც სჩანს მთლიანი არაა არც „თანამედროობა", და არც „ადამიანი". ერთი ფენა თანამედროობას ყოფის აღწერაში ხედავს, მეორე—აღმშენებლობის აგიტკაში და მესამე—ტრაგიზმის გამოცხადებაში. ცხადია აქ მთლიან ადამიანზე ფიქრი ზედმეტია. ეს თავისებური გაგება თანამედროობის, სხვადასხვანაირი გაგება არღვევს გემოვნებას და აფერხებს ცენტრალიზაციის შესაძლებლობას. აუდიტორიასაც ესმის, რომ ის არაა მთლიანი და მთლიანობას იგი პოეზიაში ეძებს, მაგრამ საქართველოში პოეტი ვერ ხედავს ცხოვრების ძალების მთლიან ფორმულას და ამ ცენტრალური ფორმულის შესაძლებლობას.. რუსეთში ეს მოკლენა ისე გამწვავებული არაა, როგორც საქართველოში, ვინაიდან რუსეთის ხალხის ვრცევადობა შესაძლებლად ხდის, რომ ყოველ ფენას ყავდეს თავისი პოეტი, საქართველოს ასეთი კლასიფიკაციისათვის არც გეოგრაფია აქვს და არც ხალხის მრავალ რიცხვობრივობა.

ამ ბოლო დროს წარმოებულ მწერლობის რეგისტრაციამ გვანახვა თუ რამდენათ მრავალრიცხვოვანია ქართული მწერლობა, ხოლო ყველამ იცის, თუ რამდენათ მცირეა ქართულ ლიტერატურულ ბაზარზე შემოქმედებითი ფაქტები. მწერლები ხშირათ არაოფიციალურათ ლაპარაკობენ თემების კრიზისზე, მაგრამ ეს ხომ არგუმენტი არ არის. კარგი მწერალისათვის თემის უქონლობა წარმოუდგენელია, თემა ხომ ნიჭის საქმეა—თუ პოეტი კარგის ნიშნის ქვეშ მიდის, მას თემაც აქვს და ასრულებაც. თემა ბევრია, მხოლოდ არაა გამბედაობა თემის ასრულების, მისი დაძლევის. ალბათ ეს იმით აიხსნება, რომ დეცენტრალიზაცია გემოვნების და მოთხოვნილების აყოყმანებს და მან არ იცის რომელ თემას მოკიდოს ხელი. შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ პროლეტარულ პოეტებს საქართველოში დღიდან თავიანთ გამოსვლისა არც ერთი საკუთარი თემა არ აქვთ.

სხვების თემები, თუნდაც სიმბოლისტების, მაგ. გრ. რობაქიძის განმეორებაა ძველი, წინანდელის, რომელიც არ წარმოადგენს არც თანამედროვე ყოფის ასახვას, არც მეტყველების ახალი რეფორმაციის ცდას.

ამან შესაძლებელია ქართული პოეზია „უდაბნოთ“ აქციოს.

ამ შემთხვევაში პროზა უფრო უახლოვდება თანდროულობას და ჩვენს პროზაში ადამიანის ძიება სჩანს. ამის მაგალითებია ნიკოლოზ მიწიშვილის „გარდაცვალება“, გრიგოლ რობაქიძის რომანი (თუმცა უკანასკნელში ადამიანი ჯერ ისეთი ცუდი განათებული არის, რომ ძნელია მისი დანახვა), და დემნა შენგელაიას „სანავარდო“. შემდეგ ეს რკალი ახალი ადამიანის გაახლების განმეორდა „ტფილისში“. როდესაც ვლაპარაკობ ახალ ლიტერატურაზე და მის თანდროულობაზე. ვგულისხმობ მთლიან ლიტერატურას და რომელიმე ჯგუფის ხსენებას ვერიდები. ცნებები ლირიკა და დრამატიზმი პოეზიაში საჭიროებენ რევიზიას და ახალი ფორმულების გამომუშავებას. მე ჯერ კიდევ საკუთარ პიროვნულ გამოსვლამ დამიმტკიცა, რომ ასეთ პირობებში ლირიკა დრამატიზმში გადადის და ამ ცნებებს—ლირიკისა და დრამატიზმის—სჭირდება გამორკვევა (ეს სხვათა შორის).

კითხვა თავისთავად ისმება: თანამედროობის შესაძლებელი ყოფა ორგანიზაციის პროცესშია, არსებული ყოფა დაიძრა და დროებას სხვა და სხვა სისწორით ითვისებს. სად არის ცენტრალური ადამიანი და როგორ უნდა მონახოს პოეზიამ იგი? თუ ზედმეტია იგი და სავალდებულოც არაა?

მე ვამბობ, რომ შენიშვნები ყველა მართალია—მხოლოდ პოეზიაში საჭიროა უპირველეს ყოვლისა ლიტერატურული გამბედაობა, დაძლევა შიშის, თითქოს შეუძლებელია ამა თუ იმ თემის ასრულება. მაგლითად, თემებით ძლიერ განყენებულმა პოეტმა შესძლო დაეწერა ლექსი „ახალ მცხეთაზე“ და კიდევაც შეასრულა თავისი როლთან დარწმუნებით; ამავე დროს არის მრავალი სახით ლიტერატურაში დაახლოებითი მთლიანი თანამედროობა, მხოლოდ მისი განმსახველები შლიან მას. ჩვენ დიდი სოციალური გარდატეხის ეპოქაში ვცხოვრობთ და ყოველი მიმდინარე ფაქტის აღნიშვნა ან მიმდინარე დგამებს შორის არსებულ განწყობილების გადმოცემა წარმოადგენს თანამედროობიდან წარმოშობილ შემოქმედებით ფაქტს.

ამ მხრივ თითქმის ყველა პოლიუსები მიმდინარე მომენტის მიმართ წარმოადგენს თანამედროვე ლიტერატურას, იმ შენიშვნით, რომ პოლიუსები უნდა ეხებოდეს ადამიანის ფსიხიკას ან მის გარშემო მდებარე საგნებს,—რომლებიც ადამიანთან დამოკიდებულია. რუსეთში ეს მოხერხდა და ისეთი სხვა და სხვა სკოლის მწერლები, როგორც არის: მაიაკოვსკი, ესენინი, პასტერნაკ, ბეზიმენსკი თანამედროვე მწერლობას წარმოადგენენ. ჩემის აზრით, ეს საქართველოშიც მოსახერხებელია, მხოლოდ მოთხოვნილების ლოზუნგი უნდა შესწორდეს და უნდა ითქვას: მოგვეცით ლიტერატურა ცოცხალი მასალებით და თანამედროვეობის პოლიუსები აღმოჩნდება თავისთავად; მით უმეტეს, ყველა შემოქმედების ფაქტი მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ ხდება თანამედროვეობათ. რასაკვირველია, შეიძლება შემოქმედების მასალის იმნაირ პოზით დაყენება, რომ თანამედროვე მოთხოვნილების ყველა ფენები დაკმაყოფილდეს. ამის გამორკვევა ფორმულებით არ შეიძლება. ეს შემთხვევების და ნიჭის საქმეა.

დასკვნაში შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენ ორგანიზაციის პროცესში ვიმყოფებით, საჭიროა ლიტერატურის ახალი ფილტრაცია და მის ცოცხალ სხეულებამდე მისვლა. მიმდინარე მომენტი თვით წარმოადგენს ახალ საზოგადოებრივ ორგანიზაციის პროცესს და სწორედ აქედან გამომდინარეობს ინტელიგენციის ორგანიზაციაც. მთლიანად, ეს მიმდინარე მომენტი შესდგება აღმშენებლობით მასალებისაგან და ამიტომ ყოველი ლიტერატურული ფაქტი მყოფად რეალობის საქმეა. მყოფადი რეალობა შექმნის მომავალ ადამიანს და ამ ნაწილაკების ამგრძნობი პოეზია მოგვცემს თანამედროვე დინამიურ სხეულის მშენებელ აპარატს. ამ რიგად ჩვენ მივედით თვით შემოქმედების კათეგორიების ახალ განსაზღვრამდე და ახალ ფორმულიროვკამდე. ყველა ეს ჩვენ მიგვიყვანს „ფსიხიკის კონსტრუქტივიზმამდე“, რაზედაც სხვა დროს შევჩერდებით და უფრო ნათლად გავარკვევთ თანამედროვე პოეზიის მოთხოვნილებებს.

სიმონ ჩიქოვანი.

დოკუმენტები

ქართველ მწერალთა ყრილობა

ქართველ მწერალთა კავშირების წარმომადგენელთა გაერთიანებული ყრილობა გაიხსნა ა. წ. 21 თებერვალს საღამოს 8 საათზე—ხელოვანთა სასახლეში.

ყრილობას დაესწრენ ყველ კავშირების მიერ არჩეული დელეგატები რიცხვით 100 კაცი.

ყრილობა გახსნა ხელოვნების საქმეთა მთავარ საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ი. გედევანიშვილმა,** რომლის წინადადებით არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი და სამდივნო. ყრილობის პრეზიდიუმში არჩეულ იქმნენ: **კ. მაყაშვილი, გრ. რობაქიძე, სილ. თოდრია.** სამდივნოში: **ს. ფაშალიშვილი, შ. აფხაიძე,** და **ნ. ზომლეთელი.**

ყრილობის საპატიო წევრებად ერთხმად იქნენ არჩეულნი: **ეკ. გაბაშვილი, ან. ერისთავ-ხოშტარია, ვას. ბარნოვი, დავ. კლდიაშვილი, ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, შ. ელიავა, მიხ. კახიანი და დ. კანდელაკი**

ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა გარდაცვალებულ ქართველ მწერალთა ხსოვნას, რის შემდეგ მოისმინა და დაამტკიცა დღის წესრიგი:

1) მიმდინარე მომენტი და ქართული მწერლების ამოცანები, 2) სახელმწიფო გამომცემლობა, 3) ხელოვნების სახლის შესახებ, 4) ხელოვნების საქმეთა მთავარ საბჭოს მუშაობა, 5) მწერალთა კავშირის საბჭოს არჩევნები, 6) ხელოვნების სასახლის საბჭოს არჩევნები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ფილიპე მახარაძე, რითაც დაიხურა პირველი სხდომა.

22 თებერვილს დილის სხდომა გაიხსნა კამათით ფ. მახარაძის მოხსენების შესახებ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ვ. ბარნოვმა, ვ. კოტეტიშვილმა, რ. კალაძემ, პ. ქავთარაძემ, კ. გამსახურდიამ. პ. იაშვილმა. ს. ჩიქოვანმა, ვალ ბახტაძემ და სხვებმა. კამათს მოუნდა აგრეთვე 22 თებერვლის საღამოს სხდომაც და დასრულდა ამხ. ფილიპე მახარაძის საბოლოო სიტყვით.

მეოთხე სხდომაზე მოსმენილი იქმნა **ნ. მიწიშვილის** მოხსენება საქაროველოს სახელმწიფო გამომცემლობის შესახებ.

23 თებერვლის საღამოს სხდომაზე ხელოვნების საქმეთა მთავარ საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება წაიკითხა ამხ. **გედევანიშვილმა.** მომხსენებელმა ყრილობას დაწვრილებით გააცნო საბჭოს საქმიანობა ხელოვნების ყველა დარგში და დაახასიათა სახელმწიფო ორგანოების მდგომარეობა და მუშაობა.

24 თებერვლის დილის სხდომაზე. **ი. გედევანიშვილის** საპასუხო სიტყვის შემდეგ ყრილობამ მოისმინა ქართველ მწერალთა მომავალი კავშირის წესდების პროექტი. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ. წესდების განვითარება და საბოლოოდ ჩამოყალიბება ყრილობამ მიანდო კავშირის ახალ საბჭოს

ყრილობის დღის წესრიგში აღნიშნული ყველა საკითხები ამოიწურა დილის სხდომაზე.

24 თებერვლის საღამოს სხდომაზე ყრილობამ მიიღო ყველა რეზოლიუციები და კენჭი უყარა კავშირების წარმომადგენელთა შეთანხმებით შემუშავებულ საბჭოში და სახელოვნო კომიტეტში ასარჩევ კანდიდატთა სიას.

კენჭის ყრით მწერალთა გაერთიანებულ კავშირის საბჭოში არჩეულ იქმნენ: **სილიბისტრო თოდრია** (თავმჯდომარე). **გრიგოლ რობაქიძე**—(თავმჯდომარის მოადგილე), **ს. აბაშელი**—(თავმჯდომარის მოადგილე). წევრებად: **კ. მაყაშვილი, დ. კლდიაშვილი, ნ. ნაკაშიძე, პ. ინგოროყვა, ვ. კოტეტიშვილი, ი. გრიშაშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ნ. მიწიშვილი, გ. ქიქოძე, ს. შანშიაშვილი, პ. ნოზაძე, ჟ. ლოლობერიძე, ნ. ზომლეთელი, კ. კალაძე, შ, დუდუჩავა, ლ. ესაკია.**

კანდიდატებად: **რაჟდენ გვეტაძე, სოლომონ თავაძე, მარიჯან, დ. შენგელაია და ა. მაშაშვილი.**

ხელოვნების მთავარ კომიტეტში: **კოტე მაყაშვილი**—(თავმჯდომარე) **არ. ჭუმბაძე**—(თავმჯდომარის მოადგილე). **მიხ. ჯავახიშვილი**—(თავმჯდომარის მოადგილე). წევრებად: **ნიკო შიუკაშვილი, ვ. რუხაძე, შ. აფხაიძე, პეტრე ქავთარაძე, შაქრო ნავთლუღელი, რონდელი, ნ. ჩაჩავა.** კანდიდატებად: **ს. ფაშალიშვილი, კოლ. ნადირაძე, ხ. ვარდოშვილი, ა. ბელიაშვილი და რ. რონდელი.** საარევიზიო კომისიებში: **ია ეკალაძე, ლევ. მეტრეველი, გრ. ცეცხლაძე, პ. კაკაბაძე და ვ. გორგაძე.**

მწერალთა ყრილობის რეზოლიუციები

1. პოლიტიკურ მომენტზე

„მოისმინა რა ამხ. **ფილიპე მახარაძის** მოხსენება მიმდინარე მომენტისა და ქართული მწერლობის ამოცანების შესახებ. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი ყრილობა აღიარებს შემდეგს:

1) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომლის სრულუფლებიანი წევრიცაა საქართველო, არის ერთად ერთი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, სადაც აღიარებულია უპირატესობანი მშრომელი კლასის და სადაც გარანტიები ერთა კულტურულ-ეკონომიურ წინსვლისა და განვითარების მოცემულია ფაქტიურად, როგორც საკავშირო კონსტიტუციის სახით, ისე იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა მიხედვით, რომელთაც ცხოვრებაში ატარებს საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელი პარტია.

2) ეს მიზანი—მშრომელი კლასის სახელმწიფო ხელმძღვანელ ფაქტორად გადაქცევისა და მცირე ეროვნებათა კულტურულ-ეკონომიურ ცხოვრების განმტკიცების, რომელიც დაისახა ოქტომბრის რევოლიუციამ და რომელსაც დღითიდღე ანხორციელებს საბჭოთა ხელისუფლება მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობით,—საფრთხეში აყენებს დასავლეთ კაპიტალისტურ-ბურჟუაზიულ წესწყობილებას, რის გამოც იგი ამხედრებულია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და განადგურებას უქადის საქმეს რევოლიუციის მონაპოვართა დამკვიდრებისა და დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებისას.

3) ეს ბრძოლა ბურჟუაზიულ-იმპერიალისტურ ძალებისა. მიმართული მშრომელი ხალხის ძალა-უფლების განადგურების და მცირე ერების დამონებისკენ, მიუცილებლათ აკავშირებს მშრომელი კლასისა და მცირე ერების ინტერესს და

ერთ ბანაკში აყენებს მუშათა კლასს მცირე ერთა მოწინავე ინტელიგენციასთან თავის არსებობისა და საუკეთესო მომავლის დაცვის მიზნით იმ იმპერიალისტურ-ბურჟუაზიულ ძალმომრეობისაგან, რომელიც უკვე შესულია რღვევის პროცესში და რომლის საბოლოო განადგურების თავდებია შეუწყვეტელი ზრდა მშრომელი ხალხის თვითშეგნებისა და ფაქტი დაჩაგრულ ერთა გაღვიძებისა და ამოძრავებისა.

4) ვინაიდან იმპერიალისტურ ქვეყნების ბატონობის მოსპობისა და მშრომელი კლასის უფლებათა განმტკიცების საქმეში კერძოთ საქართველოს მშრომელი ხალხის აქტიური ნაწილი დიდი ხანია ჩაბმულია თავის საუკეთესო წარმომადგენლების სახით,—ქართული ინტელიგენციაც როგორც წარსულში, ისე ეხლაც, ვერ დარჩებოდა და ვერც დარჩება გარეშე მაყურებლად ინტერესთა შეჯახების დროს,—და მისი მოვალეობაა გვერდში ამოუდგეს მშრომელ ხალხს იმ ბრძოლაში, რომელმაც გამწვავებული, მაგრამ გადამწყვეტი ხასიათი მიიღო ამ უკანასკნელ დროში.

5) და დღეს, საბჭოთა საქართველოს 5 წლის თავზე, როცა ჩვენში ბოლო ელება ყოველგვარ პოლიტიკურ გაუგებრობას, როცა რესპუბლიკა სდგება ნორმალურ ცხოვრების მტკიცე კალაპოტში და როცა ქვეყნის კულტურულ-ეკონომიური ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვენ ერის ყველა აქტიურ ძალების ჩაბმას მშვიდობიანი შრომის საერთო ფერხულში,—ქართველი ინტელიგენციის მოვალეობაა მომავალშიაც ატაროს ქვეყნის სამსახურისათვის აღმართული დროშა, რომელიც დღეს ხელში აქვს პროლეტარიატს და გლეხ-კაცობას.

6) აღიარებს რა საბჭოთა წესწყობილებას იმ უპირველეს ფაქტორად, რომელიც მრავალ საშუალებას იძლევა ერის წინსვლისა და კულტურულ განვითარებისათვის, ქართული მწერლობა, როგორც გამომხატველი ხალხის სურვილებისა და მისწრაფებების, დაკავშირებული ისტორიულად მშრომელი ხალხის საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლასთან, ამ შემთხვევაშიაც ვალდებულია სათავეში ჩაუდგეს საქმეს ერის ინტერესთა რეალურათ გაგებისას და მოუწოდოს ქართველი ხალხის ყველა წრეებს, კერძოთ ქართველ ინტელიგენციას, საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობისა და ამ ხელისუფლებასთან მჭიდროთ დაკავშირებისაკენ.

7) ყრილობა გამოსთქვამს იმედს, რომ ის დიდი საქმიანი შეხვედრა, რომელიც მოხდა 21 თებერვალს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების პასუხისმგებელ წარმომადგენლებთან და ქართველი მწერლობის ორგანიზაციულად შეკავშირებულ ძალთა შორის, თავდები იქნება იმისა, რომ მთლიანი ხაზი ქართული კულტურულ-ეკონომიური საქმიანობისა, რომლის მტკიცე საფუძველი ჩაიყარა 21 თებერვალს, მომავალში არ იქნება გამრუდებული და თავიდან იქნება აცილებული ის მომენტები, რომელნიც ხელს შეუშლიან საერთო საქმიან თანამშრომლობას".

2. სახელმწიფო გამომცემლობის შესახებ

„მოისმინა რა ამხ. **მიწიშვილის** მოხსენება შესახებ სახელმწიფო გამომცემლობისა, ყრილობა იზიარებს სახელგამის მიერ დასახულ საერთო საპერსპექტივო გეგმას და აღნიშნავს რა, რომ სახელგამის საგამომცემლო მიღწევანი არსებულ პირობებში, გასულ წლებთან შედარებით, უთუოდ საყურადღებო და მნიშვნელოვანია,—გამოსთქვამს სურვილს, რათა მომავალ მუშაობაში სახელგამი მხედველობაში მიიღებს შემდეგს:

1) ყრილობას საჭიროდ და სასურველად მიაჩნია მწერალთა წრეების უახლოესი ჩაბმა, როგორც სახელგამის საგამომცემლო მუშაობაში, ისე სახელგამის ტეხნიკურ აპარატში.

2) ყრილობა გამოსთქვამს სურვილს, რომ მხატვრული ლიტერატურის საგამომცემლო გეგმის შედგენის დროს სახელგამმა ისარგებლოს მწერალთა კავშირის უახლოესი თანამშრომლობით, ხოლო ამ თავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ქართველ კლასიკოსების გამოცემასთან ერთად ახალი მწერლობის გამოცემას და საბავშო ლიტერატურის სექციის მუშაობის გაძლიერებას.

3) აღნიშნავს რა, რომ სამწერლო ტარიფის საკითხი მოუგვარებელია საეროთდ საკავშირო მასშტაბით, და იღებს რა მხედველობაში, რომ ტარიფის საკითხი განსაკუთრებით მწვავეთა სდგას საქართველოში,—ყრილობა გამოსთქვამს სურვილს, რომ სახელგამმა მწერალთა კავშირის საბჭოსთან ერთად აიღოს ინიციატივა სათანადო ორგანოს წინაშე ამ საკითხის მოგვარებისათვის.

4) აღნიშნავს რა, რომ ქართული წიგნის გავრცელების საქმე მოუგვარებელია, როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში და რომ სახელგამის სამონოპოლიო უფლებების გამოყენება ამ შემთხვევაში მიუცილებლათ საჭიროა,—ყრილობას აუცილებლათ მიაჩნია ამ საკითხის სასწრაფოთ მოგვარება.

5) ქართული საგამომცემლო მუშაობის წარმატებისათვის ყრილობას საჭიროთ მიაჩნია დაჩქარებულ იქნას ქაღალდის ქარხნის მოწყობის საქმე საქართველოში.

6) ვინაიდან სხვადასხვა გამოცემათა გამსაღებელი პუნქტების სიმრავლე საქართველოში დეფიციტს იწვევს, როგორც საერთოდ, ისე განსაკუთრებით საქართველოს სახელგამის მუშაობაში,—საჭიროა მიექცეს განსაკუთრებითი ყურადღება სახელგამის მიერ წიგნის ბაზრის რეგულიაციას და მანვე მიიღოს ზომები, რათა საგამომცემლო-კომერციულ ორგანიზაციების წარმომადგენლობა საქართველოში დაეკისროს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას".

3. მწერალთა კავშირის საქმიანობის შესახებ

შეახსებ მწერალთა კვშირის საგამომცემლო მუშაობისა.

მწერალთა კავშირის საგამომცემლო მუშაობისათვის ყრილობა გამოსთქვამს სურვილს, რომ ამ დარგში მწერალთა კავშირს მიეცეს სათანადო საშუალებანი, რისთვისაც საჭიროა გადადებულ იქნას სპეციალური თანხა, რომელიც მოხმარდება როგორც კავშირის საერთო გამოცემებს, ისე კავშირში შემავალ სექციების საგამომცემლო მუშაობას. ამავე დროს საჭიროა გამონახულ იქნას ღონისძიებანი, რათა ეს ძირითადი თანხა ყოველ წლიურათ გაძლიერებულ იქნას რაიმე მუდმივი შემოსავლის წყაროს გამოჩენით. ამავე მიზნით საჭიროა მიეცეს კავშირს უფლება საკუთარი წიგნის მაღაზიის გახსნისა.

—:—

სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ მწერალთათვის უპირატესობის მინიჭების შესახებ სალიტერატურო ხასიათის მუშაობაში.

იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოს სხვადასხვა დაწესებულებებში სალიტერატურო მუშაობას ასრულებენ ქართული სიტყვის არა სპეციალისტები, ხოლო პროფესიონალურ მწერლობას ხშირად უხდება მუშაობა მისი პროფესიი-

სათვის შეუფერებელ დარგებში, ყრილობას სასურველათ მიაჩნია მიღებულ იქნას ზომები, რათა სალიტერატურო და საერთოდ ხელოვნების დარგის სამუშაოზე პირველ რიგში იგზავნებოდეს პროფესიონალი მწერალი.

—:—

ზეპირ-სიტყვიერების ნაშთების დაცვისა და გამოცემის შესახებ.

ვინადინ ახალი ყოფის განმტკიცებასთან ერთად თანდათან დავიწყებას ეძლევა ქართული ზეპირსიტყვიერების ნაშთები, რომლის შესწავლა უაღრეს მნიშვნელობას წარმოადგენს, როგორც მეცნიერებისათვის, ისე, განსაკუთრებით, მწერლობისათვის,—აუცილებელ საჭიროებათ იქნას მიჩნეული, რათა მწერალთა კავშირს მიეცეს საშუალება ამ ნაშთების შეგროვებისა და გამოცემისათვის.

—:—

1) ვინაიდან ქართული მხატვრული სიტყვის პრობლემები დაუმუშავებელი და შეუსწავლელია,—დაარსდეს მწერალთა კავშირთან ქართული სიტყვის ინსტიტუტი. დაევალოს ამავე ინსტიტუტს იზრუნოს ქართული ენის გაწმენდისათვის და კერძოთ ყურადღება მიაქციოს ფაქტს ენის სისტემატიურად გადამახინჯებისას, რომელსაც ადგილი აქვს ქართულ პრესაში და ქართულ გამოცემებში.

2) ამავე მიზნით საჭიროთ იქნას მიჩნეული, რათა მწერალთა კავშირის წარმომადგენელი მიწვეულ იქნას უმაღლეს სამეცნიერო საბჭოში.

3) ყრილობას აუცილებელ საჭიროთ მიაჩნია შესდგეს მწერალთა კავშირის ინიციატივით და უახლოესი მონაწილეობით სპეციალური კოლეგია ქართული აკადემიური ლექსიკონის დამუშავებისა და გამოცემისათვის.

4) ვინაიდან ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდი თაობისათვის, ყრილობა გაშოსთქვამს სურვილს, რათა ქართულ უნივერსიტეტს მიეცეს საშუალება გააძლიეროს ქართული და უცხოეთის ლიტერატურის ისტორიის დარგი.

4. სახელოვნო საქმეთა მთავარ საბჭოს შესახებ

მოისმინა რა მოხსენება განათლების კომისარიატთან არსებულ ხელოვნათა მთავარ სამმართველოს გამგეს ამხ. ი. გედევანიშვილის, მწერალთა კავშირის კონფერენციამ დაადგინა:

რადგან ხელოვანთა მთავარ სამმართველოს დღევანდლამდე არ ჰქონდა კონტაქტი როგორც საქართველოს ხელოვანთა კულტურულ კავშირთან, ისე მწერალთა კავშირების საბჭოებთან, რაც ხელოვანთა მთავარ სამმაროველოს სტოვებდა ზემოთ დასახელებულ კულტურულ ორგანიზაციების მორალურ გავლენის გარეშე.—ყრილობას საჭიროდ მიაჩნია ამიერიდან მწერალთა კავშირსა და მომავალ ხელოვანთა მთავარ სამმართველოს შორის დამყარდეს უფრო მჭიდრო კონტაქტი.

ყრილობას მორიგ საკითხად მიაჩნია ქართული ოპერის შექმნა. ამ მიზნით უნდა გაძლიერებულ იქნეს ქართული საოპერო სტუდიის მუშაობა, რომლის მეოხებითაც უნდა მოხდეს ქართული ოპერისთვის საჭირო კოლექტივების (ხოროსი, ორკესტრის) და სოლისტების მომზადება.

საქართველოს ფართო მასების ესთეტიური კულტურის დონეს ასამაღლებლად სასურველად იქნეს ცნობილი ქართული სახელმწიფო დრამის და ოპერის ყოველწლიური მოგზაურობის მოწყობა პროვინციაში.

პროვინციისათვის მზრუნველობის გაღრმავება უნდა გამოიხატებოდეს აგრეთვე პროვინციაში არსებულ დაწესებულებათათვის უფრო მაღალი კვალიფიკაციის ძალების მიწოდებაში.

ყრილობა იღებს რა მხედველობაში,—რომ ქართულს ენაზე დღემდე არ არის თარგმნილი მთელი რიგი მსოფლიო ლიტერატურის ძეგლებისა,—ავალებს მწერალთა კავშირის მომავალ საბჭოს იზრუნოს ასეთი თარგმანების დამზადებისათვის.

ყრილობა ამასთან ავალებს საბჭოს იზრუნოს ქართული მწერლობის შედევრების თარგმნისათვის უცხო ენებზე. პირველ რიგში მეზობელ ხალხთა ენებზე.

ყრილობას მორიგ საკითხად მიაჩნია თანამედროვე მხატვრობის გალერეის შექმნა. ყრილობა გამოსთქვამს სურვილს, რათა მხატვართა საზოგადოებას მიეცეს ჩივთიერი საშუალებანი და შესაფერისი ბინა აღნიშნულ გალერეის მოსაწყობად.

გამომცემელი:
სურლიად საქართველოს
მწერალთა კავშირი

რედაქტორი:
სარედაქციო კოლეგია
პასუხისმგებელი რედაქტორი
ნიკოლოზ მიწიშვილი

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ჟურნალი

„ქართული მწერლობა“

გამოდის ყოველთვიურად

ჟურნალში მონაწილეობენ მწერალთა კავშირის, ქართული ხელოვნების და მეცნიერების საუკეთესო ძალები.

ფასი ერთი მანეთი

მიიღება ხელის მოწერა: სამი თვით . . . 2 მ. 50 კ.
ექვსი თვით . . . 5 მ.

მისამართი: ტფილისი. ივანე მაჩაბელის ქ. № 13.

„ქართული მწერლობა“

№ 2

გამოვა კირველ ივლისს

სახელმწიფო გამომცემლობა

ტფილისი

რუსთაველის პრ. № 22.

იხეიძდება და გამოვა მოკლე ხანში:

გრ. გიორგაძე—„ფეოდალიზმი საქართველოში“

აკაკი წერეთელი—II, III, IV.

დავით კლდიაშვილი—რჩეული ნაწერები.

ვ. ბარნოვი—არმაზის მსხვერპლი.

ი. ევდოშვილი—ლექსები.

ს. მგალობლიშვილი—რჩეული მოთხრობები.

ვაჟა ფშაველა—ტ. I, II, III.

ნიკო ლომაური—მოთხრობები

გამოვიდა და იყიდება

სახელმწიფო გამომცემლობის წიგნის მაღაზიებში

„მხედართა პირველი ფრიდრიხი"

(სრული სტენოგრაფიული ანგარიში)

გამოვიდა და იყიდება

მონოგრაფია

ნიკო ფიროსმანიშვილი

მონოგრაფიაში მოთავსებულია მხატვარ ნიკო ფიროსმანიშვილის დამახასიათებელი წერილები ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენაზე — **გერონტი ქიქოძის, გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, ვ. ჩერნიავსკის, კ. ზდანოვიჩის.**

მონოგრაფიაში მოთავსებულია 50 სურათი ფიროსმანიშვილის, მათ შორის 5 ფერადებში.

წიგნი ღირს 10 მანეთი.

საბჭოთა საქართველოს სსრ. განათლების სახალხო კომისარიატის საგამომცემლო სექციის ბეჭედი

ტფილისი ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა, პლეხ. პროს. № 91.

11/V—26. მთავარლიტი № 726. შეკვ. № 6899/1166. ტირაჟი 2500.